მალხაზ მაცაბერიძე

ქართული პოლიტიკური აზროვნების ანალიზის სათავეებთან

მალხაზ მაცაბერიძე. ქართული პოლიტიკური აზროვნების ანალიზის სათავეებთან. თბილისი, „ახალი აზრი“, 2016 – 102 გვ.

ნაშრომში განხილულია კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის, ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ისიდორე მანწკავას, ვიქტორ ნოზაძის და სხვათა შეხედულებები XIX საუკუნის და XX საუკუნის პირველი მესამედის ქართული პოლიტიკური აზროვნების ძირითადი მიმართულებების და დამახასიათებელი ნიშნების შესახებ. ქართული პოლიტიკური აზროვნების მახასიათებლების კვლევა საბჭოთა პერიოდში ვერ განვითარდა. კარგი იქნება თუ ამ პრობლემატიკას გავიხსენებთ და კუთვნილ ადგილს დავუმკვიდრებთ ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებაში.

ISBN 978 – 9941 – 0 – 9550 – 4

შინაარსი

შესავალი 6

1. კიტა აბაშიძე პოლიტიკური რომანტიზმისა და რეალიზმის შესახებ 12

1832 წლის შეთქმულება - „პოლიტიკური რომანტიზმი“ 12

„პოლიტიკური რეალიზმი“ 13

„მესამოციანელები“ და მათი პოლიტიკური პოზიცია 14

მამულისშვილთა ხედვა 17

კიტა აბაშიძე „სამი დიდი ეპოქის“ შესახებ 18

2. არჩილ ჯორჯაძე თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნების შესახებ.....20

1832 წლის შეთქმულთა პოლიტიკური გულუბრყვილობა და აზროვნების დუალიზმი 21

„რეალური პოლიტიკის“ გულუბრყვილობა 22

დიმიტრი ყიფიანი „უგუნური რაინდობის“ პოლიტიკის წინააღმდეგ.....23

„მესამოციანების“ კრიტიკა 25

ქართველ სოციალ-დემოკრატთა აზროვნების დახასიათება..26

„წამბაძველობით“ გამოწვეული საფრთხეები 28

3. ივანე ჯავახიშვილი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობის შესახებ 30

„ადვოკატურ გამოსარჩლებითი“ ისტორია როგორც პოლიტიკური გულუბრყვილობა.....31

ევროპულ პოლიტიკაში გამოჩენილი გულუბრყვილობა 32

"ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით“ 35

4. კონსტანტინე გამსახურდია ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზების შესახებ 37

ქართული სახელმწიფოს დავიწყების შედეგები 38

ქართული პატრიოტიზმის ნაკლოვანებანი 38

ეროვნული მარცხის მიზეზები 39

მე-19 საუკუნის ქართველობის პოლიტიკური აზროვნების კრიტიკა 40

ქართული პოლიტიკის შეცდომები 42

5. 1924 წლის აჯანყება და „პოლიტიკური რომანტიზმის“ ახლებური ხედვა 45

ნოე ჟორდანია: აჯანყება მიზნით ფასდება 46

სიმონ გოგიბერიძე: საქართველო „უანგარიშო“ ქართველებმა გადაარჩინეს 48

6. ისიდორე მანწკავა ქართული პოლიტიკური აზრის ორი ხაზის შესახებ 50

1832 წლის შეთქმულებას ჰქონდა გამარჯვების შანსი 51

1832 წლის შეთქმულების მარცხის შედეგები 53

შეურიგებელნი 54

შერიგებულნი: „რეალ პოლიტიკის“ გზა 55

დასკვნა.....58

დანართი
კიტა აბაშიძე. პოლიტიკური რომანტიზმი.....62
არჩილ ჯორჯაძე. წინასიტყვაობა თხზულებათა მეორე ტომისთვის.....65
არჩილ ჯორჯაძე. ავადმყოფი საზოგადოება 67
ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე.....73
კონსტანტინე გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს 81
კონსტანტინე გამსახურდია. რეცენზია მწერალთა კავშირის საბჭოს გამოცემაზე „პოეზიის დღე“ 90
ალ. ასათიანი. რამ გვიხსნა და რა გვიხსნის?.....92
დ. ვაჩნაძე. ქართული აზრი.....96

შესავალი

XX საუკუნის დამდეგს საქართველოში ერთ-ერთ საინტერესო კვლევით მიმართულებად ჩამოყალიბდა ქართული პოლიტიკური აზროვნების შესწავლა და მისი დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს თემა აქტიური განხილვის საგანი იმ მკვლევართა მხრიდან გახდა, რომლებიც მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებას მიეკუთვნებოდნენ, განხილვის აქტუალობა კი იმან განაპირობა, რომ იმდროინდელ საქართველოში ერთმანეთის გვერდით არსებობდა და ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებოდა ფასეულობებით და აზროვნების სტილით ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე პოლიტიკური მიმდინარეობა.

დიდი ხნის შემდეგ, იგონებდა რა წარსულს, მიხეილ წერეთელი აღნიშნავდა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურად აქტიური ქართველობა ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ეროვნული იდეოლოგიის პოზიციაზე მდგომნი და ისინი, რომელთაც „ერი არ სწამდათ“. ეროვნული იდეოლოგია ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდებოდა, ერის უარმყოფელნი კი მარქსიზმის სახელით მოქმედებდნენ. მიხეილ წერეთლის თქმით, „ბრძოლა ნაციონალისტთა და მარქსისტთა შორის საქართველოში მკაცრი, უსიამოვნო და მთელი ერისათვის მავნებელი გახდა“ (წერეთელი მიხ., 1957, გვ.13).

ეროვნული ბანაკი პირობითად ორი მიმდინარეობით წარმოდგებოდა:

- ეროვნულ-პატრიოტული, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, რასაც მომავალში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა;

- ისინი, რომელთაც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ესახებოდათ.

ეროვნულობის უარმყოფელი ბანაკიც ასევე ორი მიმართულების სახით არსებობდა:

- ისინი, ვინც ურიგდებოდნენ ქართველების გარუსების პოლიტიკას;

- სოციალისტური კოსმოპოლიტიზმის პოზიციაზე მდგომნი, როდესაც ეროვნული თვითმყოფადობის უგულვებელყოფა ხდებოდა რუსეთის და მსოფლიო სოციალური რევოლუციის იდეის სახელით.

თითოეულ ამ მიმართულებას ახასიათებდა აზროვნების გარკვეული სტილი და თავისებურებანი.

ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებებისა და დამახასიათებელი ნიშნების საკითხის განხილვის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ კიტა აბაშიძის 1905 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „პოლიტიკური რომანტიზმი“, მას ეხმაურება და იქ გამოთქმულ მოსაზრებებს ანვითარებს არჩილ ჯორჯაძე. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი ნაშრომი „თავად-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში“. თუმცა არჩილ ჯორჯაძე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების საკითხებს ასევე სხვა მრავალ ნაშრომში ეხება.

არჩილ ჯორჯაძის მიერ ქართული საზოგადოებრივი აზრის კვლევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივანე ჯავახიშვილი, „თქვენს გარდა ჩვენში არავინ იკვლევს ჩვენი ერის საზოგადოებრივ და ეროვნულ მოძრაობის ისტორიას და თქვენი თხზულებები ამ მხრივ პირდაპირ დაუფასებელია. სწორედ საჭირო იყო ამ საკითხს შეჰხებოდნენ ჩვენ მწერლობაში, რომ ჩვენს თანამედროვე აზროვნებას და მსჯელობას მუდამ ღრმა საფუძვლიანობა ჰქონდეს და ხვალ არ დავიწყოთ ის, რაც გუშინ და გუშინწინ ნათქვამი და გაკეთებული იყო“, - წერდა 1908 წელს ივანე ჯავახიშვილი არჩილ ჯორჯაძეს (ნანიტაშვილი 1976, გვ.423).

ქართული პოლიტიკური აზრის საკითხებს ივანე ჯავახიშვილი თავადაც იკვლევდა. განსაკუთრებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართული პოლიტიკური აზრის დამახასიათებელი ნიშნების კვლევას. თუკი არჩილ ჯორჯაძე მე-19 საუკუნის ქართულ პოლიტიკურ აზრს იკვლევდა, ივანე ჯავახიშვილმა გააფართოვა ანალიზის ფარგლები - მოიცვა მე-18 საუკუნე და მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედიც.

კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის, ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომები თითქოსდა ერთმანეთს ეხმიანება და ერთი პრობლემის გააზრებას წარმოადგენს. თუმცა მათ მიერ აღძრული საკითხები სხვადასხვა დროს განხილულია სხვა ავტორთა ნაშრომებშიც. მოცემული გამოკვლევის ფარგლებში მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ. კერძოდ, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზების შეფასებას და ემიგრაციის პერიოდში ნოე ჟორდანიას, სიმონ გოგიბერიძის და ისიდორე მანწკავას მიერ პოლიტიკური რომანტიზმის და რეალიზმის პრობლემის ახლებურ გააზრებას.

საბჭოთა პერიოდში ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებების კვლევას ფაქტობრივად, გაგრძელება არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყოლოდა. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნების ისტორიასთან დაკავშირებით თუ რაიმე იწერებოდა, ყველაფერი განიხილებოდა ე. წ. „მარქსისტული მიდგომის“ პოზიციიდან. სინამდვილეში ეს განხილვა მიმდინარე პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ხდებოდა და ემყარებოდა მარქსიზმის იმ ინტერპრეტაციას, რომელიც ყოველ მოცემულ მომენტში გაბატონებული იყო საბჭოთა კავშირში.[1]

---

[1] ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ მაგალითად, გრ. გიორგაძის მიერ 1928 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864-1905)“ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური პოზიციის შეფასება: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შევცდებით, თუ

ემიგრანტული ნაშრომებიდან უნდა გამოვყოთ ისიდორე მანწკავას „ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში“ (მანწკავა ი., 1936), რომლის მხოლოდ პირველი ნაწილის გამოცემა შეძლო. თავის ნაშრომის შესახებ მანწკავა აღნიშნავდა: „ჩემი მიზანი არ იყო აზროვნების ისტორია დამეწერა. ასეთი ცდა უცხოეთში, ყველა აუცილებელ მასალათა ხელმიუწვდომლობის გამო ძნელი საქმეა. მე მხოლოდ XIX საუკუნის სოციალ-პოლიტიკური ვითარებასთან დაკავშირებით ქართული აზროვნების მთავარი ხაზების, მის მიმართებათა ზოგადი ხასიათის გამოკვლევა ვცადე“ (მანწკავა, 1936, გვ.4-5).

სანამ ქართული პოლიტიკური აზროვნების შესახებ დასახელებულ ავტორთა მოსაზრებების განხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარების ზოგადი ტენდენცია და ის გარდატეხა, რომელიც მან სწორედ XIX საუკუნეში განიცადა. ესაა ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაციის პროცესი.

ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაციაში იგულისხმება იმ პოლიტიკური ფასეულობების, იდეების, თეორიების და ტერმინოლოგიის გავრცელება, რაც XVII-XVIII საუკუნეებიდან ყალიბდებოდა ევროპაში. ამ პროცესს, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად წარიმართა XVIII საუკუნის ბოლოდან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ქონდა თანამედროვე საქართველოს ფორმირების საქმეში. „ევროპეიზაცია" ქართული საზოგადოებისათვის ჩიხიდან გამოსვლის, თვითმყოფადობის შენარჩუნების გზას წარმოადგენდა. თუმცა, სანამ ევროპეიზაციის იდეამდე მივიდოდა, ქართული პოლიტიკური აზრი კრიზისული ვითარებიდან გამოსავალს ადგილობრივ ნიადაგზე ეძებდა.

დავასკვნით, რომ „ივერიის“ პოლიტიკური მიმართულება, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, იყო რუსეთის ტახტის ერთგულება“ (გიორგაძე გრ. 1928, გვ.423).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პოლიტიკურ აზრზე უკვე უშუალო ზეგავლენას ახდენს ევროპული პოლიტიკური აზრი. ევროპული იდეები საქართველოში უმეტესწილად რუსეთის გავლით შემოდიოდა. სწორედ ასეთი გზით XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ჩნდება პოლიტიკასთან დაკავშირებული მრავალი ტერმინი.

ამ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის უმთავრესი საკითხი ქვეყნის გაერთიანება და რეფორმების განხორციელება იყო. ამ მხრივ საგულისხმოა 1790 წლის სამეფო დარბაზის სხდომა, სადაც განიხილებოდა ქართლ-კახეთთან იმერეთის სამეფოს გაერთიანების საკითხი. გაერთიანების მცდელობის მარცხის მიუხედავად, სოლომონ ლიონიძის აქტიური ძალისხმევით, იმავე წელს თბილისში ერეკლე II-ს, სოლომონ II-ს, სვიმონ გურიელს და გრიგოლ დადიანს შორის დაიდო "ივერიელთა მეფეთა და მთავართა შეერთების ტრაქტატი" - ნებაყოფლობითი თავდაცვითი ხელშეკრულება, რომლითაც აღიარებული იყო აგრეთვე ერეკლე II-ს უზენაესობა.

რაც შეეხება რეფორმებს, მიუხედავად კრწანისის მარცხის შემდეგ შექმნილი მძიმე მდგომარეობისა და შინა აშლილობისა, არ გამქრალა ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის იმედი. ამ მხრივ საყურადღებოა იოანე ბაგრატიონის (1768-1830) "სჯულდება", რომელიც 1799 წელს არის დაწერილი. იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს იმ მიზეზებს, რის გამოც შეადგინა ეს პროექტი. მისი თქმით, "სხვადასხვა გვარმან ცვალებან კანონთამან, უთანხმოებან და უწესოებან მართებლობისამან, მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართველოს ერნი განწირულებასა შინა" და თუ რაიმე ზომები არ იქნება მიღებული "უბედურება იქმნების გაგრძელებულ"-ო. სწორედ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დაიწერა "სჯულდება." იოანე ბატონიშვილი ცდილობს რეფორმების გატარებით გააძლიეროს სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და დამოუკიდებლობის დაკარგვა დიდი ტრაგედია იყო ქვეყნისათვის, მაგრამ ამავე დროს, მართალია დამახინჯებული ფორმით, მაგრამ კვლავ გაგრძელდა ქართული საზოგადოების ევროპეიზაცია. 1832 წელს, რუსეთისაგან განთავისუფლების მიზნით მოწყობილი შეთქმულების მონაწილეებს საქართველო უკვე ესახებოდათ კონსტიტუციურ მონარქიად ან რესპუბლიკად, რომელიც მოწყობილი იქნებოდა იმდროინდელი დასავლური ნიმუშების შესაბამისად.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პოლიტიკური აზროვნება უკვე მთლიანად ტრიალებს ევროპული იდეებისა და მოძღვრებების ფარგლებში. მაგრამ რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში ამ პროცესმა „დეფორმაცია“ განიცადა. ახალმა რეალობამ შეცვალა ქართული პოლიტიკური აზროვნების წინაშე არსებული პრობლემატიკა. გარდა ამისა, წარმოშვა ისეთი მიმართულებები, რომელთა არსებობაც წარმოუდგენელი იქნებოდა დამოუკიდებელ საქართველოში.

1. კიტა აბაშიძე პოლიტიკური რომანტიზმისა და რეალიზმის შესახებ

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის (1870-1917) 1905 წელს გამოქვეყნებულ წერილში **„პოლიტიკური რომანტიზმი“** ფაქტობრივად პირველად იქნა წარმოდგენილი 1832 წლის შეთქმულების - რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის რეალური სურათი.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომის დაწერა განაპირობა ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიციამ, რომლებიც მაშინ ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილნი ეროვნებისადმი და „საკაცობრიო იდეალების“ სახელით უპირისპირდებოდნენ ყოველივე ეროვნულს (აბაშიძე გ. 2007, გვ.689-691).

1832 წლის შეთქმულება - „პოლიტიკური რომანტიზმი“

XIX საუკუნის ბოლოს 1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხი ეროვნული და ანტიეროვნული მსოფლმხედველობის შეჯახების ობიექტად იქცა. ილია ჭავჭავაძის სახელთან დაკავშირებული ეროვნული მეობისათვის მებრძოლთა ბანაკი თავის წინამორბედებს 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებში ხედავდა, სოციალ-დემოკრატები კი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას უარყოფდნენ და 1832 წლის შეთქმულებასაც „რეაქციული“ და „ნაციონალისტური“ მიზნების მატარებლად მიიჩნევდნენ.

1832 წლის შეთქმულების თაობაზე 1905 წელს იოსებ სტალინი წერდა: „საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ - ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა **„საქართველოს განთავისუფლება“. ამ-**

ით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, **მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი!** ეს იყო **ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“.** ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ის-ახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თა-ვად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წი-ნააღმდეგ კავკასიაში“. (სტალინი ი., 1905, გვ.32-33)

სტალინის საპირისპიროდ, 1832 წლის შეთქმულება, რომელ-შიც მონაწილეობდნენ ძირითადად თავადაზნაურობის წარმომად-გენელნი და აჯანყების გზით რუსეთის იმპერიისგან განთავისუფ-ლებას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდნენ მიზნად, კიტა აბაშიძემ პროგრესულ მოვლენად მიიჩნია. კიტა აბაშ-იძე აღნიშნავდა, რომ ამ დროს თავადაზნაურობა სათავეში ედგა სა-ერო ინტერესებს და საზოგადო კეთილდღეობისათვის მსხვერ-პლად მიჰქონდა კერძო, პირადი ინტერესები (აბაშიძე კ. 1905, გვ.583). ამავე დროს კიტა აბაშიძემ 1832 წლის შეთქმულება შეაფასა როგორც „პოლიტიკური რომანტიზმი“, რადგანაც მხოლოდ საკუ-თარ ძალებზე დაყრდნობით, აჯანყების გზით საქართველოს რუსე-თის მმართველობისგან თავის დაღწევა შეუძლებლად მიაჩნდა.

„პოლიტიკური რეალიზმი“

სამაგიეროდ, კიტა აბაშიძემ მკაცრად შეაფასა ე. წ. „პოლიტი-კური რეალიზმის“ მომხრეები, რომლებიც რუსეთის იმპერიისგან თავის დაღწევას და ეროვნული საქმის კეთებაზე ზრუნვას არარე-ალურად მიიჩნევდნენ. კ. აბაშიძის თქმით, 1832 წლის შეთქმულე-ბის დამარცხების შემდეგ „თავადაზნაურობა გადაგვარების გზას დაადგა, ვითომდა პოლიტიკურის რეალიზმის თაყვანისმცემელი შეიქმნა, ნამდვილად კი დაცემისა და გათახსირების მაგალითის მეტს აღარას იძლევა რას ერთ დროს ბრწყინვალე წოდება ... როცა

იგი კერძო, პირად ინტერესებს აყენებს პირველ პლანზედ, როცა პირადი ბედნიერება მიაჩნია საქვეყნო ბედნიერებად, როცა ჯინჯილებისა და პენსიებისათვის იმცირებს თავს და ამცირებს მთელს ერს, იგი საბრალო ხორცმეტია და თვითვე უსპობს თავს სიცოცხლეს“ (აბაშიძე კ. 1905, გვ.583)

როგორც ვხედავთ, კიტა აბაშიძემ მე-19 საუკუნის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ორი მიმდინარეობა გამოჰყო და მათ პირობითად „პოლიტიკური რომანტიზმი“ და „პოლიტიკური რეალიზმი“ უწოდა. **პოლიტიკური რომანტიზმის** წარმომადგენლები სამშობლოს ბედზე სწუხდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ არასწორად აფასებდნენ თავიანთ შესაძლებლობებს და გარდუვალი იყო მათი დამარცხება. ე. წ. პოლიტიკური რეალიზმის პოზიციაზე მდგომნი კი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არარეალურად მიიჩნევდნენ და ქვეყნის დამპყრობლებთან შეგუებას ამით ამართლებდნენ. კიტა აბაშიძის დახასიათებით, მათი მიზანი მხოლოდ საკუთარ ინტერესებსა და კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო.

„მესამოციანელები“ და მათი პოლიტიკური პოზიცია

ცხადია, ზემოთაღნიშნული ორი ბანაკით არ ამოიწურებოდა მე-19 საუკუნის ქართული პოლიტიკური აზროვნება. რა პოზიციიდან აფასებს თავად კიტა აბაშიძე „რომანტიზმისა“ და „რეალიზმის“ წარმომადგენლებს? თავად ის ხომ არ მიეკუთვნებოდა არც პირველს და არც მეორეს? ამაზე პასუხს თავად კიტა აბაშიძე იძლევა ვრცელ ნარკვევში „თ-დი ილია ჭავჭავაძე“ (1911). „თავდაპირველად თ. ჭავჭავაძე და მისი თანამედროვე თაობა გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზედ საზოგადო პროგრამით. ეს პროგრამა უარსა ჰყოფდა იმ მიმართულებას, რომელთა მიმდევარნი „კაცის მხნეობასა და ზნეობას“ ჩინებით ზომავდნენ, სარწმუნოება და სათნოება ფარისევლობად გარდაექციათ“ (აბაშიძე კიტა, 1911, გვ.161). ამ თაობას

პატრიოტობა სალანძღავი სიტყვა არ იყო და სამშობლოს სიყვარული „წმინდად და დიდებულ რამედ“ მიაჩნდა.

კიტა აბაშიძე ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა „მესამოცე წლების“ „ბრწყინვალე და დიდებულ ახალგაზრდობას“, რომელმაც „მიძინებულ ერს იდეალი დაუსახა, შექმნა საერთო საგანი, ხალხს ნაციონალური თვითცნობიერება დაუნერგა. გარდა ამისა, შეებრძოლა თაობას ერთობ ღონიერს სოციალურ და მატერიალური მდგომარეობით და დაამხო იგი. დასცა ამ თაობისაგან აფრიალებული ძველი დროშა გამოურკვევლობისა, მელაძუობისა და ქვეყნის საქმეების შესახებ გულგრილობისა. ეს ისეთი ძნელი და გმირული საქმე იყო, რომ დღეს არ შეგვილია სავსებით წარმოვიდგინოთ ამ მოვლენის სიდიადე“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.125).

კიტა აბაშიძე შეეცადა მოკლედ განესაზღვრა მესამოციანელების „დიდებული თვისებები“ და აზროვნების ხასიათი. ამ თაობის პირველ დიდ თვისებად მიიჩნევდა დიდ ნიჭს, სამშობლოს სამსახურის დიდ სურვილს და ამ სურვილიდან გამომდინარე „მეცადინეობას და ენერგიას“(აბაშიძე კიტა, 1897, გვ.125). მათ მეორე თვისებად იდეალისტობას მიიჩნევდა, ანუ ისინი იყვნენ „საზოგადო ინტერესების დამცველნი და მსახურნი“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.127). მესამე დიდებული თვისება ამ თაობისა კი იყო „რწმენა თავისი თავისა, თავის საქმის სამართლიანობის და აუცილებლობისა, რწმენა თავისი გამარჯვებისა“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.128). არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მათ „თავისი ცხოვრებისა და მოქმედების პროგრამა გამოარკვიეს, შეიმუშავეს და წინადვე განსაზღვრულ გზას მისდევდნენ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.130).

1897 წელს, როდესაც მესამოციანელებს ასე ახასიათებდა, კიტა აბაშიძე იმასაც აღნიშნავდა, რომ მათ „არა ჰყავდათ ღირსეული შთამომავლობა, ღირსეული მემკვიდრე მათი აზრებისა და გრძნობებისა“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.131). მათ საპირისპიროდ ახასიათებდა რა 90-იანი წლების ახალგაზრდობას, კიტა აბაშიძე მიუთითებ-

და, რომ „არცერთი იმ თვისებათაგანი, რაც შეადგენდა უეჭველ ღირსებას და ძლიერ იარაღს მესამოცე წლების ახალთაობისათვის, მას არ ამშვენებს“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.132).

ახალ თაობაში კიტა აბაშიძე გამოყოფდა „მესამე დასს“, მათ არ აკლდათ ორგანიზებულობა და მიზანდასახულობა, მაგრამ მათ მიერ აღიარებული მარქსიზმი, კიტა აბაშიძის აზრით, „ჩვენში მეტად ადრეულია“ და „ჩვენს ერს აქვს ბევრად უფრო უახლოესი საგნები თავისი ვინაობისა და არსებობის დაცვისა, რომლის მიღწევის შემდეგ შეიძლება მხოლოდ ახალი იდეალის დასახვა“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.173). კიტა აბაშიძის განცხადებით, მესამე დასელები „საზოგადოების სამსახურის სურვილით აღტყინებულნი არიან“, მაგრამ „მათგან ღვთად მიჩნეული მარქსიზმი ეროვნების სამსახურის წინააღმდეგია“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.180).

კიტა აბაშიძის თქმით, თუ „მესამე დასელები“ ნოე ჟორდანიას მეთაურობით აღიარებდნენ, რომ „ეროვნების თვითარსებობის დაცვა შეადგენს აუცილებელ საჭირო საგანს ყველა შეგნებულ ადამიანისას“, მაშინ ამაში ახალი არაფერი იქნრბოდა და „ამ აზრს მესამოცე წლების თაობაც იცავდა“ ამ შემთხვევაში „მესამე დასმა“ უპირველეს ამოცანად „ერის ვინაობის დაცვა“ უნდა აღიაროს და კლასთა ბრძოლა გახდება „მეორე ხარისხოვანი ჯერჯერობით“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.177).

კიტა აბაშიძე აღნიშნავდა, რომ „მესამოცე წლების მოღვაწეობა „ენის დაცვის“ შესახებ დღესაც შეუსრულებელია და საფუძვლიანი, დღესაც უპირველეს საგანს შეადგენს ერთა მეთაურისას“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.181), მაგრამ მესამე დასელები პოზიციას არ იცვლიდნენ, „ჩვენში უდროულსა და უნიადაგო აზრს ეპოტინებიან; მისი შედეგია ის, რომ სასტიკი ფანატიზმით აღვსილნი არიან და საზოგადოების პატივსაცემ უმრავლესობაში სიმპატიას ვერ პოულობენ“ (აბაშიძე კიტა, 1897, გვ.180).

ამ სიტყვებს კიტა აბაშიძე 1897 წელს წერდა, ხოლო ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც მესამოციანელთა ხაზი ახალ დროში გააგრძელა, კიტა აბაშიძემ, ცოტა მოგვიანებით, არჩილ ჯორჯაძესა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში დაინახა.

მამულისშვილთა ხედვა

მამულიშვილის აზროვნებას კიტა აბაშიძე შემდეგნაირად აღწერს: „სამშობლოს სიყვარული არის უმაღლესი მოვალეობა, რომლის ასრულება მით უფრო სავალდებულოა, რომ მხოლოდ იმ ქვეყნის და იმ მხარის ბედნიერება არის კერძო პიროვნების სრული გამაბედნიერებელი, საცა ეს პიროვნება შობილა და გაზრდილა... მამულის სიყვარული რა მოვალეობაა და რა იდეალები უნდა ჰქონდეს დასახული მას, ვისაც მამული უყვარს? უმთავრესი სურვილი და მეცადინეობა სამშობლოს მოყვარულისა ის უნდა იყოს, რომ ის ერი, ის ქვეყანა, რომელშიაც ყოფნა ღმერთმა არგუნა, იყოს აღმასრულებელი კაცობრიობის უმაღლესის მოვალეობისა... უმაღლესი კეთილი, რომელიც კაცობრიობას თავისი ზნეობრივის ცხოვრების სალტოლველ საგნად დაუსახავს, ის არის, რომ ყოველი კაცი კერძოდ, ყოველი ერი საზოგადოდ, იყოს აღჭურვილი თანასწორის ეკონომიკურისა და პოლიტიკურის უფლებით...“ (აბაშიძე კიტა, 1911, გვ.162-163).

კიტა აბაშიძე იმოწმებს ილია ჭავჭავაძის „ივერიას“: „ჩვენს მამულისშვილებს სურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა“ („ივერია“, 1882).

მაგრამ ქართველი ხალხის წარმატება ხომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებსაც სურდათ, ისინიც ხომ მამულიშვილები იყვნენ? რითი განსხვავდებოდა ილია ჭავჭავაძის თაობა მათგან? ამ კითხვაზე პასუხი, სავარაუდოდ, შემდეგი უნდა იყოს: ახალი თაობის მამულისშვილებმა იცოდნენ თუ რა გზით შეიძლებოდა ქვეყნის

განთავისუფლება. თუმცა, თავად კიტა აბაშიძე აღნიშნავდა, რომ თავიდან ეს ასე არ იყო: „თვით ილია ჭავჭავაძესაც არა ჰქონია თავდაპირველად თავის ნაწერებში დაწვრილებით და სავსებით გარკვეული დიდი საგანი ერის უნუგეშო მდგომარეობისა, მისი გონებრივისა და ზნეობრივი დაქვეითებისა და ამ დაცემა-დაქვეითების მიზეზები არა ჰქონია გამოკვლეული“ (აბაშიძე კიტა, 1911, გვ.162).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, მისი კეთილდღეობის მიღწევის რეალური გზების ძიება ილია ჭავჭავაძის დასის მთავარი საზრუნავი იყო. ამ დასს მიაკუთვნებდა თავს კიტა აბაშიძეც. „საეროვნო გრძნობათა აღძვრასა და განმტკიცებაში ილიაა უპირველესი ადგილი უჭირავს და ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. მთელი მისი სიცოცხლე კი ამ აზრის მსხვერპლი შეიქმნა“, - წერდა უკვე ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ კიტა აბაშიძე (აბაშიძე კიტა, 1914, გვ.420).

კიტა აბაშიძე „სამი დიდი ეპოქის“ შესახებ

1913 წელს სტატიაში „ილიას ძეგლი“ კიტა აბაშიძე, უკვე არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების შემდეგ, გამოყოფდა „სამ დიდ ეპოქას“ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. „დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე - სამი დიდი ეპოქის გამოსახულებაა. დიმიტრი ყიფიანის კეთილსინდისიერი „ლოიალიზმი“ საოცარი ბარბაროსული მკვლელობით დამთავრდა. „ერთგულება“ მისი დასჯილი იქნა, ვინაიდან იგი ყოველივე „სერვილიზმს“ იყო მოკლებული. ილია ჭავჭავაძე „ერთგულების“ მაგიერ განაცხადებს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოსო“ და ამ პრინციპს ტრაგიზმით აღსავსე მსხვერპლად ეწირება“, „ეს რეჟიმი არა თუ ილია „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოსო“ ვერ ითმენდა, დ. ყიფიანის ლოიალიზმსაც კი სისხლით გაუსწორდა“ (აბაშიძე კიტა, 1913, გვ.433).

კიტა აბაშიძის თქმით, ილია ჭავჭავაძის განაცხადი არჩილ ჯორჯაძემ პრაქტიკული პოლიტიკის სიბრტყეში გადაიტანა. „არ-

ჩილ ჯორჯაძემ ეს ფორმულა ხორცშესხმულ პოლიტიკურ მოთხოვ-ნილებად აქცია. ილიამ და არჩილმა ერთმანეთს უკანასკნელად ხე-ლი მისცეს, როცა მარად სახსოვარი „პეტიციების“ დროს ილიამ პირველმა წამოაყენა „საქართველოს ავტონომია“, როგორც პოლი-ტიკური მოთხოვნილება...“ (აბაშიძე კიტა, 1913, გვ.433).

რუსეთის იმპერიის არსებობის პირობებში ეს მოთხოვნა მიჩ-ნეული იქნა იმ პირველ ნაბიჯად, რომლის ღიად წამოყენებაც იყო შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ თავად არჩილ ჯორჯაძე თავს მესამოცი-ანელთა მემკვიდრედ არ მიიჩნევდა და 1911 წელს გარკვეულ პროგ-ნოზსაც აკეთებდა: „მესამოცე წლებიდამ დღევანდლამდე ჩვენს წინ იშლება მხოლოდ სამი დიდი ორგანული მოვლენა ჩვენი საზოგა-დოებრივი ცხოვრებისა - ნაციონალური ლიბერალიზმი მესამოციან წლებისა, მარქსიზმი მეოთხმოცდაათიან წლებისა და სოციალ-ფე-დერალიზმი მეოცე საუკუნის დასაწყისისა. ყველა სხვა მიმარ-თულებას ან დამოუკიდებელი, ზრდა-დამთავრებული ხასიათი არა ჰქონდა, ან კიდევ გარდამავალი იყო მათი საზოგადო მსოფლმხედველობა. არც მარქსიზმს, არც სოციალ-ეროვნულ მიმართულებას არ უთქვამთ ჯერ თავიანთი უკანასკნელი სიტყვა. მოსალოდნელია ამ იდეიურ მოვლენათა ევოლუცია მახლობელ მომავალში. რაც შეეხება ნაციონალ-ლიბერალებს, მათ ჯერ ხნობით ნამდვილი ღირსეული მემკვიდრენი არ გაუჩნდათ. და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს არის დიდი უკუღმართობა და ღრმა ანომალია“ (ჯორჯაძე არჩილ 1911B, გვ.77-78).

არჩილ ჯორჯაძის მიერ ნახსენებ „მახლობელ მომავალში“ მართლაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რასაც მარქსიზმისა და სოციალურ-ეროვნული მიმართულების მნიშვნელოვანი ცვლი-ლებები მოჰყვა, როგორც იდეური მიმართულებებისა, მაგრამ ამას თავად არჩილ ჯორჯაძე ვერ მოესწრო. „ნაციონალური ლიბერა-

ლიზმის“ მემკვიდრედ კი 1917 წელს შექმნილი ეროვნულ-დემოკ-რატიული პარტია უნდა მივიჩნიოთ.

2. არჩილ ჯორჯაძე თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნების შესახებ

კიტა აბაშიძის მიერ „პოლიტიკურ რომანტიზმში“ დასმული საკითხის განხილვის გაგრძელებად და გაღრმავებად უნდა მივიჩ-ნიოთ არჩილ ჯორჯაძის (1872-1913) მიერ 1909 წელს დაწერილი ნაშრომი „თ.-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნე-ბა მე-19 საუკუნეში“.

ამ საკმაოდ ვრცელ გამოკვლევაში არჩილ ჯორჯაძე ეთანხმება კიტა აბაშიძეს 1832 წლის შეთქმულების და მის მონაწილეთა პო-ლიტიკური აზროვნების შეფასებაში. ოღონდ 1832 წლის შეთქმუ-ლების შემდეგ ქართული თავადაზნაურობის პოლიტიკურ საქმიან-ობას მთლიანად რეაქციულად და ეროვნული პოზიციების დათმო-ბად არ მიიჩნევს. თავადაზნაურობის ნაწილი მართლაც მხოლოდ პირად გამორჩენაზე ფიქრობდა, ნაწილი „სამშობლოზე ზრუნვის“ დავიწყებას იმით ამართლებდა, რომ პატარა ერების გაქრობას გარ-დუვალად აცხადებდა, მაგრამ იყვნენ ისინიც, ვინც „იმპერიის ერ-თგულების“ და სამშობლოსათვის სამსახურის შეთავსებას ცდი-ლობდნენ. მათი მხრიდან ეს არ იყო თვალთმაქცობა, მათ მართლაც სჯეროდათ ამ ორი რამის შეთავსების შესაძლებლობისა. სწორედ ამ, ეროვნულ პოზიციაზე მდგომი მიმდინარეობის პოლიტიკური

აზროვნების დახასიათებას ცდილობს არჩილ ჯორჯაძე დასახელებულ ნაშრომში.

1832 წლის შეთქმულთა პოლიტიკური გულუბრყვილობა და აზროვნების დუალიზმი

არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით, 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორთა პოლიტიკური აზროვნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში „სურვილსა“ და „ოცნებას“ ემყარებოდა, რაც ჯდებოდა პოლიტიკური რომანტიზმის ფარგლებში. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს ახასიათებდათ „აზროვნების დუალიზმი“. ქართული ინტელიგენციის პირველი თაობის წარმომადგენლები (სოლომონ დოდაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი და სხვ.) ხედავდნენ რუსეთის მმართველობის დადებით შედეგებს და თან საქართველოს განთავისუფლებას ფიქრობდნენ. 1832 წლის შეთქმულთა შესახებ არჩილ ჯორჯაძე წერდა: „მათი მთავარი ძალა და მთავარი იმედი იყო მათი სურვილი და მათი ოცნება“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.155).

არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები „რუსის მთავრობის დამხობას სცდილობდნენ“, ამავე დროს კი ეხმარებოდნენ მთიელებთან (ლეკებთან) ბრძოლის დროს. ახასიათებდათ „ინტელიგენტური ფუქსავატობა და წინააღმდეგობა“, „უსაქმო ლაქლაქობა, თავად-აზნაურული უდარდელობა-დარდიმანდობა“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.156).

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ „ქართველ ინტელიგენტის გულში ისევ შიში, კრძალვა და ორჭოფობა შეიპარა. იმედი ხსნისა დაიკარგა და ხელმეორედ იწყება პროცესი შეგუებისა და თავმდაბლობისა“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.156).

„რეალური პოლიტიკის“ გულუბრყვილობა

არჩილ ჯორჯაძის შეფასებით, 1832-1890 წლებში ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენცია „რეალური პოლიტიკის“ გზას დაადგა, თუმცა ამ რეალიზმს კვლავ პოლიტიკური გულუბრყვილობა ედო საფუძვლად. თავადაზნაურული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები ცდილობდნენ ეროვნულ-ქართულისა და რუსულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეთავსებას. „საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ოცნება, გარემოების მიხედვით, უკუაგდეს. მისი ადგილი დაიჭირა „ერთგულ-ქვეშევრდომობის“ გრძნობამ. ხოლო ამ გრძნობას თან სდევდა მეორე გრძნობა - „გულმოდგინეობა მამულისადმი“... „მამულიშვილობა“ „ერთგულ-ქვეშევრდომობას“ გადააბეს და ამ შეუღლებას მისცეს რაინდული ხასიათი. „მამულის“ ინტერესების დაცვისათვის არავითარ გარანტიას არ ითხოვდნენ“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.158).

კრედო მკაფიოდ გამოხატა კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ. „ერს, რომელსაც ჰქონია მრავალ საუკუნოვანი და დიდებული წარსული, არ მოეთხოვება, - იგი წარსული დაივიწყოს. ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიისა ერთგულებაა ღმრთისა, ერთგული ქვეშევრდომობაა ხელმწიფე იმპერატორისა და გულმოდგინეობა მამულისათვის“ (ბაგრატიონ-მუხრანსკი კ. 1887).

არჩილ ჯორჯაძის თქმით, ამ პოზიციას იზიარებდა არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ ქართველ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობაც 1832 წლის შეთქმულების შემდეგ ხანიდან თითქმის 1890 წლამდე. პოლიტიკური აზროვნების ასეთი დუალიზმი შეუთავსებელი პრინციპების შეთავსებას ცდილობდა, მიუხედავად იმისა, რომ „XIX საუკუნის ბოლოს უკვე ნათელი იყო, რომ ოფიციალური და გაბატონებული სახელმწიფოებრივი აზრი არ იწყნარებს ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტას“ და პოლიტიკური აზროვნების გულუბრყვილობაზე მეტყველებდა.

ამ თაობის წარმომადგენლები გულუბრყვილოდ და რაინდულად ემსახურებოდნენ იმპერიას და სანაცვლოდ არ ითხოვდნენ რაიმე გარანტიებს. ისინი არ ინტერესდებოდნენ იმით, „თუ რა პოლიტიკური პირობებია საჭირო იმისთვის, რომ ქართველი ქართველად დარჩეს“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.166).

დიმიტრი ყიფიანი „უგუნური რაინდობის“ პოლიტიკის წინააღმდეგ

დიმიტრი ყიფიანი შეებრძოლა „უგუნური რაინდობის“ პოლიტიკას, მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა და ღიად მოითხოვა ქართველობის დაცვის პირობები: „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართულ ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.167).

არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით, დიმიტრი ყიფიანი „ერთგულებას სერიოზულად უყურებდა. მის თვალში ეს იყო საშუალება ქართულ ეროვნების დაცვისა. და მან მოინდომა კიდევაც ეროვნების დაცვა ერთგულების საშუალებით და როდესაც ამგვარი მისი მოქმედება არ შეიწყნარეს, უკან არ დაიხია და „ფორმულის“ გადარჩენის გულისათვის „მამულს“ არ უღალატა და მსხვერპლადაც შეეწირა თავის სამშობლოს“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.160).

დიმიტრი ყიფიანმა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა. ის დარწმუნდა, რომ „ყოველივე თვალთმაქცობაა და რომ ქართველების მხრივ მორჩილ ქვეშევრდომობის მეტს არას ითხოვდნენ“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.171).

დიმიტრი ყიფიანი გადაასახლეს და 1887 წლის ოქტომბერში გადასახლებაში მოკლეს. არჩილ ჯორჯაძის თქმით, „ამასთან მოჰკლეს პოლიტიკურ სარწმუნოების სიმბოლო, რომელზედაც პირ-

ველ ადგილზე ერთგულ-ქვეშევრდომობის მოვალეობა ეწერა. ამ დროიდან იწყება ქართველ ინტელიგენციის გულში ახალი სულიერი მუშაობა, ნების და მოქმედების ახალი ორიენტაცია“ (ჯორჯაძე არჩილ 1909, გვ.174-175).

უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე მუხრან-ბატონის „რწმენის სიმბოლო“ 1890 წელს არ გამქრალა. რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნების იმედი შემდეგაც ფიგურირებდა ქართულ პოლიტიკურ აზრში. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ იაკობ გოგებაშვილის მიერ 1901 წელს გამოქვეყნებული სტატია „ქართული მიმართულება“. იაკობ გოგებაშვილი საუბრობს „ქართული პოლიტიკური სარწმუნოების“ სიმბოლოზე, რომელიც ოთხ ბურჯს ეყრდნობა. პირველი ბურჟი იაკობ გოგებაშვილის თანახმად, „ქართველობა აღიარებს თავისს მტკიცე ერთობას რუსეთთან და ერთგულებას ხელმწიფე იმპერატორისას, როგორც საქართველოს მეფისას. ეს ახალი მცნება არ არის ქართველთათვის. იგი დიდი ხნისაა. ჩაისახა იგი ქართველთა გულში ჯერ შუა საუკუნოებში, იზარდა, იზარდა და ბოლოს გათავდა რუსეთთან შეერთებით. ასე, რომ რუსეთთან ქართველების ერთობას, კავშირს ღრმა ისტორიული საძირკველი უძევს. იმედი რუსეთზე და მისს ხელმწიფეებზე თაობიდან თაობაზე გადადიოდა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში და ჩვენს პოლიტიკურ ერთგულებას მემკვიდრეობითი ხასიათი მიეცა“ (გოგებაშვილი იაკობ, 1901, გვ.311). სამაგიეროდ იაკობ გოგებაშვილის მიერ დასახელებული დანარჩენი სამი ბურჯი გულისხმობდა ქართული ტერიტორიის და ენის დაცვას, ქართულ სკოლასა და ქართულ ეკლესიას. ძნელი სათქმელია მართლა სჯეროდა იაკობ გოგებაშვილს პირველი ბურჯის თავსებადობისა დანარჩენ სამთან, თუ ეს პოლიტიკური ტაქტიკის საკითხი იყო, რათა ეროვნული ინტერესების დასაცავად მიმდინარე ბრძოლაში ბრალი არ დაედოთ სეპარატიზმში.

„მესამოციანების“ კრიტიკა

არჩილ ჯორჯაძე, მაღალ შეფასებას აძლევდა „მესამოციანებს“, ანუ ილია ჭავჭავაძის თაობას, აღნიშნავდა, რომ მათ „დიდი ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის წინაშე, მათ შემოიტანეს ეროვნული კულტურა“, მაგრამ კიტა აბაშიძისგან განსხვავებით, აკრიტიკებდა „მესამოციანებს“ სწორედ იმიტომ, რომ მათ ვერ იპოვეს ქვეყნის ეროვნული აღორძინებისა და განთავისუფლების გზა. „ერის უფლება მათთვის ის იყო, რაც ცნობილ არაკში მელასათვის იყო მშვენიერი ყურძნის მტევანი, მაღალ ხეზე ჩამოკიდებული. თავად-აზნაურულმა ინტელიგენციამ, რომლის წრეშიაც მესამოცე წლის მოღვაწენიც იყვნენ, სამშობლოს სამსახური მოინდომა ორაზროვნობის, ყიზილბაშურის მეთოდების საშუალებით და ამ ინტელიგენციამ მოიმკო ის, რაც დათესა, ე. ი. სრული გაკოტრება თავისი პოლიტიკური პროგრამისა“, აღნიშნავდა არჩილ ჯორჯაძე (არჩილ ჯორჯაძე 1911, გვ.V- VI).

ასეთი შეფასება, ცხადია, არასწორი იყო. ილია ჭავჭავაძეს, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ აფასებდა ბევრი მისი თანამედროვე. როგორც ვხედავთ, ეს ისეთ დიდ მოაზროვნესაც გაუჭირდა, როგორიც არჩილ ჯორჯაძე იყო. 1932 წელს ემიგრაციაში მყოფი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალ. ასათიანი აღნიშნავდა: „დიდი ილიას ღვაწლი საკმარისად არ ჰქონდა შეგნებული და დაფასებული მის დროინდელ ქართულ საზოგადოებას და ეს ბუნებრივია. დიდი საქმისა და დიდი მოღვაწეობის გაგებასა და შესისხლხორცებას სათანადო დრო სჭირია და მომზადება. ჩვენმა თაობამაც ვერ დასძლია ეს დიდი მემკვიდრეობა“ (ასათიანი ალ. 1932, გვ. 15).

ამასთან დაკავშირებით ალ. ასათიანი იხსენებდა 1927 წელს თავის ნათქვამს, რომ ილია ჭავჭავაძე „უპირველესად ყოვლისა... არის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, ახალი ქართული პოლიტიკის მამამთავარი და პოეზია მხოლოდ იარაღია მისთვის.“ მაშინ ეს ნათქვამი „ბევრს ეუცხოვა“. ალ. ასათიანის თქმით, ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა ათტომეულის გამოცემა „ამ აზრს საყოველთაოდ ნათელ ჰყოფს“ (ასათიანი ალ. 1932, გვ. 15).

ილია ჭავჭავაძის როგორც პოლიტიკური მოღვაწის დამსახურების თაობაზე კი ალ. ასათიანი იქვე აღნიშნავდა: „დიდმა ილიამ და სახელოვანმა მისმა თანამებრძოლებმა დაუმუშავეს ქართველ ერს ეროვნული ცხოვრების საღს ნიადაგზედ აშენების გეგმა და მის განხორციელებას შეალიეს მთელი თავისი სიცოცხლე. ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენისა და მისი თანამედროვე დაწინაურებულ ერთა უფლებრივსა და ხალხოსნური პოლიტიკის საფუძველზე დამყარების გეგმა“ (ასათიანი ალ. 1932, გვ. 15).

ქართველ სოციალ-დემოკრატთა აზროვნების დახასიათება

არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოყოფილი ქრონოლოგიური მიჯნა - 1890 წელი, - შემთხვევითი არაა. ამის შემდეგ პოლიტიკურ არენაზე გამოდის „არათავადაზნაურული ინტელიგენცია“ და პოლიტიკური აზროვნებისთვისაც ახალი დამახასიათებელი ნიშნები ჩნდება. არჩილ ჯორჯაძისთვის პირველ რიგში ესაა სოციალ-დემოკრატია და სოციალისტ-ფედერალისტები. ამ საკითხის შესწავლისთვის მას სპეციალური ნაშრომი არ მიუძღვნია. თუმცა, ამ მხრივაც არჩილ ჯორჯაძე საინტერესო დახასიათებას იძლევა.

მაგალითად, თავის თხზულებათა მე-2 წიგნის წინასიტყვაობაში არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა: „სოციალ-დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, რომელიც საუკუნის დამლევს გაჩნდა ჩვენში, ამ მხრივ არავითარი ახალი აზრი არ შემოიტანა. პოლიტიკურ აზროვნების მხრივ მას დიდი მსგავსება აქვს თავად-აზნაურულ ინტელიგენციასთან, განსხვავება მხოლოდ დემოკრატიზმის მეტნაკლებობაშია. მაშინ როდესაც პირველნი რუსეთის თვითმპყრობელობიდან გამოელიან ხსნას და წყალობას, მეორენი ამ ხსნას ეძებენ რუსეთის დემოკრატიის პოლიტიკურ იდეალებში“ (არჩილ ჯორჯაძე 1911, გვ.VI).

არჩილ ჯორჯაძის აზრით, სოციალ-დემოკრატებმა გააგრძელეს 1870-1880-იან წლებში ქართველ ახალგაზრდების ერთ ნაწილში გაჩენილი მიმართულება - ეს ახალგაზრდობა „სამშობლოს გაურბოდა და თავის მოვალეობადა სთვლიდა რუსეთის საშუალებით კაცობრიობის მოძრაობაში ჩარეულიყო. რამდენად გულწრფელი იყო ამ ახალგაზრდობის მისწრაფება, იმდენად უნაყოფო იყო მისი მოქმედება და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ, ასცდა რა იგი სამშობლო ნიადაგს. კაცობრიობის სამსახური მოინდომა უშუამავლო ეროვნულ ჩარჩოების გარედ“. (არჩილ ჯორჯაძე 1901, გვ.90-91).

არჩილ ჯორჯაძე ამ მიმართულებას „უნიადაგოს“ უწოდებდა. „ამ მოძრაობას უნიადაგობის სახელს იმიტომ კი არ ვაძლევთ, რომ იგი ვითომ ჩვენის ცხოვრებიდან წარმოშობილი არ ყოფილიყოს, არამედ იმიტომ, რომ მან უმგზავსი, უსამართლო და მიდგომილი ხასიათი მიიღო“ (არჩილ ჯორჯაძე 1901, გვ.91).

არჩილ ჯორჯაძის აზრით, აზროვნების ამ „უნიადაგო“ ტიპის წარმოშობა ორმა მიზეზმა განაპირობა. ერთი მხრივ, საქართველოში არსებული რეალობა „ვერ აკმაყოფილებდა განვითარებულ გონებას“, მეორე მხრივ კი „ვიწრო პატრიოტული მიმართულება“ აფრთხობდა უცხოეთში განათლებულ ახალგაზრდობას.

რატომ არ აკმაყოფილებდათ საქართველოში არსებული ვითარება? არჩილ ჯორჯაძის თქმით, „ჩვენი განათლებული ახალგაზრდა თავის სიჭაბუკეს უცხო ქვეყანაში ატარებდა. რამდენისამე წლის განმავლობაში იგი ეცლებოდა ჩვენს დაქვეითებულ ცხოვრებას და ატარებდა რუსეთის დიდ ცენტრებში, სადაც შედარებით ცხოვრება სდუღდა, საცა ახალგაზრდა კაცი ადვილად ჰპოულობდა გონების საზრდოს და თავის გულის პასუხსაც აკმაყოფილებდა“ (არჩილ ჯორჯაძე 1901, გვ.91).

ამ ახალგაზრდობის უკმაყოფილებას იწვევდა ე. წ. „ვიწრო პატრიოტიზმიც“, რომელიც „ფეხს იდგამდა ჩვენი საზოგადოების

ერთ ნაწილში“ ამგვარი პატრიოტიზმის თაობაზე არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა, რომ მისი „დამახასიათებელი თვისება იყო თავმოწონება, წარსულ გმირთა და ცხოვრების თაყვანის ცემა, განურჩევლად იმისა, თუ რა იყო წარსულში სათაყვანებელი და რა გასაკიცხი“ (არჩილ ჯორჯაძე 1901, გვ.91).

ადგილობრივმა „ვიწრო“ პატრიოტიზმმა და უცხოეთით გატაცებამ ახალგაზრდობის ამ ნაწილს სამშობლოსადმი გულგრილი დამოკიდებულება ჩამოუყალიბა. არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით, „ჩვენებურმა ვიწრო პატრიოტობამ რეაქცია გამოიწვია. ეს რეაქცია გამოისახა კაცობრიობის ფართო, ფრთებ-შეუკვეცელ სამსახურის სურვილში. ახალგაზრდა ქართველი ჰშორდება ეროვნულ ნიადაგს და ამ დაშორებით თანდათან სულიერ კავშირსაც ჰკარგავს იმ წრესთან, რომელშიაც იგი აღიზარდა. ამ სულიერ კავშირის გაწყვეტასთან მის გულში სამშობლოსადმი გულგრილობამ და უსამართლობამ დაისადგურა. არც წარსულში, არც აწმყოში, არც მომავალში ის არა ხედავდა სანუგეშოს, სანუკვარს, გამახალისებელს და გულის გამკეთებელს. ბარბაროსობა წარსულში, ბარბაროსობა აწმყოში და მომავალი ბურუსით მოცული - აი ის დასკვნა, რომლამდინაც მივიდა ერთი ნაწილი ჩვენის ძველი თაობისა თავის ახალგაზრდობაში“ (არჩილ ჯორჯაძე 1901, გვ.91-92).

ამ მიმართულების ტიპიური გამოხატულება იყო 1889 წელს „სევერნი ვესტნიკში“ ნარ-დონის მიერ გამოქვეყნებული „წერილები საქართველოზე“. სწორედ მის წინააღმდეგაა მიმართული ილია ჭავჭავაძის ცნობილი ნაშრომი „აი ისტორია“.

„წამბაძველობით“ გამოწვეული საფრთხეები

არჩილ ჯორჯაძე მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველებისთვის დამახასიათებელ ერთ მნიშვნელოვან თვისებად, რაც დიდ გავლენას ახდენდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაზე, გლობალური იდეებით გატაცებას და წამბაძველობას მიიჩნევდა. „ჩვენ ყო-

ველთვის ის გვინდა, რაც საუკეთესოა, რაც დიდებულია სანახაობ-ით და წარმტაცი გარეგნობით... განსაკუთრებით კი ის გვიყვარს, რომ აქ შინ, ჩვენს პატარა სამშობლოში, მსოფლიოს მნიშვნელობის ამბები ხდებოდეს“, - აღნიშნავდა არჩილ ჯორჯაძე (ჯორჯაძე ა. 1910, გვ.257). თუკი რუსეთში ან ევროპაში რამე ხდებოდა, საქარ-თველოშიც იგივე უნდა გაემეორებინათ, იმისდა მიუხედავად, რომ კონკრეტულ-ისტორიული რეალობა განსხვავებული იყო. ეს პირ-ველ რიგში მემარცხენე სოციალისტურ პარტიებს ეხებოდათ, რომ-ლებიც მსოფლიოს გარდაქმნის იდეით იყვნენ გატაცებულნი.

წამბაძველობა ორი სახით ვლინდებოდა - ერთი, როგორც უკვე ითქვა, იყო სურვილი, რომ საქართველოშიც გამეორებულიყო იგივე, რაც „მოწინავე ქვეყნებში“ ხდებოდა, მეორე კი „მოდური“ იდეებით მასობრივი გატაცება - „ის თუ ამ იდეას ან პარტიას მის-დევს, - მე რატომ უნდა ჩამოვრჩეო“.

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე აფასებდა რა განვლილ პერიოდს, თვითკრიტიკულად აღ-ნიშნავდა რევოლუციონერთა მისამართით: „საქართველო სოცი-ოლოგიურ და სოციალისტურ პრობლემების გასარკვევი ლაბორა-ტორია გვეგონა“, „რევოლიუციის ხანაში თვალებზე რაღაც ბინდი გვეფარა და ... კოლექტივისტურ-კომუნისტური წესწყობილება სულ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გვეგულებოდა“ (ჯორჯაძე ა. 1910, გვ.249). ეს კი ხელს უშლიდა ქვეყანაში არსებული ვითარების რეალურ და ადექვატურ შეფასებას.

არჩილ ჯორჯაძის დასკვნით, „წამბაძველობა ერთი დამახასი-ათებელი თვისებათაგანია ჩვენი ხასიათისა. უკულტურო ხალხი ყოველთვის წამბაძავია...“ და შენიშნავდა - „ჩვენი „საზოგადოების“ ერთი დიდი ნაწილის გასოციალდემოკრატება განა იმავ წამბაძვე-ლობის კანონის ძალით არ მოხდა!“ (ჯორჯაძე ა. 1910, გვ.259).

კაცობრიობის რევოლუციური გარდაქმნის იდეის გამოდევნე-ბას შედეგად ის მოსდევდა, რომ დავიწყებული იყო „ჩვენი ქვეყნის

ინტერესი“. სოციალისტები კვლავ საუბრობდნენ კლასთა ბრძოლაზე, „ნაციონალიზმის საფრთხეებზე“ და ავიწყდებოდათ, რომ სინამდვილეში „ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხი“ იდგა (ჯორჯაძე ა. 1910, გვ.261). არჩილ ჯორჯაძე ამაოდ მოუწოდებდა დემოკრატიული ძალების გაერთიანებისკენ, ეროვნული ინტერესების დასაცავად საერთო მოქმედებისაკენ.

3. ივანე ჯავახიშვილი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობის შესახებ

ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებებს ამ პერიოდის სხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებიც ეხებიან. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ივანე ჯავახიშვილი. ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ივანე ჯავახიშვილის ადრეული ნაშრომები, მაგალითად, 1904 წელს გამოქვეყნებული „მამულიშვილობა და მეცნიერება“.

ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებებს დაწვრილებით ეხება ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) 1919 წლის აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ საჯარო მოხსენებაში „თანამედროვე მომენტის შესახებ“ და იმავე წელს გამოსულ ნაშრომში "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში". ივანე ჯავახიშვილმა გააფართოვა ქართული პოლიტიკური აზროვნების ანალიზის ქრონოლოგიური პერიოდი - მოიცვა XVIII საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისიც.

„ადვოკატურ გამოსარჩლებითი“ ისტორია როგორც პოლიტიკური გულუბრყვილობა

ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ივანე ჯავახიშვილმა გადაჭრით დაგმო ე. წ. ადვოკატურ-გამოსარჩლებით ისტორიას, რომლის შესახებაც წერდა გოგებაშვილი, როგორც დადებით და საჭირო საქმეზე. „ეს მიმართულება ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულებით გამოუსადეგარი გახლავთ“, - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი. ასეთ მიდგომას არათუ უსარგებლოდ, არამედ საზიანოდაც მიიჩნევდა - „საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოვო კულტურა ჰქონიათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლებაო“ (ჯავახიშვილი ივანე 1904, გვ.66).

ასეთი აზრის გავრცელებით, „საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თვითონ როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს“ (ჯავახიშვილი ივანე 1904, გვ.66). ასეთი მოწყალების ლოდინი კი ქართულ თავად-აზნაურობაში ისედაც ფართოდ იყო გავრცელებული მე-19 საუკუნეში.

ჯავახიშვილის თქმით, ავსტრიაში „ჩეხებმა თუ რაიმე უფლება მიიღეს. მხოლოდ კულტურის აღორძინებით, ეკონომიკურ წარმატების და პარლამენტის ბრძოლის წყალობით“ და არა „ადვოკატური“ ისტორიით. ასეთი თხზულებები „მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შესცვლიან“ (ჯავახიშვილი ივანე 1904, გვ.66).

წარსულ დიდებულ ისტორიას არა აქვს მნიშვნელობა დღევანდელ პოლიტიკაში. „რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“, გადაშენდა დიდებული წარსულის მქონე ბევრი ერი. „აშკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო

პოლიტიკასა და ცხოვრებაში დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყოა მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული...“, - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი ივანე 1904, გვ.68).

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ისტორია არაფრის მომტანია არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმის აღზრდის კუთხითაც. „ადვოკატური“ ისტორიით ქართული საზოგადოება „ყოველთვის მოტყუებული იქნება და ვერც როდის ვერ გაიგებს, მართალია ის, რასაც მეცნიერი ბრძანებს“ თუ არა. საკუთარი თავის მოტყუება ეროვნულ ცნობიერებას ვერ აამაღლებს. „თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“ (ჯავახიშვილი ივანე 1904, გვ.69).

ევროპულ პოლიტიკაში გამოჩენილი გულუბრყვილობა

ნაშრომში „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნეში“ ქართული პოლიტიკური აზროვნების მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ივანე ჯავახიშვილი კვლავ პოლიტიკურ გულუბრყვილობას გამოჰყოფდა. მისი თქმით, ქართველი პოლიტიკოსები კარგად ერკვეოდნენ აზიურ პოლიტიკაში, მაგრამ გულუბრყვილოები აღმოჩნდნენ ევროპულ პოლიტიკაში და ეს მკაფიოდ გამოჩნდა XVIII საუკუნეში. „აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს", - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი ივ. 1919A, გვ.4).

მაინც რა მიაჩნდა ივანე ჯავახიშვილს საქართველოს წარსულიდან “საგულისხმო და გამაფრთხილებელი” მიმდინარე პოლიტიკისათვის? ივანე ჯავახიშვილი აანალიზებდა თუ რამ განაპირობა მე-19 საუკუნის დასაწყისში ქართული სახელმწიფოებრიობის

ნგრევა და რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. ის ასახელებდა ერთადერთ მიზეზს - „ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა" ევროპელებთან და, კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში. "ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა", - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი ივ. 1919B, გვ.14).

ივანე ჯავახიშვილის მოკლე ისტორიული ექსკურსი მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიაში აჩვენებს, თუ რა კატასტროფული შედეგები მოუტანა საქართველოს ვახტანგ VI და ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მიმართ გატარებულმა ამგვარმა გულუბრყვილო პოლიტიკამ. ლექციის დასაწყისშივე ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა მთავარი დასკვნა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა ისტორიული მიმოხილვიდან: "თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო".

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველ პოლიტიკოსთა მიერ დაშვებულმა საბედისწერო შეცდომებმა განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წარმატება. სწორედ ამის გამო მე-18 საუკუნეში ქართულმა სახელმწიფომ ორჯერ განიცადა კატასტროფა. "ქართულ პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე", -აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი. (ჯავახიშვილი ივ. 1919B, გვ.19).

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს მე-18 საუკუნეში ქართული პოლიტიკური აზროვნების მიერ გამოჩენილი გულუბრყვილობის შესახებ თავისებურად გამოეხმაურა და დამატებითი ფაქტობ-

რივი მასალით წარმოადგინა ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელმაც 1920 წელს გამოსცა ორი პატარა ბროშურა: „პეტრე დიდმა როგორ მოატყვილა ვახტანგ მეექვსე და 3000 ოჯახი ქართველთა“ და „აღა-მაჰმადხანის მეორეთ შემოსევა და მისი წამქეზებელნი 1797 წ.“

ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ „საქართველოს რუსეთის ხელში ჩავარდნაში“ გადამწყვეტი როლი შეასრულა ვახტანგ VI-ის გულუბრყვილობამ, როდესაც ის მთლიანად მიენდო პეტრე I-ს, როგორც ქრისტიან ხელმწიფეს. „პეტრე დიდისა და ვახტანგ მეფის შედარება რომ იქმნეს, მაშინ ვახტანგ მეფე პეტრე დიდზედ ბევრით გონიერი გამოვა და განათლებული... პეტრე დიდი ვახტანგ მეფეზედ მაღლა იდგა მხოლოდ გველაძუობით და ეშმაკობით“, - აღნიშნავდა ზაქარია ჭიჭინაძე. მაგრამ ქრისტიან მონარქთან ურთიერთობით მოხიბლული „ვახტანგ მეფე პეტრე დიდის პოლიტიკას სულ ვერ იმჩნევდა და მას თითქმის წმინდანად სახავდა“. ქართველთა მეფის მიამიტობით სარგებლობდა „პეტრე დიდი და მიტომაც მეცადინეობდა ... ვახტანგ მეფის დასაღუპად და საქართველოს დასაჩემებლად“ (ჭიჭინაძე ზ., 1920A, გვ.9)

ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, იგივე გამეორდა მეფე ერეკლეს დროსაც. რუსებს საქართველოს ხელში ჩაგდებაში „ხელს უწყობდა დიდათ ის გარემოება, რომ რუსთა და ქართველთა სჯული ქრისტიანული იყო და მეორე ქართველები კიდევ ამ ქრისტიანობის სჯულის დიდი პატივისმცემლები იყვნენ” (ჭიჭინაძე ზ., 1920B, გვ.14). ამავე დროს ქართველები საერთოდ აღარ ენდობოდნენ ოსმალებს და სპარსელებს და არც მათ დაპირებებს მეგობრობის შესახებ. „ბედშავი ქართველნი რაკი ერთხელ შეწუხდნენ ოსმალ-სპარსთაგან, რაკი ერთხელ სასტიკად იქმნენ აოხრებულ-ანიავებულნი, ამიტომ ქართველებს მათი აღარაფერი სჯეროდათ, ხოლო ქართველნი ვეღარ არჩევდნენ ვერც ოსმალ-სპარსთა მტრობას და ვერც მეგობრობას“ (ჯავახიშვილი ივ. 1919B, გვ.8).

„ოსმალეთ-სპარსთა მეგობრობა“ მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო. ამ პატარა ბროშურებს კი ზაქარია ჭიჭინაძე ალბათ იმიტომ წერდა, რომ საბჭოთა რუსეთის მეგობრული ზრახვებისა არ სწამდა და არც სხვას ურჩევდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების იმედად ყოფნას.

"ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით“

ივანე ჯავახიშვილს განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც „ძველმა საბედისწერო სენმა“ - გულუბრყვილობამ საგარეო პოლიტიკაში კვლავ თავი იჩინა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. "ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა", - 1919 წლის გაზაფხულზე ასეთ შეფასებას აძლევდა ახალი თაობის ქართველ პოლიტიკოსთა აზროვნებას და მოქმედებას ივანე ჯავახიშვილი. (ჯავახიშვილი ივ. 1919B, გვ.19).

ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა გამოვლინდა იმაში, რომ "რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა", რადგანაც "ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა". მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ მიაჩნია დიდ შეცდომად და აღნიშნავდა, რომ "პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადიდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია". (ჯავახიშვილი ივ. 1919B, გვ.19).

ივ. ჯავახიშვილს "გულუბრყვილო პოლიტიკის" გაგრძელებად მიაჩნია ქართველ პოლიტიკოსთა ნდობა ანტანტის წარმომადგენელთა განცხადებებისა და დაპირებებისადმი. პარიზის კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია მშვიდად შეხვდა იმ ფაქტს, რომ სომხეთის დელეგაცია მოკავშირეებმა ბათუმში ჩამოს-

ვლისთანავე გააგზავნეს პარიზისაკენ, საქართველოს დელეგაციას კი ერთი კვირა აცდევინეს - თქვენთვის სპეციალურად ჩამოვა გემიო. "ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯერდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა", - ირონიულად შენიშნავდა ივ.ჯავახიშვილი.

იმდროინდელი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა, რიგ შემთხვევებში, გამომდინარეობდა პარტიული იდეოლოგიიდანაც. სოციალისტური პარტიები დიდ იმედს ამყარებდნენ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის წარმატებაზე. იმედოვნებდნენ, რომ ევროპაში რევოლუციის წარმატების შემთხვევაში მათ საქმე ექნებოდათ არა ანტანტასთან, არამედ სულ სხვა ევროპასთან. საქართველო-სომხეთის ომის დროს 1918 წლის დეკემბერში საქართველოს სოციალ-დემოკრატ ხელისუფალთ დიდხანს არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ სომხეთმა ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ.

ივ. ჯავახიშვილი მოუწოდებდა ქართულ პოლიტიკაში გულუბრყვილობის დაძლევისაკენ. ქართული პოლიტიკისათვის არაფერი შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ, თუკი ერთმორწმუნეობით განპირობებულ გულუბრყვილობას ჩაანაცვლებდა გარკვეული იდეოლოგიით განპირობებული პოლიტიკური გულუბრყვილობა. ივანე ჯავახიშვილის ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული.

4. კონსტანტინე გამსახურდია ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზების შესახებ

ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებების შესახებ 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წერდა კონსტანტინე გამსახურდია (1893-1975). ის ქართული აზროვნების (პირველ რიგში ქართული ინტელიგენციის) მანკიერი მხარეების გამოვლენას ცდილობდა და სწორედ ამაში ეძებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხების, საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელახალი დაკარგვის მიზეზებს. აღნიშნულ საკითხს კონსტანტინე გამსახურდია განიხილავს 1921 წლის მაისში დაწერილ ორ ნაშრომში: ესაა სტატია „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს“ და რეცენზია მწერალთა კავშირის საბჭოს გამოცემაზე „პოეზიის დღე“.

კონსტანტინე გამსახურდია ამ სტატიებს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, „ცხელ გულზე“ წერდა და შეიძლება, კრიტიკულ, მწარე შეფასებებშიც აჭარბებს, რადგანაც უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნია მომხდარი ეროვნული მარცხის შემდეგ „მწარე სიტყვების“ თქმა ქართველი ერისათვის. კ. გამსახურდიას თქმით, „ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზებიც ქართველი ერის შინაგან არსებობაშია საძებნელი“ და „შეცდომათა აღიარება სჯობია შეცდომების მიფუჩეჩებას“, „დღეს შექმნილი მდგომარეობა გვავალებს უფრო მეტ ჩაფიქრებას, ჩვენი შეცდომების გათვალისწინებასა და შესწავლას“ (გამსახურდია კონსტანტინე, 1921B).

ქართული სახელმწიფოს დავიწყების შედეგები

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამ მძიმე დაღი დაასვა ქართულ ცნობიერებას და პოლიტიკურ აზროვნებას. „ქართველობა გადაეჩვია სახელმწიფოს ერთგულებას“, ქართველები გრძნობდნენ, რომ „რუსეთის გერები“ იყვნენ და სახელმწიფოსადმი მტრული დამოკიდებულება გაუჩნდათ. ეს კი „რყვნის პოლიტიკურად ერს. ავითარებს მასში ანტისახელმწიფოებრივ ტრადიციებს“ (გამსახურდია კონსტანტინე, 1921B).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამი წელი საკმარისი არ აღმოჩნდა „ანტისახელმწიფოებრივი ტრადიციების“ დასაძლევად. მისი თქმით, „ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნულ სახელმწიფოს ასაშენებლად“, „ჩვენ ვერ შევქმენით ისეთი ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაცია“, რომელსაც შეეძლებოდა წინ დასდგომოდა „მეზობელ ერის სახელმწიფოს იერიშებისათვის“ (გამსახურდია კონსტანტინე, 1921B).

ქართული პატრიოტიზმის ნაკლოვანებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დაცემის მიზეზების ახსნისას, კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა, რომ ეროვნული სახელმწიფოს კატასტროფა „მუდამ შინაგან ძალთა რესურსების ამოწურვითა და გახრწნით იწყებოდა“, „ისტორიაში არც ერთი ერი არ დაღუპულა ისე, რომ მისი დაღუპვის მიზეზები მარტო მისი ტემპერამენტის, მის შინაგან ძალთა განწყობილების გარეშე ყოფილიყოს საძებნელი“ (გამსახურდია კონსტანტინე, 1921B).

„შინაგან ძალთა განწყობის“ განხილვისას კი მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ქართული პატრიოტიზმის კრიტიკას, რომელსაც, გამსახურდიას აზრით, სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნდა

და რამაც განაპირობა 1921 წლის ეროვნული კატასტროფა. კ. გამსახურდიას თქმით, ქართული პატრიოტიზმი „ყალბ ნიადაგზე“ იყო დამყარებული და „მუდამ მრუდედ“ აჩვენებდა ქართველობას თავის სახეს. ქართული პატრიოტიზმისთვის დამახასიათებელი იყო:

- ტრაბახი წინაპართა გმირობაზე;

- არ მიუთითებდა ქართველობას ნაკლოვანებებზე; არ იმეტებდა „მწარე სიტყვებს“ ქართველი ერისთვის;

- წარუმატებლობის მიზეზებს მუდამ გარეთ, მეზობლებში ეძებდა და არასოდეს ქართულ სინამდვილეში.

ეროვნული მარცხის მიზეზები

კონსტანტინე გამსახურდის აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული მარცხის მიზეზები საძებნელია:

- ქართველთა ტემპერამენტში;

- „ცუდ აღზრდაში“, რომელიც მიიღო ქართველობამ მე-19 საუკუნეში.

ქართველთა ტემპერამენტის უარყოფითი მხარე სრულად წარმოჩინდა რუსეთის ბატონობის ხანაში. „თითქმის მთელი მე-19 საუკ. რუსეთის ლიტერატურაში ქართველი კაცი სიმბოლო იყო უდარდელობის, მრუშის და ლოთის“, „სერიოზული ქართველები პირველად სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე იხილეს რუსებმა“ (გამსახურდია კონსტანტინე, 1921B).

რაც შეეხება „ცუდ აღზრდას“, ამაში ქართველი ინტელიგენცია იყო დამნაშავე. აქ კონსტანტინე გამსახურდიას კრიტიკა მკაცრია და იმათაც ადანაშაულებს, ვის მიმართაც საყვედურს ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ადამიანისაგან ნაკლებად უნდა მოველოდეთ. „რუსეთიდან მობრუნებული „თერგდალეულები“ აჩქარებენ ქართველი ერის სულიერად გარუსების პროცესს“ (გამსახურდია კონსტანტინე, 1921B).

„„მთელი ქართველი ინტელიგენცია გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან თერგდალეულებმა გაარუსეს“, მეშინია რომ ქართველობა ჯერ კიდევ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების რუსების პსიხიკით დახასიათდება”, - აღნიშნავდა გამსახურდია (გამსახურდია კონსტანტინე, 1921A).

„გარუსებაში“ კი პირველ რიგში ის იგულისხმება, რომ ინტელიგენციამ ვერ შეძლო „მოენელებინა“ რუსეთიდან შემოტანილი იდეები. „თერგდალეულებმა რუსული იდეების **„მონელებაც“** ვერ მოახერხეს“, აღნიშნავდა გამსახურდია და განმარტავდა: „ყოველი ერის ინტელექტუალურად დამწიფებული და დინჯი თაობა ნასესხებს იდეებს თავის ეროვნულ ტემპერამენტის მიხედვით გარდაქმნის, გადახარშავს და თავის ადგილობრივ სინამდვილეს მოახმარს. ამ პრინციპზე ემყარება მთელი ადამიანობის მოდგმის კულტურული აღებ-მიცემობა და ყოველი დაწინაურებული ერის კულტურ-პოლიტიკა“ (კონსტანტინე გამსახურდია, 1921A).

მე-19 საუკუნის ქართველობის პოლიტიკური აზროვნების კრიტიკა

კონსტანტინე გამსახურდია დაუნდობელია წარსულის მოღვაწეების შეფასებაში. მისი თქმით, „მე-19 საუკუნის ქართველობამ სამარცხვინო ლაქა დასტოვა ჩვენს ისტორიაში“. მან მკაცრად გააკრიტიკა 1832 წლის შეთქმულების მონაწილენიც, „თერგდალეულებიც“ და მომდევნო პერიოდის თაობებიც, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც.

1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს გამსახურდია შემდეგნაირად ახასიათებს: „მეოცდაათე წლებში იწყება ქართული ახალი პატრიოტიზმი, რომელიც ისევე მჩატე იყო პოლიტიკაში, როგორც ჩვენი თავადაზნაურობა ქეიფში. ამ პატრიოტიზმმა, - თავისი არსებობის უდღეური დეკლარაცია 1832 წლის აჯანყებით გამოხატა“.

კონსტანტინე გამსახურდია მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძეს, თუმცა არც გადაჭარბებულ კრიტიკას აკლებს. „ერთად ერთი ძლიერი და სერიოზული პიროვნება.. ილია ჭავჭავაძე იყო და ისიც როგორც პოლიტიკოსი ფრიად სუსტი. მან უფრო გარკვეული დიაგნოზები დასდო ჩვენი ცხოვრების შინაგან განწყობილებას, ხოლო საგარეო პოლიტიკაში იგი თავის ღიპიან თათქარიძეებზე უფრო შორს არ წასულა“, „თვით ისეთი დიდი ქართველი როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, ნამდვილი რუსის მოაზროვნის ტიპი იყო“, აღნიშნავდა გამსახურდია (გამსახურდია კონსტანტინე, 1921B).

რას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძის საგარეო-პოლიტიკურ შეცდომაში, ამის თაობაზე კონსტანტინე გამსახურდია არაფერს წერს. ისევე როგორც არაფერს ამბობს იმაზე, თუ რას ნიშნავდა „რუსის მოაზროვნის ტიპი“.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლის შემდეგ წერილში „ილია ჭავჭავაძე“ კონსტანტინე გამსახურდია სათანადო პატივს მიაგებდა ილია ჭავჭავაძის როლს ქართული საზოგადოების განვითარებაში. „განახლებულ საქართველოს ახალ ისტორიაში ილია ჭავჭავაძით იწყება ახალი აქტივი ხასიათისა. ახალი დინამიური ძალის შემოჭრას ნიშნავდა ილია ჭავჭავაძის გამოსვლა ჩვენი უახლოესი წარსულის ასპარეზზე. მის პირველ ნაწერებში „მგზავრის წერილები“ ჩაითვლება შედევრად, მე ახლაც მიკვირს, რისი იმედით მოდიოდა ილია ჭავჭავაძე იმდროინდელ საქართველოში... არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძველებელი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“! (გამსახურდია კონსტანტინე 1922, გვ.236-237)

კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, ილია ჭავჭავაძეს მოუხდა „ისტორიულ ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში. ამ ისტორიული ტენდენციის სახელით აუტეხა ბრძოლა ორ თაობას: უძველესსა და უახლესს... პირველი შეტაკება ამ ისტორიული

ტენდენციის წინააღმდეგ ილიას მოუხდა გრიგოლ ორბელიანის თაობასთან. გრიგოლ ორბელიანმა „ოქროს ჯაჭვი“ არჩია თავისუფ-ლებას, ილიამ თავისუფლება გამოაცხადა უდიდეს პოსტულატად“ (გამსახურდია კონსტანტინე 1922, გვ.239).

„ახალ თაობასთან“ ბრძოლაში კი ილია ჭავჭავაძე დამარცხდა. „ილია ჭავჭავაძე ნაცრისფერმა ჟურნალისტებმა დაამარცხეს“, რად-განაც „დღეს ყოველივე ბრძოლა ორგანიზაციულად სწარმოებს, რო-გორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურულიც. ვერც ერთი დიდი პი-როვნება დღეს ორგანიზაციულ შეტევას ვერ გაუძლებს“ (გამსახურ-დია კონსტანტინე 1922, გვ.239).

მკაცრი იყო კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ამ „ახალი თაობის“ - სოციალ-დემოკრატების შეფასებაც: „შემდეგ ქართველი ახალგაზრდობა გამოვიდა პირველად კოსმოპოლიტურ პრობლე-მით ხელში და ამას მოჰყვა ის ეროვნული ნიღილიზმის ეპოპეა, რო-მელმაც ჩვენი საუკუნის კარებამდე მოაღწია“ (გამსახურდია კონ-სტანტინე, 1921A).

საქართველო ბოლშევიკების ხელში იყო, მაგრამ კ. გამსახურ-დიას შეფასებით, ქართველი ერი ხელახლა იკრეფდა ახალ ენერგი-ას. გამსახურდიას თქმით, „მიტომაც განსაკუთრებით გვენატრება ჩვენ ძლიერი სიტყვა და ძლიერი საქმე, მიტომაც უნებურად ვიხე-დებით უკან. ჩვენ ისევ გვინდა მრისხანე შემოხედვა ერის ბელადი-სა...“ (გამსახურდია კონსტანტინე 1922, გვ.239).

ქართული პოლიტიკის შეცდომები

კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზებს ქართული პოლიტიკის მიერ დაშვებულ შეცდომებში ხედავს. „პოლიტიკა უძვირფასესი იარაღია ერის ხელში. ჩვენ პოლიტიკოსებს როგორც შორეულ, ისე უახლოეს წარსულში სინამდვილეში ორიენტაციის ნიჭი აკლდათ. გადაჭარ-ბებული იდეალიზმი ახასიათებდა ქართველი მეფეების, დესპანე-

ბის და მინისტრების პოლიტიკას“, - აღნიშნავდა გამსახურდია. მისივე თქმით, „ჩვენს უახლოეს წარსულშიაც არა ერთხელ განდობიან მეგობრულად ქართველი დიპლომატები ჩვენს მტრებს. ჩვენს უახლოეს წარსულშიაც არა ერთხელ დაუკარგავს ჩვენს პოლიტიკას ის პოზიციები, რომელნიც ბრძოლით მოუპოვებია ჩვენს მხედრობას“ (გამსახურდია კონსტანტინე, 1921B).

1921 წლის დასაწყისში კავკასიაში ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. 1921 წლის 27 იანვარს ანტანტის ქვეყნებმა საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურე აღიარეს, მაგრამ ეს აღიარება არ იძლეოდა უსაფრთხოების გარანტიას. საქართველო უმძიმეს გეოპოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა. მთავარი საფრთხე საქართველოს მაინც რუსეთისგან ემუქრებოდა. საბჭოთა რუსეთს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირობები რომ დაეცვა, სავარაუდოდ არც თურქეთი წამოაყენებდა პრეტენზიებს საქართველოს და არც რუსეთის მიერ გასაბჭოებული სომხეთი და აზერბაიჯანი იაქტიურებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო, მოსკოვი მაშინვე აამოქმედებდა სამხედრო ძალას საქართველოს წინააღმდეგ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

საბჭოთა რუსეთი მაინც ფრთხილობდა და საქართველოს ოკუპაციას შენიღბულად ცდილობდა. საქართველოზე თავდასხმა დაიწყო აჯანყებით ლორეში, რომელზედაც პრეტენზიას სომხეთი აცხადებდა. საქართველოს წინააღმდეგ ომს კი მოსკოვი ისე წარმოაჩენდა, თითქოს ეს იყო დახმარება საქართველოში აჯანყებული მშრომელებისათვის.

მიუხედავად მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაციისა, საქართველოს მაინც რჩებოდა შანსი - ლორეს აჯანყების ჩაქრობის შემთხვევაში, რუსეთს, შეიძლება, შეეჩერებინა დაწყებული აგრესია. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ელიტა სათანადოდ ვერ აფასებდა

შექმნილ ვითარებას: დასავლეთის მიერ იურიდიული ცნობა, ისევე როგორც რუსეთის და თურქეთის ხელისუფალთა მხრიდან გაკეთებული მეგობრული განცხადებები უსაფრთხოების გარანტიად მიაჩნდა.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოს ხელისუფლებისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ამას დაემატა სამხედრო ხასიათის შეცდომები, რამაც საბჭოთა რუსეთს წარმატება გაუადვილა. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ შესაძლებელი იქნებოდა თურქეთის გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ, რაც ასევე შეცდომა იყო. 1921 წლის 17 მარტს მოსკოვში გაფორმებული შეთანხმებით, საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა დაადგინეს თავიანთი ახალი საზღვარი სამხრეთ კავკასიაში. თურქეთის მცდელობა საქართველოს ტერიტორიებიდან დამატებით მიეთვისებინა ბათუმი და ბათუმის ოლქი, მარცხით დამთავრდა ქართული ჯარის წინააღმდეგობის გამო. თურქეთმა კავკასიაში მოპოვებული ტერიტორიები უშუალოდ შეიერთა, საბჭოთა რუსეთმა კი სამხრეთ კავკასიაში მარიონეტული საბჭოთა რესპუბლიკები შექმნა, რომლებიც შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიყვანა.

5. 1924 წლის აჯანყება და „პოლიტიკური რომანტიზმის“ ახლებური ხედვა

1924 წლის აჯანყებამ ხელახლა დააყენა ქართველი პოლიტიკოსების წინაშე „პოლიტიკური რომანტიზმისა“ და „პოლიტიკური რეალიზმის“ საკითხები. 1924 წლის აჯანყების დროს თვალშისაცემი იყო ძალთა უთანასწორობა. 1832 წლის შეთქმულებისაგან განსხვავებით, 1924 წელს საქმე აჯანყებამდე მივიდა, მაგრამ აჯანყებულებმა თავიანთი გეგმების სრულად რეალიზება ვერ მოახერხეს, რომც მოეხერხებინათ, მარტო საქართველოს ძალებით, გარედან დახმარების გარეშე, შეუძლებელი იყო საქართველოს განთავისუფლება.

კიტა აბაშიძის და არჩილ ჯორჯაძის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, 1924 წლის აჯანყება „პოლიტიკური რომანტიზმის“ გამოვლინება იყო. აჯანყება, განწირული იყო დამარცხებისთვის და, მაშასადამე, მის ორგანიზატორებს არც უნდა მოეკიდათ ხელი იარაღისთვის, არც უნდა დასდგომოდნენ ამ გზას. ტერმინი „პოლიტიკური რომანტიზმი“ აღარ გახსენებიათ, დამარცხებულ აჯანყებას მისი მოწინააღმდეგენი „ავანტიურას“ უწოდებდნენ და მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ მათ, ვინც აჯანყება მოამზადა და ხელმძღვანელობდა. მაგალითად, გ. ვეშაპელი სტატიაში „ცნობის შემდეგ“ (1925 წლის იანვარი) წერდა: „ქართველობა ეთამაშა ამ აჯანყების იდეას ისე, როგორც ბავშვი თოფს; და ისევე, როგორც ბავშვებისათვის, მოულოდნელი იყო ის საშინელი ჭრილობა, რომელიც ამ თამაშმა შეგვამთხვია“ (ვეშაპელი გ., 1925, გვ.22-23).

მათ, ვინც გმობდა აგვისტოს აჯანყებას, უპირისპირდებოდნენ ის ქართველი მოღვაწეები, რომლებიც ამართლებდნენ აჯანყებას და საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ამ საშუალების გამოცდასაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. „ჩვენი მტრები ერთობ ბევრს სწერენ ამ საგანზე; მთელი ხროვა ნაყიდი კალმებისა და ხე-

ლებისა უხვად სარგებლობენ ჩვენი ერის ფიზიკური დამარცხებით და ლამობენ მორალურადაც დაგვამარცხონ. ამ ფერხულს შეუერთდნენ ლაჩრები და რენეგატები და გამართეს ნადიმი ნაციის სასაფლაოზე“, - აღნიშნავდა ნოე ჟორდანია (ჟორდანია ნ. 1925, გვ.3).

ნოე ჟორდანია: აჯანყება მიზნით ფასდება

აგვისტოს აჯანყების შეფასებას ნოე ჟორდანია ეხება 1925 წლის იანვარში დაწერილ მცირე ბროშურაში „რა მოხდა?“. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ აჯანყების საზომი არ არის მისი გამარჯვება-დამარცხება. ცდებიან ისინი, ვინც 1924 წ. აჯანყების დამარცხების გამო უარყოფდნენ მის მნიშვნელობას. პოლონეთის 1831 და 1863 წლების, უნგრეთის 1849 წლის ეროვნული აჯანყებებიც დამარცხდა, მაგრამ მათ საპატიო ადგილი უჭირავთ მსოფლიო ისტორიაში. ნოე ჟორდანიას თქმით, აჯანყების ერთადერთი საზომია მისი პოლიტიკური მიზანი, დროშა, იდეოლოგია. „თუ მიზანი მისაღებია, მისი მიღწევა უმსხვერპლოთ, უბრძოლველათ შეუძლებელია. აქ ისმის მეორე საკითხი - ნაკლები მსხვერპლით მეტი შედეგები. ეს კი ანგარიშის საქმეა და არა პრინციპის, ხოლო ანგარიში ყოველთვის არ მართლდება“ (ჟორდანია ნ. 1925, გვ.9).

1924 წლის აჯანყების მიზანი საქართველოს განთავისუფლება იყო ოკუპაციისაგან, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა; ისევე როგორც მაგალითად პოლონეთის 1831 და 1863 წლების აჯანყებების. პოლონელთა ყველა აჯანყება მე-19 საუკუნეში დამარცხდა, ყოველი მარცხის შემდეგ პოლონეთის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე ხდებოდა, ვიდრე აჯანყების წინ იყო, მაგრამ ამ აჯანყებების შეცდომად და უაზრობად გამოცხადება არ შეიძლება. სწორედ ამ აჯანყებების, პოლონელი ხალხის ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი მუდამ იდგა საერთაშორისო დღის წესრიგში, სწორედ ამ ბრძოლის წყალობით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აღდგა პოლონეთის

დამოუკიდებლობა და ეს არავისთვის ყოფილა სადავო. „პოლონეთი რამდენიმეჯერ აჯანყდა, ვერ განთავისუფლდა. ბოლოს ის ევროპამ გაანთავისუფლა. მორჩილ პოლონეთს, რასაკვირველია, არავინ დაეხმარებოდა. აუჯანყებლათ, სისხლის დაუღვრელათ, უბრძოლველათ პოლონეთის საკითხიც კი არ იქნებოდა საერთაშორისო პოლიტიკაში შეტანილი“ (ჟორდანია ნ. 1925, გვ.22-23).

ნოე ჟორდანიას თქმით, 1924 წლის აჯანყებაც ანალოგიურად უნდა შეფასებულიყო. საქართველო თუ არ იბრძოლებდა დამოუკიდებლობისთვის, მას არც არავინ დაეხმარებოდა. ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ აგვისტოს აჯანყება აღარ უნდა განმეორებულიყო. მან შეასრულა თავის როლი, მაგრამ „ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველ ერს არ მოუწევს იარაღის ხელში აღება და განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმა“ (ჟორდანია ნ. 1925, გვ.20).

1924 წლის აჯანყების შემდეგ „პოლიტიკური რომანტიზმის“ შეფასებაში მკაფიოდ გაჩნდა ახალი მიდგომა: სწორი მიზნის შემთხვევაში ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და, საბოლოო ჯამში, სასურველი მიზნის მოახლოებას ემსახურება. რაც შეეხება აჯანყებას, ის ბოლშევიკების რეპრესიებით იყო გამოწვეული და არა ვინმეს გარედან წაბიძგებით.

1924 წლის აჯანყების შემდეგ მრავალფეროვანი იყო ცრუ „პოლიტიკური რეალიზმის“ მომხრეთა სპექტრიც, რომლებიც სხვადასხვა არგუმენტაციით საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას ადგებოდნენ. ნოე ჟორდანია ამას „შეძრომის პოლიტიკას“ უწოდებდა. „საჭიროა თავი შევაფაროთ, ბოლშევიკებს შევუძვრეთ და მათი რისხვა ლმობიერებაზე გადავცვალოთო“ (ჟორდანია ნ. 1925, გვ.23), - ასეთი იყო ამ პოლიტიკის არსი. ნოე ჟორდანიას თქმით, გაძრომა-გამოძრომის პოლიტიკა, „შეძრომა სარფიანია შემძრომელთათვის, საზიანოა ხალხისათვის. რატომ? ცხადია რატომ. შეძრომა შეუძლია თითო-ოროლა პირს, გუნდს, არასოდეს ხალხს“ (ჟორდანია ნ. 1925, გვ.24).

ნ. ჟორდანიას სასაცილოდ მიაჩნდა „შეძრომის გზით“ ეროვნული მიზნების მიღწევაზე ფიქრი. ამ აზრის ნათელსაყოფად იშველიებდა საქართველოში გამართულ ბრძოლას ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებთან“: „ჩვენში ყოფილა ორგვარი ბოლშევიზმი, ძველი, მახარაძის მეთაურობით, და ახალი, ორჯონიკიძე-ორახელაშვილის წინამძღოლობით. აი ამ ორ ჯგუფს შორის გამართულა ბრძოლა ნაციონალურ საკითხის გარშემო. პირველმა შემოუძღვა რუსის ჯარს და საქართველო დაიპყრო. მარა ამასთანავე მოუნდომებიათ „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტობის შენახვა“... მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა სიზმარი იქნებაო. მახარაძის ამქარი მოსკოვმა „საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტობის“ მოსასპობად გამოგზავნა, მათ კი ეს სიზმრათ გამოაცხადეს. მოსკოვმა სწრაფათ დაფერთხა ეს უტოპისტები და მათ ალაგს დანიშნა დერჟიმორდები, როგორც ლენინმა უწოდა ორჯონიკიძის ამქარს. ამათ მაშინვე აღმართეს სისხლიანი დროშა და შეუდგნენ ქართველი ერის მოსპობას, მასზე ნაძირალათა და არაქართველთა გაბატონებას. მოწინააღმდეგეთა ხოცვა-ჟლეტას - შაჰაბაზის პოლიტიკის განმეორებას. როგორც ხედავთ მოსკოვს ვერ „შეუძვრა“ ცნობილი ბოლშევიკებიც, ერის ინტერესები ვერ დაიცვეს „უკლონისტებმაც“ კი. და ეს იმიტომ რომ მოსკოვს არ აქვს შესაძვრენი კარები. აქ ყველა კარი დახშულია გარდა ერთისა, ხოლო აქ კი შედიან მხოლოდ დერჟიმორდები“ (ჟორდანია ნ. 1925, გვ.25-27).

სიმონ გოგიბერიძე: საქართველო „უანგარიშო“ ქართველებმა გადაარჩინეს

ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში არსებული ორი მიმართულების საინტერესო დახასიათება აქვს მოცემული სიმონ გოგიბერიძეს, საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლს და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიურ მონაწილეს.

1924 წლის აჯანყების შესახებ სიმონ გოგიბერიძემ 1935 წელს დაწერა წიგნი „ბრძოლა სამშობლოსათვის“. მან საქართველოს დაცვა და გადარჩენა სწორედ „პოლიტიკური რომანტიზმის“ პოზიციაზე მდგომ მამულიშვილთა დამსახურებად მიიჩნია. სიმონ გოგიბერიძის სიტყვებს, რომელიც აღნიშნული წიგნის დასკვნით ნაწილშია მოცემული კომენტარები არ სჭირდება: ”ქართველი ერის ისტორია, ეს მუდმივი, შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის, თავისუფლებისათვის. ჩვენს წარსულში ხშირად გვქონია შავი დღეები, როცა ქართველი ერი მოსპობაზედ იყო მისული. და ამ დროს ერთი ნაწილი ქართველებისა, მტერთან შეგუების გზას ადგებოდა, ხან სპარსელობდა, ხან კი თურქობდა, ხან მონგოლი იყო, ხან რუსი და ყოველივე ამას უდიდეს გონიერ ხერხად სთვლიდა, თავი ერის მხსნელად მოჰქონდათ. ქართველი ერი რომ ამ პოლიტიკას გაჰყოლოდა, დღეს ჩვენ ყველაფერი ვიქნებოდით გარდა ქართველებისა. საბედნიეროდ იყო კიდევ სხვა ქართველობა ”გიჟი”, ”უანგარიშო”, ”წინდაუხედავი”, მუდამ შეთქმული, მუდამ აჯანყებული, მოუსვენარი, მტრის რიცხვისგან თითქმის მუდამ ძლეული, მაგრამ მაინც გაუტეხელი... აი, ამ ხალხს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ კი არ მოვისპეთ, არამედ ჩვენი მტრების მოსპობას და დაგლახებას მოვესწარით“ (გოგიბერიძე ს. 1935, გვ.92-93)

სიმონ გოგიბერიძე აღნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სწორედ ასეთი ადამიანები იბრძოდნენ. „1921-1924 წლებში საქართველოს ასეთი ხალხი უძღოდა წინ, ასეთმა ხალხმა დაჰკრა უძლიერეს მტერს, ასეთმა ხალხმა მორეცხა საქართველოს გუშინდელი სირცხვილი... და ჩაჰყარა სამუდამო საფუძველი, საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღებული, სულიერად მკვდრეთით აღმდგარი ეროვნული საქართველოსი. აი, ამ საზომით უნდა მივუდგეთ ჩვენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას და მის მომწყობთ. ვინც ამ შეხედულებას იზიარებს, მან იცის, რომ ჩვენი მომავალი ბრწყინვალეა, რომ საქართველო მიიღებს იმას, რისი

ღირსია ის, რომ ”მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი” (გოგიბერიძე ს. 1935, 93)

6. ისიდორე მანწკავა ქართული პოლიტიკური აზრის ორი ხაზის შესახებ

მე-19 საუკუნის ქართული პოლიტიკური აზროვნების დამახასიათებელი ნიშნებისა და ძირითადი ტენდენციების თაობაზე ვრცელი გამოკვლევის შექმნა ჰქონდა ჩაფიქრებული ემიგრაციაში მყოფ ისიდორე მანწკავას სათაურით „ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში“, მაგრამ მან 1936 წელს პარიზში ამ ნაშრომის მხოლოდ პირველი ნაწილის გამოქვეყნება შესძლო, რომელშიც თხრობა მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებამდეა მიყვანილი. მისი ხედვა გარკვეულწილად მიჰყვება არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისს, მაგრამ რიგ საკითხებში განსხვავებული და საყურადღებო პოზიცია აქვს ჩამოყალიბებული, მაგალითად, 1832 წლის შეთქმულების საკითხში, „შეურიგებელთა“ პოზიციის დახასიათებაში.

ისიდორე მანწკავას აზრით, „1832 წ. შემდეგ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ორი გარკვეული ნაკადი ჩამოყალიბდა, ორი იდეური მიმართულება და ეროვნული მხედველობა. 1. რუსული მონარქიის ერთგულება და ქართული ვინაობის დაცვა; 2. რუსული ბატონობის უარყოფა და ქართულ ნიადაგზე გამაგრება. ეს ორი ხაზი მთელ მე-19 საუკუნეს წითელი ზოლივით მოყვება და გადმოდის მე-20 საუკუნეში, 1918 წლამდე“ (მანწკავა ი. 1936, გვ.71).

1832 წლის შეთქმულებას ჰქონდა გამარჯვების შანსი

1832 წლის შეთქმულების პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის დახასიათებისას ი. მანწკავა ყურადღებას ამახვილებს გრიგოლ ორბელიანისა და გენერალ ივანე აფხაზის საუბარზე, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა შემოგვინახა. ი. მანწკავას თქმით, აქ მკაფიოდ ჩანს ორი განსხვავებული ხედვა, რომელთაც პირობითად „შერიგებულებს“ და შეურიგებლებს“ უწოდებს: „ჯერ მოვემზადოთ, შემდეგ დავკრათ, ჯერ დავკრათ შემდეგ მოვემზადოთ. ასეთია ეს ორი სხვა და სხვა აზრი“ (მანწკავა ი., 1936, გვ.40).

ი. მანწკავას თქმით, ისტორიამ გამარჯვება გენერალ აფხაზის პოზიციას არგუნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეთქმულთა საქმე ცალსახად განწირულად მიჩნეულიყო. „შეურიგებლები უფრო გატაცებით და რწმენით მოქმედებენ, ვიდრე ხელსაყრელი პირობების კარნახით. არის შემთხვევები, როცა ნაკლებ ხელსაყრელ პირობებს, მაგრამ დიდი გატაცებით და რწმენით გამარჯვებას აღწევენ. მართალია მარტო გატაცება და რწმენა საკითხს არ სჭრის, მაგრამ მაშინ, არც ისე უნუგეშო და განწირული იყო მდგომარეობა, როგორც აფხაზს წარმოედგინა“ (მანწკავა ი., 1936, გვ.42). ეს იყო მებრძოლი საქართველო, რომელიც საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ისიდორე მანწკავა შეთქმულების გამარჯვების შანსის შეფასებისას, არსებითად იზიარებდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს და ემყარებოდა 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით საქართველოში გამოქვეყნებულ ახალ საარქივო მასალებს, რომლებიც უცნობი იყო კიტა აბაშიძისა და არჩილ ჯორჯაძისთვის.[2]

---

[2] იგულისხმება 1920-იან წლებში საქართველოში გამოქვეყნებული პოლიევქტოვის, პ. ინგოროყვას და პ. გუგუშვილის პუბლიკაციები.

1832 წლის შეთქმულების ას წლისთავთან დაკავშირებით, პარიზში გამოიცა ჟურნალ „კავკასიონის“ სპეციალური ნომერი. სტატიაში „1832 წლის შეთქმულების შესწავლისათვის“ ავტორი აღნიშნავდა, რომ „ახლად აღმოჩენილ ოფიციალურ მასალის ზერელე გაცნობაც კი, ერთგვარ რევიზიას მოითხოვს იმ შეფასებისას, რაც ქართულს მოწინავე საზოგადოებაში იმ თავითვე გაბატონებული იყო 1832 წლის შეთქმულების მიმართ“ (კახაბერი 1932, გვ.29). ავტორის თქმით, „ქართულმა მწერლობამ, სამწუხაროდ, უკრიტიკოდ შეითვისა ბარონ როზენის და მისი გარემოცვის შეხედულება შეთქმულთა შესახებ, რომ თითქოს ამ უჯარო სარდლებს და ქართულ სინამდვილეს მოწყვეტილ ვიწრო წრეს, არავითარ გამოხმაურების პოვნა არ შეეძლო და მთელი ეს „საქმიანობა“ მათ ფანტაზიას მაინც ვერ გასცდებოდა: შეხედულება, რომელიც ოფიციალურ რუსეთის ინტერესით იყო ნაკარნახევი და საგამომძიებლო მასალაში ტენდენციურად გატარებული. ამის გამო ჩვენს ისტორიაში ეს თაობა უფრო „პოლიტიკურ რომანტიზმით“ გატაცებულად იყო ცნობილი, ვიდრე პოზიტიურ მოღვაწეებად.“ (კახაბერი 1932, გვ.29).

იმ დროს ევროპაში არსებული ვითარების გათვალისწინება, ისევე როგორც „იმ ინტერესთა დაჯახებებისა, რომელიც ეღობებოდა დიდ რუსეთის ექსპანსიას აღმოსავლეთისკენ და კერძოდ მაშინდელ საქართველოს შინაურ მდგომარეობაზე, ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ 1832 წლის ამბები, მარტო „განწირული სულის კვეთება“ არ უნდა ყოფილიყო“ (კახაბერი 1932, გვ.29-30).

აღსანიშნავია, რომ 1832 წლის შეთქმულების დროს ევროპაში არსებული ვითარების ანალიზი მოცემულია „კავკასიონის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებულ ბ. ვარდანის სტატიაში „ევროპის გავლენა საქართველოში (1832 წლის შეთქმულების გამო)“ (ვარდანი ბ., 1932).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ 1832 წლის შეთქმულების შეფასებისას უარი ითქვა ტერმინზე „პოლიტიკური

რომანტიზმი“ და მე-19 საუკუნის ქართული პოლიტიკური აზრის მიმდინარეობების დახასიათებისას ამჯობინებდნენ ორ ცნებას „შეურიგებელნი“ და „შერიგებულნი“, - იგულისხმებოდა დამოკიდებულება საქართველოში რუსული მმართველობისადმი.

1832 წლის შეთქმულების მარცხის შედეგები

ისიდორე მანწკავას თქმით, 1832 წლის შეთქმულების მარცხს დიდი ფსიქოლოგიური და მორალური შედეგები მოჰყვა საქართველოში იმდროინდელი საზოგადოებრივი განწყობისათვის. 1830-1850-იანი წლების თაობის პოლიტიკური აზროვნება მნიშვნელოვანწილად სწორედ 1832 წლის შეთქმულების მარცხით იყო განპირობებული. „ყველაზე მძიმე შეთქმულთათვის ის იყო, რომ მათ სახელოვანი სიკვდილიც ვერ მოახერხეს. მოსაქნევად მომზადებული ხმალი მოქნევამდე გადატყდა. მებრძოლისათვის მარცხი ყოველგვარ დამარცხებაზე სასტიკია. სწორედ ეს სასტიკი ბედი ხვდათ წილად ჩვენს შეთქმულებს და სამარადისო ჩრდილით დადაღა მათი სახეები. შეთქმულებს ორი მარცხი მოუვიდათ. პირველი შეთქმულება გაიცა, მეორე ისინი გამოტყდნენ დანაშაულში და ბევრი მათგანი პატიებას ითხოვდა. ამ გარემოებამ გარეგნულად დაასუსტა შეთქმულება, როგორც ეროვნულ პოლიტიკური ფაქტი და მათი სახელებიც საკმაოდ შელახა. ჩაცვენის შემდეგ მათ თავი პასუხისმგებლების გრძნობით და ღირსებით ვერ დაიჭირეს. უმრავლესობა ჯერ მონანიების გზას დაადგა, შემდეგ რუსეთის დიდ მოხელეებად გახდენ. არც ჯილდო და პატივი დაიკლეს, მაგრამ ამავე დროს უცნაური კვნესით აატირეს ქართული პოეზია. მათ შინაგან არსებას მუდამ სტეხდა და აბორგებდა, რაღაც იდუმალი ტკივილები და ამ ტკივილების სიმწარე, ვერავითარმა ჯილდომ და პატივმა ვერ დაჰფარა“ (მანწკავა ი. 1936, გვ.54).

დამარცხებულ საქართველოს „გაორებულ მოღვაწეთა მთელი წყება“ მოევლინა „ჭირისუფლად და პატრონად“ (მანწკავა ი. 1936,

გვ.66). მთელი თაობის დამახასიათებელი ნიშანი გახდა „გაორება“ – „რუსეთის ერთგული სამსახური და ქართული ვინაობის შენახვა“. ეს გახდა ამ თაობის დიდი ნაწილის იდეური, პოლიტიკური და სამოქმედო პროგრამა. „ამ იდეოლოგიის ყველაზე ნიჭიერ დამსაბუთებლად“ კი ი. მანწკავა დიმიტრი ყიფიანს მიიჩნევდა.

შეურიგებელნი

კ. აბაშიძისა და ა. ჯორჯაძისგან განსხვავებით, ი. მანწკავამ 1832 წლის შეთქმულების შემდგომი პერიოდის ქართულ პოლიტიკურ აზრში ყურადღება გაამახვილა შეურიგებელთა პოზიციაზე. ი. მანწკავას თქმით, „მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში მორჩილების და შეგუების გრძნობა არ ყოფილა ის ფსიქოლოგიური და ზნეობრივი გარემო, რომელიც ყველას და ყოველივეს ფლობდა. აქ მორჩილებას ურჩობის გაუტეხელი რწმენა დაუპირსპირდა, ნდობას - უნდობლობა, თაყვანისცემას - სიძულვილი. ყველაფერი ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა, არა მარტო ისტორიული წარსულის გასაგებად, არამედ ჩვენი ეროვნული ხასიათის თვისებათა შესაცნობად“. თუმცა, „რუსეთის ჩვენში დამკვიდრება და ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მასთან შერიგება დიდათ ასუსტებდა იმ ნაწილის ზრდას და მოქმედებას, ვინც გადაჭრით უარყოფითად აფასებდა რუსულ დომინაციას ჩვენი ქვეყნისათვის“ (მანწკავა ი., 1936, გვ.88).

ი. მანწკავა რუსულ მმართველობასთან შეურიგებელთა პოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენლად ალექსანდრე ორბელიანს (1802-1869) მიიჩნევდა. „ვერც საზოგადოებრივი აზრის შებრუნებამ, ვერც ვორონცოვის ცბიერმა პოლიტიკამ, ვერც გუშინდელი თანამებრძოლების გადასვლამ, ვერ იმოქმედა მასზე. მან ყველაფერი უარყო, რაც რუსული ხელით კეთდებოდა და გაემიჯნა ქართული საზოგადოების ამ ორთავე ნაწილს, ვინც ერთიანი თუ გაორებული გულით რუსეთის ბატონობაში ჩვენი ქვეყნის ხსნასა და მომავლის იმედს ხედავდა (მანწკავა ი., 1936, გვ.80-81).

„შერიგებულთათვის“ ალ. ორბელიანის პოზიცია უცნაური და „არარეალისტური“ იყო, მაგრამ ი. მანწკავა სწორედ შეურიგებელთა პოზიციას მიიჩნევდა სწორად და გამართლებულად. „ეს არ იყო გულის ჯავრის, ან უაზრო ჯიუტობის ნიადაგზე შექმნილი აზროვნება, არამედ მომხდარი ფაქტის ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი, წარსულის და აწმყოს მიუდგომელი დაფასება, მომავლის ნათლად გასარკვევად. თუ რუსეთის დომინაციის ხანაში რაიმე დადებითი კეთდებოდა ჩვენი ეროვნული ცხოვრების რომელიმე დარგში, ამაზე შეურიგებელნი თვალს არ ხუჭავდენ. მაგრამ ეს დადებითი არ მიაჩნდათ, არც რუსეთის კეთილ სურვილად, არც მათ ძველ დაპირებათა ნაწილობრივ განხორციელებად და არც ჩადენილ დანაშაულის კომპენსაციად... შეურიგებელნი სინამდვილეს პირდაპირ უცქეროდენ, რუსეთი მიაჩნდათ დიდ საფრთხედ და ამაში იოტის ოდენადაც არ ცდებოდენ. მაგრამ ეს გარემოება მათ ოდნავ ვერ ახრევინებდა თავს რუსეთის წინაშე, პირიქით, ეს საფრთხე ასათუთებდა მათ ნერვებს და უკაჟებდა რწმენას შორეულ მომავლისადმი“ (მანწკავა ი., 1936, 88).

შერიგებულნი: „რეალ პოლიტიკის“ გზა

შეურიგებელთა პოზიციის დახასიათებაზე გაცილებით ძნელი იყო შერიგებულთა აზროვნების დახასიათება. ისიდორე მანწკავას თქმით, „ივანე აფხაზის პროგნოზი: „საქართველო დრომ უნდა აღადგინოს“ 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ნათელი და ხელსახები ფაქტი გახდა ქართველი ადამიანის ცნობიერებაში. ფაქტი საშინელი, როგორც დიდი ხნით გაუსაჩივრებელი განაჩენი და მძიმე სასჯელი. ყოველივე ეს მომავალ საუკუნის სიგრძესა და სიბნელეში გაწოლილი იყო შეუცნობლად, უპერსპექტივოდ, უთარიღოდ. ასეთ ვითარებაში მეტად ძნელი იყო თავის დაღწევა იმ გაორებიდან მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის მოღვაწეთა მთელ რიგს წაუშლელ ლაქად რომ აჩნია“ (მანწკავა ი., 1936, გვ.65-66).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა თვალსაწიერ მომავალში შეუძლებელი ჩანდა. ქართული საქმის კეთება რუსული მმართველობის პირობებში უნდა მოეხერხებინათ. „მოწინავე საზოგადოებამ დაჰკარგა დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი. იგი რეალ პოლიტიკის გზას დაადგა. ეს პოლიტიკა გულისხმობდა რუსეთის ბატონობასთან შერიგებას და, აქედან გამომდინარე, მთავარ ვალდებულებათა მიღებას. ამ პოლიტიკამ იქამდე მიიყვანა ჩვენი საზოგადოება, რომ რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიაღებინა“ (მანწკავა ი., 1936, გვ.67).

ეროვნული შეგნება ამ გაორებული თაობისათვის „სული და გული იყო“, რუსეთის ერთგულება კი „იძულებითი აუცილებლობა“. შერიგებულნი თავიანთი პოზიციის სისწორის დადასტურებად კავკასიის მთავარმართებლის ვორონცოვის პოლიტიკას მიიჩნევდნენ. ვიქტორ ნოზაძე, რომელიც ასევე სწავლობდა ამ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზროვნების გაორების საკითხს, ვორონცოვის პოლიტიკასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „კავკასიის მთავარმართებელის, ვორონცოვის პოლიტიკამ ქართულ ოპოზიციურ მიმართულებას საფუძვლიანად ძირი გამოუთხარა და ქართული პოლიტიკური აზროვნება, მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ, - კარგა ხნით დაიმარხა... ეხლა ქართული პოლიტიკა სულ სხვა ტონზეა აწყობილი. ესაა - რუსეთთან შერიგებისა და ლოიალობის კილო“ (ნოზაძე ვ., 1932, გვ.202).

ისიდორე მანწკავა შენიშნავდა, რომ „რუსული მონარქიზმი, რომელიც რუსული ნაციონალიზმის სიმბოლო იყო, პირდაპირი უარყოფაა ქართული ნაციონალიზმის და პირიქით. ეს უდავოა, მაგრამ მეორეს მხრივ ისიც უდავოა, რომ ამ ერთმანეთის უარმყოფ ცნებებს ათავსებდა ეს თაობა“ (მანწკავა ი., 1936, გვ.70) დროთა განმავლობაში რუსეთისადმი ერთგულება გადაიქცა ამ თაობის „ბუნებრივ რწმენად და გახდა ერთ მთავარ მამოძრავებელ ძარღვად ამ მოღვაწეთა იდეურ და პრაქტიკულ საქმიანობაში“ (მანწკავა ი., 1936, გვ.71-72).

ისიდორე მანწკავა შერიგებულთა პოზიციას არასწორად მიიჩნევდა და მას „პოლიტიკურ სიბეცეს“ უწოდებდა. „რუსეთის ბატონობა ამ ხალხს ქართული ეროვნული განვითარების წყაროდ მიაჩნდათ. ეს იყო პოლიტიკური სიბეცე. ეს იყო არ დანახვა იმის, რაც მოხდა ნამდვილად და რაც თავისი ლოღიკით ვითარდებოდა. რუსეთი მთელი თავისი ვერაგობით ლოდივით აწვა ყოველივე ეროვნულ წამოწყებას. მისი პოლიციური პოლიტიკის მთელი ხლართი იმ გვარად იყო მონიშნული, რომ საქართველო მთელი მისი წარსულით, ისტორიით, კულტურით და რეალი მოსახლეობით რუსულ მასაში შთანთქმულიყო, რუსეთმა წვირიანი თათი დაადო ჩვენ ეროვნულ სხეულს და ყველა მისი სასიცოცხლო ძარღვის მოძრაობის დაყენებას ცდილობდა“. (მანწკავა ი., 1936, გვ.78).

იგივე იყო ვ. ნოზაძის პოზიციაც. მისი თქმით, ბუნებრივი იყო ზრუნვა ქართული კულტურის განვითარებაზე, „ისტორიული ლოღიკით, თუ ქართველი ერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მას სასიცოცხლო ენერგია ამოწურული არა ჰქონდა, იგი ამ გზაზე უნდა შემდგარიყო“, მაგრამ მცდარი იყო „შერიგებულთა“ პოზიცია, რომლებიც ამისათვის მადლობას უცხადებდნენ რუსეთს, „ქართული ცხოვრების განვითარებას რუსეთის მთავრობას უმადლიან, ქართული ცხოვრების ზრდისათვის რუსეთს ხოტბას ასხამენ“ (ნოზაძე ვ. 1936, გვ.202).

ზრუნვა ეროვნულ განვითარებაზე რუსული მმართველობის ხოტბის გარეშე, - ასეთი პოზიცია მიაჩნდათ სწორად ი. მანწკავას და ვ. ნოზაძეს, თუმცა, კარგად ესმოდათ ის მძიმე პირობები, რაშიც უხდებოდა ცხოვრება 1830-50-იანი წლების თაობას. „შეიძლება ითქვას, რომ ისინი... მთელი თაობანი, იყვნენ უპრინციპონი, ოპორტუნისტები, მედროვენი ან სხვა ასეთი რამ? შეიძლება ითქვას, რასაკვირველია, თუ საკითხს დღევანდელი თვალსაზრისით მივუდგებით, მაგრამ მეთოდოლოგიურად ეს სწორი არ იქნებოდა. სინამდვილემ დაამარცხა მათი იდეალი; მიზანი უკვე აღარ შეეფერებოდა არსებულ პირობებს; ამ მიზნის განსახორციელებელ პირობების

შექმნისათვის საჭირო იყო დიდი მზადება და დიდი დრო, და ამ გეზით დაიწყეს მათ მუშაობა“ (ნოზაძე ვ. 1936, გვ.202-203).

დასკვნა

XX საუკუნის პირველ მესამედში ქართულ პოლიტიკურ აზროვნების თავისებურებათა შესახებ დაწერილი ნაშრომების შესწავლა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის, ივანე ჯავახიშვილის და ნაშრომში განხილული სხვა ავტორების მიერ ძირითადად გაანალიზებულია XIX საუკუნის ქართული პოლიტიკური აზროვნება. ამ პერიოდში ქართული პოლიტიკური აზრი ევროპეიზაციის პროცესს განიცდიდა. ევროპეიზაცია უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის სამომავლო განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ გარკვეულ საფრთხეებს შეიცავდა.

შეიძლება ითქვას, რომ არჩილ ჯორჯაძისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოყოფილი ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობა მნიშვნელოვანწილად სწორედ ევროპეიზაციის პროცესით აიხსნება. ქართველი პოლიტიკოსები არ მოელოდნენ მოტყუებას იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც მათთვის მისაბაძი და საერთო ფასეულობების მატარებელი იყო. XVIII საუკუნეში უმთავრესი როლი შეასრულა რელიგიურმა ფაქტორმა - ქართველები არ ელოდნენ მოტყუებას ქრისტიანი ხელმწიფეებისაგან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში კი ქართული პოლიტიკური აზროვნების გულუბრყვილობა მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობდა იდეოლოგიური ფაქტორებისაგან - რწმენამ მოწინავე ცივილიზებული ევროპის მხარდაჭერისა და ნდობამ „სოციალისტური“ რუსეთის დაპირებებისადმი განაპირობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა.

XIX საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთის ბატონობის ქვეშ მოექცა, ევროპეიზაცია საზოგადოების ნაწილის მხრიდან აღქმული იყო რუსეთის დამსახურებად და ეს ხელს უწყობდა რუსული მმართველობისადმი შემგუებლური განწყობის ჩამოყალიბებას.

XIX საუკუნის ქართული პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად გამოყოფილი იქნა პოლიტიკური აზროვნების „გაორება“. ამ პერიოდის ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები გულწრფელად ცდილობდნენ ერთმანეთთან შეეთავსებინათ რუსეთის იმპერიის სამსახური და ქართული ეროვნული ინტერესების დაცვა. ეს ორი რამ კი არათავსებადი იყო. ამაში ასევე ვლინდებოდა ქართული პოლიტიკური აზროვნების გულუბრყვილობა.

ევროპეიზაციის პროცესით უნდა აიხსნას ასევე რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის გატაცება გლობალური პრობლემებით, ეროვნული საკითხისა და ადგილობრივი პრობლემების დავიწყების ხარჯზე; ცდილობდნენ ქართულ ნიადაგზე გადმოეტანათ ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე ევროპის დღის წესრიგში მდგარი თეორიები და პოლიტიკური მიმდინარეობანი. ამავე პროცესის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვაც.

გლობალური საკითხებით გატაცება ქართული ხასიათის თვისებად მიიჩნია არჩილ ჯორჯაძემ და ამით ახსნა ჩვენს ქვეყანაში იმ დროინდელ ევროპასა და რუსეთში არსებული რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობების გავრცელება. ეს იყო, მისივე შეფასებით, წამხედურობა, რაც ჩამორჩენილობით იყო განპირობებული და "დროში აცდენა", რაზეც მიუთითა კიტა აბაშიძემ "მესამე დასის" პროგრამასთან დაკავშირებით. ის რაც ევროპის დღის წესრიგში იდგა, საქართველოსთვის ნაადრევი იყო.

გლობალური იდეებით გატაცებას მოსდევდა ეროვნული პრობლემატიკის დავიწყება და ქვეყნის შიგნით მწვავე ბრძოლა ეროვნულ ნიადაგზე მდგომ და ე. წ. "ინტერნაციონალისტური" ხედვის მქონე პოლიტიკურ ძალებს შორის. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ამ ბრძოლამ დიდად დააზარალა საქართველო. დიდი ხნის მანძილზე შეუძლებელი იყო პოლიტიკურ ძალთა თანამშრომლობა საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაპირისპირება კი გადადიოდა პიროვნული დაპირისპირების სიბრტყეში.

აღსანიშნავია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები შემდეგ ცდილობდნენ თავიანთ ისტორიაში „ანტიეროვნული" პერიოდის არსებობის უარყოფას (ჟორდანია ნოე 1949).

ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის მნიშვნელოვან წყალგამყოფს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხისადმი დამოკიდებულება. კიტა აბაშიძემ აქ ორი ტიპი გამოყო - პოლიტიკური რომანტიზმი, რომელიც გულისხმობდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მიუხედავად არსებული პირობების არახელსაყრელობისა; პოლიტიკური რეალიზმი კი არსებითად ეროვნულ საქმეზე ზრუნვას გამორიცხავდა. თუმცა, რაზეც კიტა აბაშიძე საუბრობდა, ეს იყო ცრუ პოლიტიკური რეალიზმი.

ტერმინები „პოლიტიკური რომანტიზმი" და „პოლიტიკური რეალიზმი" შემდგომი განხილვის დროს რიგი ავტორებისთვის დასაზუსტებელი ან მიუღებელი აღმოჩნდა. ისიდორე მანწკავამ ამჯობინა სხვა ტერმინების „შეურიგებლების" და „შერიგებულების" გამოყენება - იგულისხმებოდა დამოკიდებულება რუსულ მმართველობასთან.

„პოლიტიკური რომანტიზმის" თემის განხილვა კიდევ ერთი მიმართულებით წარიმართა - ახალ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით აანალიზებდნენ 1832 წლის შეთქმულებას და აღნიშნავ-

დნენ, რომ მას ჰქონდა წარმატების გარკვეული შანსი (ისიდორე მანწკავა, ვიქტორ ნოზაძე).

განსაკუთრებით რთულია პოლიტიკური აზრის იმ მიმართულებათა შესწავლა, რომელიც მოქცეულია „პოლიტიკური რეალიზმის“ სახელის ქვეშ. აქ იგულისხმება ყველა ის მიმართულება, რომლის წარმომადგენლებიც უარს ამბობდნენ დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართულ დაუყოვნებლივ ბრძოლაზე. ნაწილი, პრინციპში, საერთოდ უარს ამბობდა ასეთ ბრძოლაზე, ნაწილი კი ნიადაგს ამზადებდა ასეთი ბრძოლისთვის, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა მისი დაწყება.

ქართული პოლიტიკური აზროვნების ანალიზის მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზების გააზრება. მოცემულ ნაშრომში განხილულია მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ უშუალოდ ამ მოვლენის შემდეგ დაწერილი სტატიები. თუმცა, ამ თემაზე არსებული ლიტერატურა საკმაოდ ვრცელია და აუცილებელია მისი სათანადო შესწავლა.

ქართული პოლიტიკური აზროვნების მახასიათებლების კვლევამ საბჭოთა პერიოდში ვერ ჰპოვა განვითარება. კარგი იქნება თუ ამ პრობლემატიკას გავიხსენებთ და კუთვნილ ადგილს დავუმკვიდრებთ ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებაში.

დანართი

კიტა აბაშიძე. პოლიტიკური რომანტიზმი

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი“.

ჩვენი გენიოსის ეს ლექსი თითქმის სიმბოლოა მთელის ჩვენის ერის ცხოვრებისა უკანასკნელ საუკუნეში. მას მერე, რაც ჩვენმა პოლიტიკურმა თვითარსებობამ დალია სული ისე საბრალოდ და ისე საცოდავად, ჩვენ ერს თითქო გონება დაეკარგაო, აღარ იცის საით მიისწრაფვის, სად მიილტვის, რა უნდა და რას ელტვის. მთელმა საუკუნემ გაიარა ისე, რომ ჩვენს ერს და მის მეთაურებს ვერ გამოუკვლევიათ და ვერ გამოურკვევიათ, რა გვმართებს ახალს მდგომარეობაში, რას უნდს ვსცდილობდეთ, რას უნდა ვაკეთებდეთ. არც ერთს პარტიას ჩვენში არა აქვს ნათლად გარკვეული, რა გზას უნდა ადგეს იგი ჩვენი ერის ბედიღბლის საქმეში. მთელი საუკუნის ისტორია ამის ცხადი და უტყუარი მოწმეა. მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ერთმა საქართველომ სული განუტევა - ქართველი ერი ნიადაგ რყევაშია, ნიადაგ გამოურკვეველ მდგომარეობაშია. გუშინ რომ აღშფოთებული, თავგანწირული ებრძოდა და სულ ცოტა მაინც ებუტებოდა „მატყუარა მეგობრებს“, დღეს მათ ფეხებს ულოკავს და რას იზამს ხვალ, არავინ იცის. თქვენ თუ ცოტათი გადაათვალიერებთ ერთ რომელიმე ხანას ჩვენი ქვეყნის უკანასკნელის დროისას, დაინახავთ, მამა რომ ერთგული ყმა იყო ქვეყნის მტრებისა

და მარტო პირად განცხრომასა და ფუფუნებაზე ფიქრობდა, შვილი შეურიგებელი და მოუდრეკელი, ურჩი წინააღმდეგი იყო იმავე მტრებისა. ჩვენი ქვეყნის „მერანი“ უგზო-უკვლოდ ფრინავს დღემდისაც და ერთადერთი გარკვეული ის არის, რომ საითაც უნდა გაიქცეს, თვალზედითი შავი ყორანიც ჩხავილი მას არ მოშორებია და მისი მხედარის გული ვაებით აუვსია ამ საზარელ ჩხავილს. ერთადერთი საიმედო კი ისღა დარჩენია, რომ „მას შემდგომად მოძმესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“, რადგან, ეჭვი არ არის, შეცდომათა ისტორია გამოსადეგია კაცობრიობისათვის და კაცობრიობის ისტორიასაცა ჰყავს თავისი მსხვერპლი სხვათა განსასწავლად და გასაგონებლად. როდესაც ერი ისეთ მდგომარეობაშია, როგორც ჩვენ, მე მგონია, მას უნდა შეგნებული ჰქონდეს თავისი მდგომარეობა, აწონილ-დაწონილიო ჰქონდეს თავისი ძალ-ღონე, მისი ზნეობრივი და მატერიალური სიმდიდრე გამოანგარიშებული უნდა ჰქონდეს და, ამგვარად, სავსებით შემგნები თავისის მდგომარეობისა, უნდა იქცეოდეს ისე, როგორც შეესაბამება მის ყოფას. თუ ძალის იმედი არა აქვს, ნებაყოფლობითა და მორჩილებით ცდილობდეს ცხოვრების და გარემოების გაუმჯობესებას, თუ ესეც არ გაუდის, თავგანწირულ აღშფოთებას მაინც მიეცეს და თუ ესეც მეტია და ამასაც ვერა ჰბედავს, „ზღვის პირად დაჯდეს და გამოდარებას უცადოს“. ჩვენში კი თუ ვინმე რომელიმე ამ გზას ამოირჩევს, იმიტომ კი არა, რომ წინდაწინ ჰქონდეს შედგენილი მოქმედების გეგმა და კარგად გარკვეული ჰქონდეს საითკენ მიისწრაფვის, არამედ ისე, თვითონაც არ იცის რატომ კისრულობს მონურ „ფეხის ლოკვის“ როლს, ანუ თავგანწირულ მაშფოთარის მანტიაში რად ეხვევა.

ასეა თუ ისემ აღშფოთება ცხოვრების უმსგავსოებით, უარყოფით მოქცევა ყოველივე იმისადმი, რაიცა ჩირქსა სცხებს კაცისა და ერის ღირსებას, რაც უნდა უნიადაგო და უმნიშვნელო ყოფილიყოს, ყოველთვის უფრო სასიმპათიო ყოფილა, უფრო გამოუწვევია აღტაცება და თანაგრძნობა შთამოებაში. ასეთი თავგანწირული წინააღმდეგობა ბოროტისა ყოველთვის უფრო მომხიბვლელია თავისის რაინდულის არაჩვეულებრივობითა და სიდიადით, რაღაც ზღაპრულის შარავანდედით არის ხოლმე მოსილი და უცნაურის შუქით განათებული.

ერთი ასეთი ამბავი მინდა გავიხსენო...

საქართველოს განათლებულისა და მოწინავე საზოგადოების XIX საუკუნის ისტორიაში ეს ერთადერთი მომენტია იმ გმირული ადამიანობით აღსავსე, ურომლისოდ კაცის ცხოვრება ჩალის ფასადაც არა ღირს. მართლაც, ცხოვრება, ნამდვილი და ჭეშმარიტი ცხოვრება ხომ ისაა, რომელშიც ხშირია მომენტები უსაზღვრო თავგანწირულებისა, უმაღლესის რწმენისა და აზრის ამქვეყნად განსახორციელებლად.

...

ასეთი იყო პირველი და უკანასკნელი „გაფიცვა“ და „შეთქმულება“ თავადაზნაურობისა წარსულ საუკუნეში. თუ ამ საუკუნეში რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება კიდევ გულში ჰქონდა ჩახვეული, ჩვენი საუკუნის დამდეგში ქართველმა თავად-აზნაურობამ დაუმტკიცა რუსეთს, რომ მისი გული წმინდაა და შორს არის ყოველივე „ზრახვასა მზაკვართასა“, რომ იგი მადლიერია და კმაყოფილი, ბედნიერი და მხიარული, და შვილებმა იმ ადამიანებისა, რომელნიც რუსეთში გაციმბირებულ იქმნენ 1832-ში იმისათვის, რომ უნდოდათ სათავადაზნაურო ბალი გაემართათ და ამ ბალზედ რუსეთის წარჩინებული მოხელეები გაეწყვიტათ, ამ ადამიანების შვილებმა ამას წინათ ბალი გამართეს, სათავადაზნაურო ესეც, მაგრამ სულ სხვა აზრით: რათა რუსეთის მოხელეების უმაღლეს წარმომადგენელთა წინაშე ფიანდაზად გაეგოთ თავისი ერთგულებისა და მორჩილების გრძნობები.

ამგვარად დამთავრდა ეს რომანტიკული პოლიტიკური ამბავი და, კაცმა რომ სთქვას, ეს გახლდათ უკანასკნელი როლი, რომელიც ითამაშა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში წარსულ საუკუნეში ჩვენმა თავადაზნაურობამ. იმ დღიდან თავადაზნაურობა გადაგვარების გზას დაადგა, ვითომდა პოლიტიკურის რეალიზმის თაყვანისმცემელი შეიქმნა, ნამდვილად კი დაცემისა და გათახსირების მაგალითის მეტს აღარას იძლევა რას ერთ დროს ბრწყინვალე წოდება. როცა ეს თავადაზნაურობა თავში უდგას საერო ინტერესებს და საზოგადო კეთილდღეობისათვის მსხვერპლად მიაქვს კერძო, პირადი ინტერესები, ამ კერძო თავის ინტერესებს ზურგს აქცევს საზოგადო საგნისთვის, - იგი კეთილი ნაწილია საზოგადოებისა, იგი არავითარ საშიშარს არ წარმოადგენს, არავისთვის იგი აღარ წარმოადგენს წოდებას, რომელიც სხვას კისეტში აზის; იგი თავის კერძო, პირად პრივილეგიებსა და უფლებებს

თვითვე სპობს და საერთო ნიადაგზე გადადის. ხოლო როცა იგი კერძო, პირად ინტერესებს აყენებს პირველ პლანზედ, როცა პირადი ბედნიერება მიაჩნია საქვეყნო ბედნიერებად, როცა ჯინჯილებისა და პენსიებისათვის იმცირებს თავს და ამცირებს მთელს ერს, იგი საბრალო ხორცმეტია და თვითვე უსპობს თავის თავს სიცოცხლეს. განსხვავება კი იმაშია, რომ თუ პირველ შემთხვევაშიაც - როგორც უსამართლო პრივილეგიების წარმომადგენელი წოდება - იგი ისპობა, მისი მოსპობა მამაცურია, რაინდულია, საუკუნო სახელს იძენს, როგორც წოდება თავისი ისტორიულის დანიშნულების აღმასრულებელი; ხოლო მეორე შემთხვევაში კი იმ გარყვნილს მიაგავს, რომელიც თავისსავე სიბინძურის მსხვერპლი ხდება და ბინძურ გრძნობათა ლაფსი იხრჩობა და საუკუნო ზიზღსა ჰბადებს ერში.

1905 წ.

გვ.544-545, 582-583

არჩილ ჯორჯაძე. წინასიტყვაობა თხზულებათა მეორე ტომისთვის

ჩვენს საზოგადოებრივობას განსაზღვრულ ელფერს აძლევს ქართველ ინტელიგენციის აზროვნება. ამ საზოგადოებრივობას ვერ შეიგნებთ, თუ რომ ინტელიგენციის ხასიატის და მიდრეკილების გამორკვევას არ შეუდგებით...

ამ მხრივ ჩემი დაკვირვება და დასკვნა საიმედო ხასიათისა არ არის. ინტელიგენციის ძალა ხომ მის ცნობიერების ძალაში ისახება. ეს ძალა იმდენად არის ძალა, რამდენადაც იგი მცნობია თავის თავისა. თავის ცნობა კი არის უწინარესს ყოვლისა ცნობა თავის თავის უფლებისა. ცნობიერი ერი არის ერი მცნობი თავის უფლებისა. და რამდენადაც დავაკვირდი საგანს, ქართველი ინტელიგენციის XIX საუკუნის

ისტორია არ არის თავის უფლების მცნობ ერის ინტელიგენციის ისტორია.

მართლაც, განა საგულისხმო არ არის ის გარემოება, რომ წარსულ საუკუნეში, როდესაც ასე მწვავეთ ვგრძნობდით პოლიტიკურ პირობების შოლტებს, არ აღიძრა, არ შემუშავდა, არ აღმოჩნდა ჩვენში ერთი, მთლიანი, დიდი ნაკადი ეროვნულის მოძრაობისა. განა სავალალო არ არის ის გარემოება, რომ საუკუნის განმავლობაში (მთიულთა და კახელთა აჯანყებები თუ არ მივიღეთ მხედველობაში) „რომანტიკოს პატრიოტების“ გარდა (1832 წ.) ფაქტიურად, საქმით და მოქმედებით არც ერთი ფრაქცია, არც ერთი ჯგუფი არ აღმოჩნდა ჩვენს საზოგადოებაში „ერის უფლების“ დამცველი! ჩვენში მხოლოდ ლიტერატურული ვარჯიშობა იყო ამ საგნის შესახებ, ისიც იმისთანა, რომელიც უმეტესს შემთხვევაში საგნის ზედაპირს არა სცილდებოდა.

„მესამოციანებს“ დიდი ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის წინაშე, მათ შემოიტანეს ეროვნული კულტურა. მაგრამ ერის უფლება მათთვის ის იყო, რაც ცნობილ არაკში მელასათვის იყო მშვენიერი ყურძნის მტევანი, მაღალ ხეზე ჩამოკიდებული. თავად-აზნაურულმა ინტელიგენციამ, რომლის წრეშიაც მესამოცე წლის მოღვაწენიც იყვნენ, სამშობლოს სამსახური მოინდომა ორაზროვნობის, ყიზილბაშურის მეთოდების საშუალებით და ამ ინტელიგენციამ მოიმკო ის, რაც დათესა, ე. ი. სრული გაკოტრება თავისი პოლიტიკური პროგრამისა. სოციალ-დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, რომელიც საუკუნის დამლევს გაჩნდა ჩვენში, ამ მხრივ არავითარი ახალი აზრი არ შემოიტანა. პოლიტიკურ აზროვნების მხრივ მას დიდი მსგავსება აქვს თავად-აზნაურულ ინტელიგენციასთან, განსხვავება მხოლოდ დემოკრატიზმის მეტნაკლებობაშია. მაშინ როდესაც პირველნი რუსეთის თვითმპყრობელობიდამ გამოელიან ხსნას და წყალობას, მეორენი ამ ხსნას ეძებენ რუსეთის დემოკრატიის პოლიტიკურ იდეალებში.

მე უკვე მქონდა შემთხვევა ხაზი გამესვა იმ გარემოებისათვის (იხ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“), რომ დამონებულ ქვეყანაში, სადაც ეროვნული საკითხი ამ დამონებულ ხალხის ინტერესის მიხედვით კი არა სწყდება ინტელიგენციის მიერ, არამედ გარეშე მდგარ გაუმაძღარ სახელმწიფოებრივ მადის მიხედვით, ან თუ გინდ მპყრობელ

ხალხის იდეალების მიხედვით, რომ ამისთანა ქვეყანაში ინტელიგენცია უფსკრულის კიდემდის არის მისული და მისი გადაჩეხა უძირო ხვრელში გადაწყვეტილი საქმეა.

არა, უნუგეშო ისტორიაა ქართველ ინტელიგენციის ისტორია XIX საუკუნეში, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამგვარ უილაჯობას თითქმის ბოლო ეღება. ფიალა ბოლომდე აივსო და აღირძინების ნიშნები XIX საუკუნის ბოლოშივე აღმოჩნდნენ.

ამ აღორძინებას, თუ იგი თვალთმაქცი არ აღმოჩნდა, მოჰყვება ის, რომ ინტელიგენცია ჩვენს ცხოვრებას და ჭირ-ვარამს დაუახლოვდება, თავს დააღწევს ორაზროვან ფრაზეოლოგიას და გახდება ინიციატორად საქართველოს დემოკრატიის გაერთიანებისა. გაერთიანებული, დარაზმული, თვითშემეცნებით გამსჭვალული დემოკრატია იკისრებს ქვეყნის წინამძღოლობას და მის სოციალურ და ეროვნულ კულტურის გამაგრებას. ჩვენი საზოგადოების პროგრესიულმა ელემენტებმა ამ საქმეს უნდა შეუწყონ ხელი.

არჩილ ჯორჯაძე. ავადმყოფი საზოგადოება

ქართულს მწერლობაში გაისმა პროტესტი ჩვენი ინტელიგენციის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენში არსებულ რუსულ პრესის სათავეში უდგა... ინტელიგენცია თავისი რუსული პრესით ხელს უწყობს საქართველოს დენაციონალიზაციას, აღრმავებს უფსკრულს ხალხსა და ინტელიგენციის შუა არსებულს, რყვნის საზოგადოებრივ აზროვნებას და მრუდე გზაზედ აყენებს მას. მაგრამ, მიუხედავად პროტესტის გაცხოველებისა, საქმეს არა ეშველა რა...

რას მოასწავებს ყოველივე ეს? რა მიზეზია, რომ ამ საკითხის შესახებ ვერ შეთანხმებულა ჩვენი ინტელიგენცია? რითი აიხსნება ის სავაგლახო გარემოება, რომ ბევრისთვის აქ პრობლემა არც კი არსებობს და რომ ქართველ-ინტელიგენტების ამ უცნაურ სამწერლო ფერხულის მომხრეთ არც კი ესმის ის განსაცდელი, რომელიც მოელის ჩვენს ეროვნულ-კულტურულ საქმეს ამ „გულუბრყვილო“ საზოგადოებრივ მოღ-

ვაწეობის გამო? ყველა ამისი მიზეზი, აშკარაა, უნდა იყოს ღრმა და რთული-რამ. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია, - რომ ამოდენა განათლებული ხალხი ასე ყრუდ ეპყრობოდეს ეროვნულ ინტერესებს და შეგნებულად ძირს უთხრიდეს ჩვენს ნორჩ, ყველას მიერ დაბრიყვებულ და სასაცილოდ აგდებულ ეროვნულ კულტურას. და აი საქმე სწორედ ამ ღრმა და რთული მიზეზის გამოძებნაშია. საჭიროა გამოირკვეს სოციალ-პოლიტიკური ნიადაგი, რომელმაც წარმოშვა ამგვარი მოვლენა. საჭიროა ისტორიული პირობების გათვალისწინება ჩვენი ინტელიგენციის სულიერ მისწრაფების გასაგებად.

მოგეხსენებად, რომ ქართველების ერთგულება რუსების მიმართ ტრუიზმად არის გადაქცეული. 1832 წლის შეთქმულობის აღმოჩენის შემდეგ, ეროვნულ მოძრაობის ნიშან-წყალი თითქოს აღარა სჩანს საქართველოში. საყურადღებოა, რომ სოლომონ დოდაშვილი, აღნიშნული შეთქმულობის სულის ჩამდგმელი, პატიების შემდეგ რუსეთის ადმინისტრაციაში სამსახურს არ ჰთაკილობს. საყურადღებოა, რომ დიმიტრი ყიფიანი, გულწრფელი და თავდადებული მამულიშვილი, ერთგული მსახური იყო მთავრობისა. ამგვარივე ხასიათისა იყო არა ნაკლებ განთქმული გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა, ერთგულივე და თითქმის რუსიფიკაციის პოლიტიკის მომხრეობით სახელი გაითქვა ჭკვიანმა, ნიჭიერმა, ხოლო ამასთან სრულიად უპრინციპო, „ფრთა-მოტეხილმა არწივმა“ ნიკო ნიკოლაძემ, ოდესღაც რუს-რევოლიუციონერთა წრის თვალსაჩინო წევრმა, დღეს კი რუსულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივობის დამცველმა და მოსარჩლე ქართველმა საზოგადო მოღვაწემ. და საყურადღებოა, განსაკუთრებით ის, რომ ჩვენი საუკეთესო პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართველ ახალ კულტურის მოამაგე, გულ-შემატკივარი და მოსარჩლე, დიდბუნებოვანი პიროვნება, ილია ჭავჭავაძე, ამაყობდა თავის ერთგულობით და საჯაროთაც ამჟღავნებდა თავის ლოიალურ გრძნობებს. ამ სტრიქონების დამწერს ერთ საუბრის დროს ეუბნებოდა განსვენებული ილია, - ახალმა თაობამ კარგად უნდა დაინახსოვროს ერთი რამ. ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიულ პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული.

თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო. ამ თვალსაზრისის წყალობით ილია ჭავჭავაძე მართალია მომხრე იყო საქართველოს ავტონომიისა, ხოლო ამ ავტონომიის დამკვიდრებას ტახტისაგან მოელოდებოდა. ამ მიმართულებისა იყო ერთი რიგი ჩვენის საუკეთესო მოღვაწეებისა.

გადახედეთ ახლა ინტელიგენციის მეორე რიგს - ქართველ ძველ რევოლიუციონერებს „ნაროდოვოლცებს“ და „ნაროდნიკებს“ და ახალ სოციალისტ-რევოლიუციონერებს და სოციალ-დემოკრატებს. ქართველი ნაროდნიკები ხომ სახელით იყვნენ ქართველები, ნამდვილად კი ქართველ ხალხისათვის მათ არაფერი არ გაუკეთებიათ. უმეტეს ნაწილად ისინი საქართველოში არც კი მუშაობდნენ. თავიანთი ძალ-ღონე და სიცოცხლე შესწირეს მათ (1860-1870 წლებში) რუსულ საქმეს, რუსეთის რევოლიუციას. ჩვენი დროის რევოლიუციონერები ჩვენს ხალხს, მართალია, უფრო დაუახლოვდნენ, განსაკუთრებით, სოციალ-დემოკრატები, ხოლო მათაც არავითარი **საკუთარი** ეროვნული პროგრამა არა ჰქონდათ. მათი სამოქმედო პროგრამა იყო რუსულ პარტიების სასმოქმედო პროგრამა.

სრულიად განცალკევებულად სდგას ჩვენში ის ჯგუფი, რომელმაც წამოაყენა ჩვენში ეროვნული საკითხის პოლიტიკური პრობლემა. ხოლო ამ ჯგუფს ჯერ ხანობით არ მოუპოვები მის ნამდვილ ღირსების და დამსახურების შესაფერი მნიშვნელობა. ესეც საყურადღებოა... ჩაუფიქრდეთ ყველა ამას და უნებლიეთ დაგებადებათ შემდეგი აზრი: ქართველი ინტელიგენცია რუსეთისადმი ლოიალიზმით არის გამსჭვალული. ინტელიგენციის ერთის ნაწილის ლოიალიზმი რუსეთის ტახტისადმი არის მიმართული, ხოლო ინტელიგენციის მეორე ნაწილის ლოიალიზმი რუსეთის ხალხისადმი. ორთავესათვის არ არსებობს დამოუკიდებელი პოლიტიკური პროგრამა, შემუშავებული ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით. და მაშინ, როდესაც ერთნი ტახტისადმი ერთგულობის საშუალებით ცდილობენ ემსახურონ ქართველ ხალხს, მეორენი იმავ ხალხის კეთილდღეობას ერთა სწორუფლებიანობის ნიადაგზე კი არ ამყარებდნენ, არამედ უსისხლ-ხორცო და უშინაარსო განყენებულ სოლიდარობის ნიადაგზე.

სად უნდა ვეძებოთ სათავე ქართველ ინტელიგენციის ამგვარი სულიერ განწყობილების ასახსნელად? ისტორიულ წარსულში, რა თქმა უნდა. ბიზანტიის დამხობის შემდეგ, საქართველოს გარს ეხვია ორი ძლიერი მტერი - ოსმალეთი და სპარსეთი. ოსმალეთის გამოსვლამდე ისტორიულ ასპარეზზედ ქართველ ხალხს მუდამ ჟამს ჰქონდა შეტაკება ირან-მუსულმანთა ქვეყნებთან. არაბებისაგან და სპარსელებისაგან ბევრი რამ გადმოეცა საქართველოს. ირან მუსულმანთა კულტურის ნაკადი ფრიად თვალსაჩინო იყო ჩენს ეროვნულ ცხოვრებაში, მაგრამ იმავ ცხოვრებაში სხვა ელემენტებსაც ჰქონდათ ადგილი. ბიზანტიის საშუალებით გადმოგვეცა, ერთის მხრივ ელინური სული და მწერლობა (ნეო-პლატონიზმი), მეორე მხრივ კი, ამავ წყაროდან ჩვენს ქრისტიანობას ეძლეოდა დიდი სულიერი საზრდო. ამ ორ გავლენათა შორის ქრისტიანულ-ბიზანტიურმა ელემენტმა სძლია ჩვენს კულტურაში ირან-მუსულმანთა ელემენტს. ამიტომ ბიზანტიის დამხობის შემდეგ ქართველთა თვალი მოსკოვისაკენ იყო მიმართული. იქ ეძებდენ ქართველი მეფეები და საზოგადო მოღვაწენი საბოლოვო ხსნას ირან-მუსულმანთა გავლენისაგან. საქართველოს წინაშე იდგა პრობლემა. მას უნდა ან სპარსეთი, ან რუსეთი აერჩია თავის მფარველად. და მანაც აირჩია რუსეთი. ქართული ლოიალიზმის დასაბამი აქედან იწყება.

მოსკოვის მთავრები და მეფეები ეფერებოდნენ ქართველებს, ანუგეშებდნენ მათ, საჩუქრებს უგზავნიდნენ ქართველ მეფეებს. ხოლო როდესაც რუსეთი იმპერიად გადაიქცა, ინტერესი საქართველოსადმი უფრო გაცხოველდა, რადგან ახალ იმპერიას კასპიის იქით მხარესაკენ ეჭირა თვალი და მისთვის საქართველო შეუდარებელ ბაზად ისახებოდა სპარსეთთან ბრძოლის დროს. ბოლოს, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის მთავრობამ შეისმინა თხოვნა ქართველ მეფის ირაკლისა და ჯერ, სანამ ზურგს მოიმაგრებდა ჩვენს ქვეყანაში, ხელშეკრულება დასდო მასთან (1783 წელს), ხოლო შემდეგ, როდესაც დარწმუნდა ჩვენს სისუსტეში და თავის ძლიერებაში, (1801 წელს) ეს ხელშეკრულება დაარღვია. და მთელი მეცხრამეტე საუკუნე იყო გამტკიცება იმ რეჟიმისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა, როგორც ამ ხელშეკრულებას, ისე ქართველების საუკუნოებით შემუშავებულს და შეზრდილს მისწრაფებაიმედებს.

ამგვარად ქართულ ლოიალიზმს ისტორიული საფუძველი ჰქონდა. ისტორიულმა პირობებმა გამოიწვიეს იგი. ხოლო ისტორიული პირობებივე სპობდენ მას. თუ ერთ დროს ერთგულების პრინციპს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ამ ერთგულების საშუალებით უნდა განხორციელებულიყო საქართველოს იმედი დამოუკიდებელ ეროვნულ კულტურის განვითარებისა, შემდეგში ამ პრინციპს სრულიად უნდა დაჰკარგოდა რაიმე ღირებულება, რადგან ერთგულება მიზანს არ აღწევდა და ჩვენს მდგომარეობას არ აუმჯობესებდა.

ამბოხებანი და შეთქმულებანი მე-19 საუკუნის დასაწყისში მოწმობენ, რომ იმ ხანაში საუკეთესო მამულიშვილებს ეს აზრი კარგად ჰქონდათ შეთვისებული. მხოლოდ აშკარაა, რომ შემდეგში, იმ ხანაში, როდესაც ჩვენ დაგვებადა ინტელიგენცია და ამ ინტელიგენციამ იწყო საზოგადო ასპარეზზე მოქმედება, ყოველივე ეს დავიწყებული იქმნა და ძველი გრძნობები და მისწრაფებანი, რომელნიც განსაკუთრებულ პირობებში იშვნენ და წარმოიშობნენ, ისევ რაღაც ატავისტიურის ძალით გამოცოცხლდნენ ქართველ ინტელიგენციის გულში.

წინად იდგა პრობლემა, - ან გამუსლიმანება,, ან მფარველობა რუსეთისა. ახლა წარმიიშვა ახალი ზრუნვ და ახალი ფიქრი - ან გათქვეფა სლავიანთა ზღვაში და შთანთქვა საქართველოსი რუსეთის მიერ, ან ეროვნული კულტურის განვითარება და დაცვა ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ. წინად რუსეთის იმედი გამომდინარეობდა რეალურ პირობებისაგან. ახლა იმავ რუსეთის იმედი არავითარი რეალური პირობებისაგან აღარ გამომდინარეობს. ინტელიგენცია კი ისევ ძველ ლოიალურ გრძნობებით არის გამსჭვალული. და ეს ლოიალიზმი, რიდე მოფარებული და უჩინარი ლოიალიზმი, რადიკალურ ინტელიგენციის ელემენტებსაც კი ახასიათებს.

და სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ის მიზეზი, რომ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფები ერთი მეორეს ასწრობენ და ცდილობენ პრესის საშუალებით განიმტკიცონ და გააცხოველონ ძველი ფორმულები, რომელთაც ყოველი აზრი და მნიშვნელობა დაეკარგათ. მართალია აქ ცხადი წინააღმდეგობაა, აქ პოლიტიკური დაბრმავებაა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ არც ამ წინააღმდეგობის დანახვა შეუძლია ინტელიგენციას, არც პოლიტიკურ კურსის შეცვლა. ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწი-

ლი დენაციონალიზაციის სისტემის ნაყოფია, იგი შეუგნებლივ ეხმარება პოლიტიკას, რომლის წინააღმდეგ ვითომდა ბრძოლა უნდა და მას არ ძალუძს დანახვა უფსკრულისა, რომლის სიახლოვეს სდგას, რადგან მან უკვე გასწყვიტა კავშირი როგორც საქართველოს ისტორიულ იმედებთან, ისე ეროვნულ კულტურასთან.

ტფილისში არსებული სამი რედაქცია - „ნოვაია რეჩი“, „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე“ და „ზაკავკაზიე“ თავდაპირველად ამ ნიშნებით დახასიათდებიან. თვითეულ რედაქციას ჰგონია, რომ სწორეთ ისა სდგას ნამდვილ გზაზედ და რომ სწორედ მისი არსებობა და დღეგრძელობა ესაჭიროება დღეს საქართველოს. ნამდვილად კი სამივე გაზეთი ერთნაირად მავნებელნი არიან და მათ შორის საერთო გაცილებით მეტია, ვიდრე განსხვავება. თვითეულ რედაქციას აქვს იმედი, მთავრობას გავაგებინებ ჩვენს საჭიროებას, მთავრობაზე ვიქონიებ ზედ-გავლენას და მით მოვიხდი ჩემს ვალს ქვეყნის წინაშეო. სამსავე რედაქციას ახასიათებს ლოიალიზმი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთის ლოიალიზმი კონსერვატიულია, მეორეების კი თითქოს ლიბერალურ-დემოკრატიული.

....

მართალი გითხრათ, თავად-აზნაურული ლოიალიზმი მირჩევნია ამ თვალთმაქცს, გამხრწნელ ლიბერალიზმს, რომელშიაც კოსმოპოლიტურ და ინტერნაციონალურ მისწრაფებებთან გვერდით მონურ და დახავსებულ სულიერ ფსიხიკას აქვს ადგილი. თავად-აზნაურული კონსერვატიული ლოიალიზმი ეროვნულად ბრმა, ხოლო წოდებრივად ანგარიშიანია. გადაგვარებულ ინტელიგენციის ლოიალური ლიბერალ-რადიკალობა კი გულშემზარავი უილაჯობა და უძლურებაა.

აი რა არის და რას მოასწავებს რუსული პრესის გამრავლება და ფესვის მოკიდება ჩვენს ცხოვრებაში. ეს ის მოვლენაა, რომლის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლაა საჭირო. არსებული ქართული ჯგუფები, მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც, საკმარის ძალას მოიპოვებენ ამ უკუღმართობის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. ს.-დემპკრატები, რომელნიც არც ავტონომიას აღიარებენ, და რომელთაც არ სწამთ „ქართული პოლიტიკა“, მაინც ახლო დგანან ქართულ ეროვნულ ინტერესებთან, რადგან ავად თუ კარგად ისინი მოქმედებენ ქართულს წრეში,

ქართველ ხალხთან აქვთ კავშირი, ქართულ სიტყვიერებას და მწერლობას ანვითარებენ და მით ამაგრებენ და ამტკიცებენ ეროვნულ კულტურას. ხოლო როდესაც ქართულ ნიადაგზე მომქმედ ჯგუფთა შორის გაიზრდება ეროვნულ ძალთა კონცენტრაციის საჭიროების შეგნება და მის მიხედვით თვით-მომქმედ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მკვიდრი საფუძველი დაედება, მაშინ მოეღება ბოლო აღნიშნულ სავაგლახო მოვლენას და მხოლოდ მაშინ განიკურნება სავსებით ჩვენი ავადმყოფი საზოგადოება.

არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი, წიგნი მეორე. ტფილისი, 1911, გვ.222-230.

ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე

სახელმწიფო უნივერსიტეტში 28 და 29 აპრილს პრ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თანამედროვე მომენტზე. მოხსენებას თითქმის მთელი სტუდენტობა და პროფესურა დაესწო. მოხსენება მეტად საინტერესო იყო და პატივცემულ მომხსენებელს სტუდენტობამ მხურვალე მადლობა გადაუხადა.

"გულუბრყვილო " საგარეო პოლიტიკის შედეგები

პროფ. ჯავახიშვილი ჯერ ჩვენს ისტორიულ პოლიტიკას შეეხო. იგი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ჩვენი წინაპრები გამოცდილნი იყვნენ აღმოსავლეთ სახელმწიფოებთან (სპარსეთ-ოსმალეთთან) პოლიტიკის წარმოებაში, იმდენად გულუბრყვილონი იყვნენ ევროპიელებ-

თან პოლიტიკის წარმოებაში. ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახა. თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო.

იმპერიალისტური პოლიტიკა რუსეთში დაიწყო პეტრე I დიდის დროს. ჯერ სუეცის არხი არ იყო მაშინ გაყვანილი და ევროპიელები ინდოეთში მიდიოდნენ სავაჭროდ აფრიკის გარშემო. რასაკვირველია ეს ძალიან შორი გზა იყო, ამისთვის პეტრე პირველმა განიზრახა დაეპყრო სპარსეთი და სპარსეთიდან ინდოეთში გადასულიყო. ეს გზა უფრო მოკლე იყო და ინდოეთის ვაჭრობაც ადვილი ჩასაგდები იყო ხელში. პეტრე დიდის აზრით უნდა დაარსებულიყო კასპიის ზღვის ნაპირას რამოდენიმე ქალაქი, საცა მოეწყობოდა ინდოეთიდან გამოტანილ საქონლის საწყობი. სპარსეთზე გალაშქრებისათვის პეტრე დიდს დასჭირდა საქართველო. 1721 წელს მოულოდნელად თბილისში ჩამოვიდა პეტრე დიდის დესპანი. იგი წარუდგა მეფე ვახტან VI-ეს, დაჰპირდა რუსეთის მფარველობა, საქართველოს გაერთიანება, დახმარება ჯარით, ფულით, იარაღით და მოუწოდა მას რუსეთთან ერთად სპარსეთისათვის ომი გამოეცხადებინა. ეს გეგმა საერთოდ სპარსეთზე დაცემისა ისეთი მიმზიდველი იყო, რომ ვახტანგ მეექვსე გადახარა მისკენ. მან მოიწვია დარბაზი (პარლამენტი), დარბაზის უმრავლესობა წინააღუდგა მეფის განზრახვას, დარბაზი შესდგებოდა აღმოსავლეთ პოლიტიკაში დახელოვნებულ პირებისაგან და მან გაითვალისწინა ის უბედურება, რომელიც ამით საქართველოს დაატყდებოდა. მეფე არ დაემორჩილა დარბაზის დადგენილებას და პეტრე დიდთან ერთად სპარსეთს ომი გამოუცხადა. ვახტანგმა აიღო განჯა, გადავიდა ყარაბახს საცა პირობებისამებრ უკვე პეტრე დიდის ლაშქარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რომ პეტრე დარუბანდიდან უკან გაბრუნებულიყო. ვახტანგ მეექვსესთვის კი შემოეთვალა: "შენ ნუ შეშინდები, განაგრძე სპარსეთთან ომ-

იო". ვახტანგი თავისი ჯარით დაბრუნდა უკან და საქართველომ იწვნია სპარსთა შემოსევა, რომელთაც მოსრეს და მოაოხრეს სრულიად აღმოსავლეთ საქართველო. თვით ვახტანგმა მიატოვა თავისი სამეფო და თავისის მახლობლებით გადასახლდა რუსეთს. ასე ძვირად დაუჯდა საქართველოს პირველად რუსეთთან დაახლოვება. მაგრამ ქართველმა მაშინდელმა პოლიტიკოსებმა მაინც ამით ჭკვა ვერ ისწავლეს და ისევ ისე გულუბრყვილონი დარჩნენ პოლიტიკაში.

დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ საქართველო კვლავ წამოდგა, წელში გაიმართა. თეიმურაზ მეფემ მოამზადა ნიადაგი ირაკლი მეორის სახელოვან მეფობისათვის. ირაკლი გენიოსი იყო, როგორც აღმოსავლეთ პოლიტიკაში, ისე სარდლობაში. საქართველო გაძლიერდა, დამყარდა მშვიდობიანობა, ერეკლეს ჰმორჩილობდა განჯა და ერევანი, მთელ ამიერ-კავკასიაში და მის გარედაც კი ირაკლის დიდი გავლენა ჰქონდა და საქართველოს ყველა პატივსა სცემდა. ერეკლეს სწადდა გაერთიანებული საქართველო. აღმოსავლეთ საქართველო, რომელშიაც შედიოდა სხვათა შორის ლორი, ბამბაკი, ყაზახი - უკვე გაერთიანებული იყო. ერევნის ხანს და განჯის ხანს ერეკლისათვის არამც თუ არ უღალატნიათ არც როდის, არამედ მუდამ ერეკლესთან ერთად იბრძოდნენ სპარსელების წინააღმდეგ. დასავლეთ საქართველოც გაერთიანებული იყო მეფე სოლომონის მიერ. მხოლოდ სამხრეთი საქართველო ეჭირათ ოსმალებს და ერეკლეს საზრუნავი იყო როგორმე ეს მხარე ისევ დედა საქართველოსთვის შემოეერთებინა. ამ დროს რუსეთში მეფობდა ეკატერინე მეორე, რომლის დროსაც კვლავ შედგენილ იქმნა პეტრე დიდის მიხედვით გეგმა სპარსეთის და ოსმალეთის დაპყრობისა და ინდოეთთან ვაჭრობის გაჩაღებისა. კიდევ დასჭირდათ საქართველო. ეკატერინის შიკრიკი დაჰპირდა ირაკლის რუსეთის მფარველობა, დახმარება, ჯარი, იარაღი, მხოლოდ ირაკლის უნდა ომი გამოეცხადებინა რუსეთთან ერთად ოსმალეთისათვის. მართლაც თბილისში ჩამოვიდა ასი ბატალიონი[3] რუსის ჯარისა ცნობილ ტოტლებენის წინამძღოლობით და

[3] კორექტურა: ნაშრომში "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში" ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ტოტლებინის რაზმის შემადგენლობას: "რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგოდ სამხედრო მოქმედებისათვის გენ. გრაფი ტოტლებენი გამოგზავნა ერთი

ირაკლიმ გამოუცხადა ომი ოსმალეთს. საქართველოში არ იცოდნენ არც ზარბაზნების ჩამოსხმა, არც მათი მოხმარება. ტოტლებენის ჯარში მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა რატიშვილმა და თარხნიშვილმა დაუწყეს ქართველებს ზარბაზნების ჩამოსხმისა და მოხმარების სწავლება. სწორეთ ბრძოლის დაწყების წინ ტოტლებენმა მიატოვა ირაკლი, თუმცა ირაკლი ეხვეწა მას, მაგრამ ტოტლებენი წავიდა და მტერს ირაკლი პირში შეატოვა. ირაკლის გენიოსობამ საქართველო იხსნა განსაცდელისაგან. ტოტლებენმა რატიშვილი და სხვა ქართველი ოფიცრები ციხეში ჩასხა და ციმბირში გადაასახლა იმისათვის, რომ მათ ქართველებს ზარბაზნების ხმარება ასწავლეს.

ყველა სახტად დარჩა მოკავშირე რუსეთის ასეთი ქცევით. როგორც საიდუმლო არქივებიდან ირკვევა რუსეთს სრულიადაც აზრად არა ჰქონდა საქართველო გაეძლიერებინა, არამედ უნდოდა იგი სრულიად დაუძლურებულიყო, რომ შემდეგ ადვილი მოსასპობი ყოფილიყო, მაგრამ ამ ვერაგობამ ვერ გაუხილა ქართულ პოლიტიკას თვალები, იგი მაინც გულუბრყვილო დარჩა და ეგონა, რომ ძლიერი უანგაროდ დაეხმარებოდა მაჰმადიანებით გარემოცულ ქრისტიან ერს. 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება დაწერილია, როგორც ირკვევა, არა ირაკლის თხოვნით, არამედ პოტიომკინის კარნახით. ამ ტრაქტატის დედნიდან ჩსჩანს, რომ იგი დაწერილია როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოსთვის მაგრამ შემდეგ იმერეთის მეფე სოლომონის სახელი წაშლილია და ტრაქტატიც დაიწერა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან. განზრახული ყოფილა, რომ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწერა იმერეთის მეფე სოლომონსაც, მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს საქართველო უკვე გაეყოთ და დასავლეთ საქართველო ოსმალეთისათვის გადაეცა რუსეთს. საერთაშორისო უფლების მცოდნე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს ტრაქტატი არის მხოლოდ მოკავშირეების ტრაქტატი, და იგი სრულებითაც არა ჰგულისხმობს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას. ეს ტრაქტატი ძალიან ძვირად დაუჯდა საქარ-

---

ქვეითი პოლკით, 2 ასეული ცხენოსან კარაბინერებით, 2 ასეული ცხენოსანი ჰუსარებით, 200 დონის ყაზახით, 300 ყალმუხით და 12 საველე ზარბაზნით" (ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბილისი, 1998, გვ. 407).

თველოს. იმ დროს როცა ეს ტრაქტატი თბილისში ირჩეოდა, მაშინ აქ იყო აღა-მაჰმად ხანის მიერ გამოგზავნილი დესპანი. აღა-მაჰმად ხანი სთხოვდა ირაკლის, რომ მას თავი დაენებებინა რუსეთთან დაახლოვებისათვის და ჰპირდებოდა აზერბაიჯანს თავრიზამდე. ["საქართველო", 1919 წლის 4 მაისი].

ირაკლიმ მაინც უარი არა სთქვა და ეს საქართველოს ძვირად დაუჯდა. აღა მაჰმად-ხანმა მოაოხრა თბილისი და თვით ირაკლი თბილისიდან ილტვოდა. ირაკლი თავის დროზედ სთხოვდა რუსეთს ხელშეკრულება შეესრულებინა და მაშველი ჯარი გამოეგზავნა, მაგრამ ამაოდ. თბილისის მოოხრების შემდეგ აღა მაჰმად-ხანმა ირაკლის კვლავ დესპანი გაუგზავნა, ჰპირდებოდა დანგრეულ ქალაქების აღდგენას, წაყვანილ ტყვეების განთავისუფლებას, ოღონდ ირაკლის რუსეთისთვის პირი მოერიდებინა. ირაკლიმ ამაზედ არავითარი პასუხი არ გასცა. ის მაინც შველას ელოდა რუსეთიდან. მაგრამ ამაოდ. ირაკლი ისე გარდაიცვალა, რომ მან ვერ იხილა კვლავ აღდგენილი საქართველო.[4] ირაკლის სიკვდილის შემდეგ პეტერბურგში მალე გამოქვეყნდა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი. მაგრამ ამ მანიფესტის გამოქვეყნებას თბილისში ვერა ჰბედავდნენ. მეფე გიორგი მეცამეტესთან პავლე პირველი აწარმოებდა მიწერ-მოწერას დამატებით პუნქტების შესახებ. ხოლო ორი წლის შემდეგ, როცა საქართველოს შეერთების მანიფესტი უკვე გამოქვეყნებული იყო პეტერბურგში, პავლე პირველის დელეგატებმა წამოიღეს ეს მანიფესტი თბილისში, ამ მანიფესტზედ ხელი უნდა მოეწერა გიორგი მეცამეტეს და შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო. მაგრამ დელეგატები გზაში იყვნენ, როცა გიორგი მეფე გარდაიცვალა.

---

[4] ნაშრომში "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში" ივანე ჯავახიშვილი წერდა: "ერეკლე მეფე ღრმად მოხუცებული მოუსვენარი ცხოვრებისა და თავდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული გულის ტკივილით შეჰყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მისი მამის თეიმურაზ II-ისა და მისი პირადი დაუღალავი შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მისი სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამიდ ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა". (ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბილისი, 1998, გვ. 429).

მაშინ საქართველოს ახალ მთავარსარდალმა კნორრინგმა შეკრიბა სიონის ტაძარში ყველა დიდებულნი, უფლისწულნი, დედოფალნი, შემოარტყა ჯარი, წაუკითხა მათ მანიფესტი და მოითხოვა, რომ ყველას ხელი მოეწერა მანიფესტზე, ვინც ხელს არ მოაწერდა, მას დახვრეტდნენ. ბევრი არ შეუშინდა ამას და ხელი არ მოაწერა მანიფესტს. ამგვარად მოხდა "ნებაყოფლობითი" შეერთება საქართველოსი რუსეთთან. ქართულ პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე.

დამოუკიდებლობის აღდგენა

ას ჩვიდმეტმა წელმა გაიარა, და საერთაშორისო განწყობილების წყალობით საქართველოს მონობა კვლავ მოეხსნა. ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა.

რუსეთს ყველაზედ გვიან საქართველო ჩამოშორდა. ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა და ამისათვის საქართველო თანდათანობით სცილდებოდა რუსეთს. ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკა, შემდეგ კი უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს თანდათანობა არ იყო განზრახ მოგონილი, როგორც სწამებენ ჩვენ მმართველ პარტიას სომხები და რუსები, მაგრამ ეს თანდათანობა ძლიერ კეთილი იყო საქართველოსათვის. საქართველო რომ უეცრად ჩამოსცლოდა რუსეთს, მას გაანადგურებდა ან რუსის, ან სომხის მობოლშევიკე ჯარი. ერთი სიტყვით, პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადიდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია.

საქართველოს დელეგაციის გამგზავრება პარიზის კონფერენციაზე

დამარცხდა გერმანია და მოკავშირეებიც შემოვიდნენ კავკასიაში. მოკავშირეები მოვიდნენ აქ ჩვენდამი მტრულ განწყობილებით. ისინი ვერ შერიგებოდნენ იმას, რომ ჩვენ აქ გერმანელები შემოუშვით. როგორც იყო, ასე თუ ისე მოვაგვარეთ საქმე მოკავშირეებთან და მივიღეთ

ნება, რომ ჩვენ დელეგაციას შეეძლო პარიზის კონფერენციაზედ გამგზავრება. წინა დღით გადმოგვცეს, რომ ჩვენს დელეგაციას ბათუმში საგანგებო გემი ელოდება და იქ მალე უნდა გავმგზავრებულიყავით. საჩქაროდ მოვემზადეთ და ბათუმს გავემგზავრეთ. მაგრამ იქ გემი არ დაგვხვედრია. მოკავშირეებმა დაგვარწმუნეს, რომ შეცდომა მოხდა და გემი აქამდის რაღაცა მიზეზის გამო არ ჩამოვიდაო. კვირაზედ მეტი ველოდეთ იმ ჩვენთვის საგანგებოდ გამოგზავნილ გემს, მაგრამ ის გემი დღესაც არ ჩამოსულა ბათომში. სომხების დელეგაცია კი ჩასულის უმალ ნაღმოსნით გაგზავნეს კონსტანტინეპოლში. ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა, ერთი კვირის შემდეგ ჩვენ ბათომიდან გაგვგზავნეს გემით, რომელიც სოლონიკში მიდიოდა. ამ გემს ჩვენ სოლონიკში უნდა წავეყვანეთ. სოლონიკიდან კი ადვილი იყო საფრანგეთში გამგზავრება, მაგრამ ეს გემი უნებლიეთ სტამბოლში გაჩერდა, და ჩვენც ქვევით აღარ გაგვიშვეს.

კონსტანტინეპოლში ჩვენი ცხოვრება მაინც სასარგებლოდ აღმოჩნდა. საქართველოში ჩვენ არ ვიცოდით, თუ ქვეყანაზედ რა ამბები ხდებოდა. აქ კი გავიგეთ, რომ მთელი რუსეთი და ევროპა გარშემორტყმულია მოკავშირეების მიერ. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ნება დაურთველათ არავის არსათ უშვებენ: ბელგიელს ბელგიაში წასვლა არ შეუძლიან, დანიელს დანიაში, ისპანიელს ისპანიაში და სხვა. წერილებზე სასტიკი ცენზურაა, რომელიც ომის დროსაც კი არ იყო. თუმცა ამ გარშემორტყმას მოკავშირეები ხსნიან ბოლშევიზმის გავრცელების შიშით, მაგრამ გარშემორტყმულნი არიან ის სახელმწიფოებიც კი, საცა სრულებითაც არ არის ბოლშევიზმი, ნეიტრალური სახელმწიფოებიც კი განიცდიან ამ გარშემორტყმას. ნეიტრალობაც კი მოკავშირეებს საეჭვოდ მიაჩნიათ. საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან გამოაცხადა ნეიტრალობა: საქართველომ სწორე გეზი აიღო. ომის ბედი ცვალებადია და ამ მსოფლიო ომში საქართველო არც ერთ მხარეზედ არ გადაიხარა. სტამბოლში ჩასვლისას მოკავშირეთა ჟანდარმერიამ დაარღვია ჩვენ დელეგატთა ელემენტარული უფლება ხელშეუხებლობისა: დაიწყეს გამოკითხვა რომელი დელეგატი

რა პარტიას ემხრობოდა, რა აზრისა იყო ამ მსოფლიო ომზედ. საზოგადოთ საქართველოს დელეგაციას კარგი თვალით არ უყურებდნენ. მოკავშირენი საქართველოს სთვლიდნენ გერმანიის მოკავშირედ, ამავე დროს კი სომხეთს ისინი თავიანთ მოკავშირეთა სთვლიდნენ და საკმარისი იყო გქონოდათ მოწმობა, რომ თქვენ სომხეთის ქვეშევრდომი ხართ და თავისუფლათ შეგეძლოთ შესვლა და გამოსვლა კონსტანტინეპოლიდან. სომხეთს დიდი უპირატესობანი ჰქონდა მინიჭებული: თვით მუსულმანებს, სპარსელებს და ოსმალებს, არ უშვებდნენ სტამბოლში, თუ მათ სომხის პარტრიარქიდან არ ექნებოდათ მოწმობა, რომ ამისა და ამ მუსულმანს სომხების ჟლეტაში მონაწილეობა არ მიუღია. სომხებმა, საზოგადოდ, გამოიჩინეს დიდი უნარი დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში საზოგადოებრივ აზრის სომხეთის სასარგებლოდ შემუშავებისა. მარტო სტამბოლში გამოდის ხუთი სომხური გაზეთი და ორიც ფრანგული, რომელსაც სომხები მეთაურობენ. საქართველოს დელეგაციის იქ ყოფნის დროს ამ გაზეთებში ძალიან ბევრი წერილები იწერებოდა საქართველოს წინააღმდეგ. ჯერ წერილი დაიბეჭდებოდა ხოლმე სომხურ გაზეთებში, შემდეგ ის განმეორდება ფრანგულში.

.....

საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს

საზავო კონფერენციაზედ ჯერ არ წამოუყენებიათ ისეთი საკითხები, რის გადაჭრაშიც საჭირო ყოფილიყო საქართველოს დელეგაციის დასწრება. საქართველომ იმით არაფერი წააგო, რომ კონფერენციაზედ დროზედ არ გაუშვეს. საქართველოსთვის იმისთანა პირობებია, რომ მის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის. თუმცა საფრანგეთს სურდა ძველი რუსეთის აღდგენა, რომ მას გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირე ჰყოლოდა, მაგრამ თითონაც დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია. ინგლისს ძალიან ეშინიან, რომ კვლავ მოღონიერებულ რუსეთმა ინდოეთისაკენ არ გაიწიოს, ამისთვის მის ინტერესს შეადგენს რუსეთის ბატონობა კავკასიონის ქედს აქეთ არა სცილდებოდეს. მაშასადამე, ამ მხრივ საქართველოს საფრთხე არ მოელის. საჭიროა მხოლოდ რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს, და თავისი ძალღონით მას შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტე-

რი. საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენი სამშობლო ისეა შემოფარგლული, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას ბუნებრივი სიმაგრეები საზღვრავენ. დასავლეთიდანაც საზღვრავს ზღვა. მხოლოდ ერთად ერთი საზღვარი, რომელიც ღიაა, ეს არის აღმოსავლეთის საზღვარი. საქართველოს თავის დასაცავად მხოლოდ ამ საზღვრის ხელოვნურად გამაგრება დასჭირდება. მშვენიერი საზღვრების გამო საქართველოს არ დასჭირდება დიდი ჯარის შენახვა, საჭირო დროს საქართველო შემოჰკრებს თავის შეგნებულ შვილთ, რომელნიც სამშობლოს დაიცავენ. საჭიროა მხოლოდ რომ ყოველ ქართველს ჰქონდეს სამხედრო ცოდნა. ჩვენ სამშობლოს რამდენიმე ათეული საუკუნე უცხოვრია, ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია, მაგრამ იგი ისევ ისე სდგას, როგორც სალი კლდე, მაშინ როცა მის დამპყრობი სახელმწიფონი დაშლილან, განადგურებულან, და ბევრი მათგანი სრულებით აღგვილან დედამიწის ზურგიდან.

ამ გვარად ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განამტკიცოს თავის დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვალად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს. ["საქართველო", 1919 წლის 8 მაისი]

გ. ბ.

კონსტანტინე გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს

ვინც დამოუკიდებლობას დაჰკარგავს, იგი ამასთანავე დაჰკარგავს შესაძლებლობას, წილი დაიდვას დროის მიმდინარეობაში და მას თავისებური ფორმა მისცეს

საქართველოს ისტორიაში მე არ ვიცნობ უფრო დიდ მნიშვნელოვან დღეს. ამ დღეს ყველაზე მეტი დაფიქრება მართებს მთელ ქართველობას. არა დღესასწაული და პათეტიკური ჟესტიკულაცია, არამედ დარბაისლური მოფიქრება. რა ვიყავით და რა ვართ ან რა უნდა შევიქნეთ.

მე მგონია ქართველი ხალხი გარყვნა დემონსტრაციებმა, ქართველი ხალხი გადაეჩვია ბრძნულ სიჩუმეს. დემოკრატიული რესპუბლიკის 3 წლის არსებობამ ერთი მავნე ჩვეულება გააღვიძა ჩვენში, ეს იყო გადაჭარბებული სიყვარული დემონსტრაციებისა და დღესასწაულებისადმი.

მართალია ჩვენ ცალი ფეხი აღმოსავლეთში გვიდგია, მაგრამ ეროვნული აღზრდა სხვა რა არის თუ არა და სისტემატიზაცია ერის სურვილისა და ნებისყოფისა. თვით კულტურა იმ მხრით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ფორმად ქმნის, განსაზღვრულ კალაპოტში აყენებს იმ კოლექტიურ პიროვნებას, რომელსაც ერი ეწოდება. ეს ეთნიური მასალა მიატოვებს ეთნიურ მასალობას, როგორც კი იგი თავის ეროვნულ ცივილიზაციას და კულტურას შექმნის. მე მგონია კერძოდ ჩვენ ქართველებისათვის აწი მაინც დრო არის აღარ ვიყოთ უბრალო ეთნიური მასალა. ჩვენს უკან სძევს ორიოდე ათასეული წლის სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ჩვენი საზოგადოებრივობა უფრო ხნიერია, ვიდრე რომელიმე დასავლეთ ევროპიული ეროვნებისა.

ქართული პატრიოტიზმი წარსულში ყალბ ნიადაგზე იყო მოშენებული, იგი მუდამ მრუდეთ აჩვენებდა ქართველობას თავის სახეს. ამ პატრიოტიზმის ტრადიცია ამოიწურება დილეტანტური ტრაბახით ჩვენი წინაპრების გმირობაზე. ეს პატრიოტიზმი არ იმეტებდა მწარე სიტყვებს ქართველი ერისათვის, რადგანაც მწარე სიტყვა ყოველთვის ღრმა განცდის ნაყოფია და ქალაჩუნობა ზერელე აღტყინებისა. გამონაკლისი ერთად ერთი კაცი ქართველ პატრიოტთა შორის, აკაკი წერეთელი იყო, ისიც ერთხელ იმეტებს ამ მწარე სიტყვას, ფ-ის ღირსი ხარ შენ საქართველოვო, რომ მიაძახა უცხო ერის ბატონობის ქვეშ გართხმულ ქართველ ერს.

ქართული პატრიოტიზმი მტერსა და მავნეს მუდამ მეზობელში ეძიებდა. არასოდეს თვით ქართულ სინამდვილეში, არასოდეს ქართულ ტემპერამენტში, არც იმ ცუდ აღზრდაში, რომელიც მიიღო ქართველობამ გასულ საუკუნეში.

მე კი მგონია, რომ ყოველი ერი თვითვე დაიმსახურებს ხოლმე თავის ბედსა და უბედობას. ყოველი ერი ღირსიაო თავისი ბედისა.

ისტორიაში არც ერთი ერი არ დაღუპულა ისე, რომ მისი დაღუპვის მიზეზები მარტო მის ტემპერამენტის, მის შინაგან ძალთა განწყობილების გარეშე ყოფილიყოს საძებნელი.

რომი და ჰელა, ბიზანტია და განახლებული რომის იმპერია, ლედოვიკო მე-16-ტის საფრანგეთი, საფრანგეთი 1871 წლებისა და ბოლოს გუშინდელი რესპუბლიკა საქართველოსი, ყველა ამ სახელმწიფოებრივ ფორმა ცვლაში და ზოგჯერ სრულიად განადგურებაში, თვით ამა თუ იმ ერს მიუძღოდა უმთავრესი დამსახურება.

კატასტროფა ეროვნულ სახელმწიფოსი მუდამ შინაგან ძალთა რესურსების ამოწურვითა და გახრწნით იწყებოდა. როგორც ძველი საბერძნეთი, ისე რომი – მარტოოდენ გარეშე მტრებს კი არ დაუნგრევიათ, არა როცა შინაგანი განსხეულებისა და გახრწნის პროცესი დასრულდა, მოვიდნენ მეზობლები და ნგრევის პროცესი დააჩქარეს, დააგვირგვინეს.

ეროვნება როგორც ფენომენი მარტო რეალური მცნება ან რეალური სუბსტანცია როდია, არამედ ჩვენი წარმოდგენაც.

ტრივიალურ ნაციონალურ მწიგნობრობას სჩვევია მხოლოდ ენით, რასსით, სისხლით ეროვნულ სუბსტანცის "დასაბუთება". ამ საკითხზე ზღვა მელანია დამშრალი და ყოველ მოაზროვნეს თავისი აზრი აქვს ამ შემთხვევაში, წმინდა რასის ერის ქვეყანაზე არ არსებობს. არც ენა, არც ტერიტორია, არც ნაციონალური სახელმწიფო ცალ-ცალკე არ არის უცილო ატრიბუტები ეროვნებისა, ჩვენ ვიცით არსებობენ როგორც უენო, ისე უტერიტორიო, ისე უსახელმწიფო ეროვნებანი. მაშ აკავშირებს ერს, რა ჰქმნის მის ბედს.

ეს გახლავთ ის სალტე თავისთავის ერად წარმოდგენისა, რომელიც ერს აკავშირებს. მაშასადამე კოლექტივი ადამიანებისა, იმ დღიდან იწყებს ერად ყოფნას, როგორც კი იგი შედის მაღალი რანგის წარ-

მოდგენის და დაფიქრების ზონაში, ხოლო ერთად ფიქრი, შეუძლია ისეთ ერს, რომელსაც რაიმე საშუალება აქვს ამ ფიქრის ერთი მეორის გადაცემისა. ორგანო გამოთქმისა და გადაცემისა ეს – კულტურაა ერისა. ე.ი. რაც ერის ერადქმნას შველის.

აქ იწყება ღირებულებათა შექმნა, რომელიც უფლებას აძლევს ერს ერად იწოდოს, ერის ისტორიაც იქ იწყება, სადაც იგი თავის შემოქმედების ჭირნახულის მოტანას იწყებს ზოგად ადამიანურ შემოქმედების კალოზე. ისტორიაში წარსულში და აწმყოში მუდამ ღირებულებათა შემქმნელებს უწევდნენ ანგარიშს.

ვინ იცის რამდენი ათასეული წელი არსებობს ესა თუ ის შავი ან ყვითელ კანიანი ადამიანის ერთეული, რომელნიც აფრიკაში, ამერიკაში ან ფილიპინების კუნძულებზე ცხოვრობენ, ესენი კულტურულ ევროპიელისათვის მხოლოდ ეთნიური მასალაა, უბრალო ობიექტი ექზოტიურობა მოწყურებულ დაკვირვებისა და შესწავლისა, ისეთივე ობიექტი როგორც რომელიმე არაჩვეულებრივი კატეგორია ხოჭოების ან თუ გნებავთ მაიმუნების, მაგრამ ისტორია ადამიანობისა მათ არ იხსენიებს. ძველი ბერძნები ადამიანობის ცხოვრებაში ორ მთავარ მომენტს არჩევდნენ:

ტიხეს და პსიხეს

ტიხე - ბედია ერისა

პსიხე – მისი სულიერი შინაარსი, მისი სულობა. ერი ან ადამიანი ბედის გავლენას იმდენად განიცდის, რამდენადაც იგი უკულტურო უმწეობაშია. პსიხე კულტურის შემოქმედია. კულტურა და ცივილიზაცია ბედისგან გასაქცევი საშუალებაა.

კულტურული ერი მუდამ ღონისძიებათა ძებნაშია, რომ იგი იმ ფატუმის ბრმა ბედის წერა არ გახდეს, რომელსაც მას უმზადებს ბუნება თუ ის პოლიტიკური სიტუაცია, შინაგანი ან გარეგანი საფრთხე, ან დაბოლოს მეზობლები.

კულტურული შეგნების ინტენსიურობაზე ჰკიდია მუდამ ეროვნული კოლექტივის ბედი და უბედობა. კულტურა სხვა რაღაა თუ არ ორგანონ გამოთქმისა და განპიროვნებისა. სწორედ კულტურის იარაღი იყო ის, რამაც ინტელექტუალურად და პოლიტიკურად გააბატონა ან-

ტიურ ქვეყანაში ძველი ათინის სახელმწიფო, რომელიც სივრცითა და რიცხოვნობით არ აღემატებოდა დღევანდელ სამეგრელოს.

ამ კულტურულ უპირატესობამ არგუნა ბრწყინვალე გამარჯვება მცირე რიცხოვან ათინელებს, თემისტოკლესს და მილტიადეას, რომელთაც სპარსელების დიდი უმრავლესობა დაამარცხეს მარათონში და სალამისში.

ამიტომაც შედარებით მცირე რიცხოვანი საბერძნეთი საუკუნოების განმავლობაში გზას უნათებდა ხალხებს და თაობებს.

ასეთივე უპირატესობა მიანიჭა კულტურამ სულით და ხორცით ძლიერ ერს ინგლისელებს, ამითვე აიხსნება რომ 40 მილ. ხალხი დედამიწის ერთ მეოთხედის ბედს განაგებს.

განუსაზღვრელი ტრაგიზმითაა ქართველი ერის ისტორია აღსავსე. ტიხემ - ბედმა გვარგუნა აღმოსავლეთის კარებთან დარაჯად დგომა დასავლეთის ცივილიზაციის სახელით. ქართველმა რასსამ თავისი საუკეთესო სისხლი შესწირა ამ ცივილიზაციის დიდი ანდერძის, ქრისტიანულ სარწმუნოების და კულტურის დაცვის საქმეს.

რადგანაც თუ ჩვენ კულტურა მოგვეძევა, ეს არის უაღრესად რელიგიოზური კულტურა.

თუ ქართველობამ დღემდის მოიტანა და იგი არ ჩანთქა იმ საშინელ ხალხების ტალღებმა, რომელნიც განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ იმ ხალხთა ხიდზე, რომელსაც გეოგრაფიულად კავკასიას უწოდებენ, ეს მხოლოდ იმ უპირატესობის წყალობით, რომელიც ჩვენ კულტურამ მოგვანიჭა.

დღეს ჩვენთვის ადვილად წარმოსადგენი არ არის ჩვენი მონასტრების მაშენებელი კლარჯეთელი კულტურტრეგერების მუშაობა და მსხვერპლის გაღება.

1920 წლის იანვრის 5 საღამოს მე საოცარი ვიზიონერული განცდა შემემთხვა. სტამბოლში, პერას ხიდზე მივდიოდი.

ხიდის ყურეში რომ შევედი, წინ შემეგება ეს უამრავი ფესკებიანი ოსმალოები რომელნიც საღამოთი ხიდზე მოდიოდენ. ერთ წამში წარმოვიდგინე თუ როგორ უძლებდა ამ ზღვა წითელ ფესკიანებს ერთი მუჭა ქართველი ერი საუკუნოების განმავლობაში და ჩემს გულში გაიღვიძეს იმ საოცარმა ტკივილებმა, რომელნიც საუკუნოების განმავ-

ლობაში ჭრილობად მიუღია ქართველ ერს თავის არსებობის ბრძოლებში.

ერთ წამში მე დამავიწყდა, რომ თავისუფალი საქართველოს შვილი ვიყავი, შევკრთი და მეუცხოვა რომ ასე მარტო მივდიოდი ხიდზე ამ საშინელი წითელი ტალღისაკენ, რომელიც არა ერთხელ მოსქდომია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, ქართველი ერის მიწის პირიდან წასალეკად.

როგორ უძლებდა მერე ქართველი ერი იმ ბარბაროსების შემოსევას, რომელიც თვით საშუალო საუკუნოების ქართველ ბერებსა და კათალიკოსებსაც იარაღს ააღებინებდა ხოლმე ხელში?

მუდამ და ყოველთვის ქართველობას ეს კულტურული უპირატესობა ანიჭებდა გამარჯვებას, ისე როგორც ბერძნებს მარათონისა და სალამისის უსწორო ბრძოლებში. ძველი საქართველო 1801 წელს კატასტროფით გათავდა.

ბაგრატიონების საქართველოს კატასტროფის მიზეზები ჩვენში ჯერაც არ არის რიგიანად შესწავლილი და გაგებული. თითქმის ყველა, ვინც ამ დიდ და გადამწყვეტ მომენტს შეხებია ჩვენს ისტორიაში, რუსების მიერ მუხანათურად ტრაქტატის დარღვევას ასახელებს ირაკლი მეორის საქართველოს დაღუპვის მიზეზად. ეს შედეგი იყო და არა მიზეზი. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს დაღუპვის მიზეზი იყო, თვით ერის წიაღში არსებული შინაგანი ენერგიის ამოწურვა და დაშრეტა. ქართულმა სახელმწიფოებრივობამ ფეხი ვერ აუწყო იმ პროგრესიულ ტემპოს, რომელსაც მიყვებოდა ევროპიული მოდერნული ნაციონალური სახელმწიფო. ჩვენი სახელმწიფოებრიობა გაიყინა ფეოდალურ ტირანიაში, საქართველოში არ იყო არც ერთი წოდება მე-18 საუკუნეში, რომელზედაც ქართველ ტომების შემკრებ ქართლის მეფობას შეეძლებოდა დაყრდნობა. როცა ამ მოძველებულ სახელმწიფოებრივ აპარატს დაუპირდაპირდა ეკატერინა მეორის და პავლე პირველის ნახევრად ევროპიული, პრუსიელ ინსტრუქტორებისაგან გაწვრთნილი სახელმწიფოებრივი მაშინა, იგი დაინგრა და გაითქვიფა.

როცა სულით ძლიერი და კულტურულად მაღალი პატარა ერი დიდი ერის გავლენის ზონაში მოხვდება, იგი უფრო შეიკუმშება და გასალკლდევდება, მაგრამ მე-19 საუკუნის ქართველობამ სამარცხვინო ლაქა დასტოვა ჩვენს ისტორიაში.

ასი წლის განმავლობაში ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც ამ დროს ერთად ერთი მესაჭე იყო ერის კულტურისა და მისი პოლიტიკის მახვილის მტვირთველი, ეპოლეტებზე ყიდიდა თავის პატრიოტიზმსა და მამულს. საქართველოში ახლად დამკვიდრებულ რუსობას დაუხვდნენ მხოლოდ ისეთი ქართველები, რომელთაც მხოლოდ ხმლის და თოფის მოქნევა ემარჯვებოდათ. ისინი ვინც ვახტანგ მეფის და ვახუშტი ბატონიშვილის დაწყებულ კულტურულ მოძრაობის მემკვიდრედ გამოდგებოდნენ, ვისაც კალამი და გონება მიაჩნდათ იარაღად, ისინი საქართველოდან გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებს გაჰყვნენ თან.

თოფიანი ქართველები კანტი კუნტად გაიჭრებოდნენ ტყეში, მათი გმირული პროტოტიპი იყო ბატონიშვილი ალექსანდრე აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთში – კონსტანტინე დადიშკელიანი, რომელმაც ეპოლეტებისათვის მათხოვრობა არ იკადრა და მახვილით თავი წააცალა გაგარინს.

მეოცდაათე წლებში იწყება ქართული ახალი პატრიოტიზმი, რომელიც ისევე მჩატე იყო პოლიტიკაში, როგორც ჩვენი თავადაზნაურობა ქეიფში. ამ პატრიოტიზმმა, - თავისი არსებობის უდღეური დეკლარაცია 1832 წლის აჯანყებით გამოხატა.

ორიოდე ათეული წლის შემდეგ რუსეთიდან მობრუნებული "თერგდალეულები" აჩქარებენ ქართველი ხალხის სულიერად გარუსების პროცესს. ერთად ერთი ძლიერი და სერიოზული პიროვნება მათ შორის, ილია ჭავჭავაძე იყო, და ისიც როგორც პოლიტიკოსი ფრიად სუსტი. მან უფრო გარკვეული დიაგნოზები დასდო ჩვენი ცხოვრების შინაგან განწყობილებას, ხოლო საგარეო პოლიტიკაში იგი თავის ღიპიან თათქარიძეებზე უფრო შორს არ წასულა.

შემდეგ ქართველი ახალგაზრდობა გამოვიდა პირველად კოსმოპოლიტურ პრობლემით ხელში და ამას მოჰყვა ის ეროვნული ნიღილიზმის ეპოპეია, რომელმაც ჩვენი საუკუნის კარებამდე მოაღწია. ეს ხანა ჩვენი ისტორიისა ფრიად საინტერესოა, გაითვალისწინონ ეს მოვლენები ჩვენი უახლოესი ისტორიისა იმათაც, ვისაც ჩვენ "შოვინიზმზე" ემარჯვებათ ლაპარაკი.

1918 წლის მაისის 26 ახალი ეპოქა იწყება საქართველოს ისტორიაში. 3 წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი.

მონობის ხუნდებში ქართველობა გადაეჩვია სახელმწიფოს ერთგულებას, რადგანაც ჩვენი წინაპრები მუდამ გრძნობდნენ ამ ხნის განმავლობაში, რომ ისინი რუსეთის გერები იყვნენ. სახელმწიფო წყობილებისადმი მტრული განწყობილება რყვნის პოლიტიკურად ერს, ეს ავითარებს მასში ანტისახელმწიფოებრივ ტრადიციებს.

ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზებიც ქართველი ერის შინაგან არსებობაშია საძებნელი. უნდა ვაღიაროთ, და მე მგონია შეცდომათა აღიარება სჯობია შეცდომების მიფუჩეჩებას, რომ ჩვენ ამ სამი წლის დიდ ეგზამენში ჩავიჭერით. ნურავინ დააბრალებს ამ კატასტროფას ნურც მარტოოდენ მეზობლებს, ნურც რომელიმე განსაზღვრულ პარტიას. ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნულ სახელმწიფოს ასაშენებლად. ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა სწორი ორიენტაცია ჩვენ თანამედროვე პოლიტიკურ გარემოში. არსად იმდენს არ სწერენ და არ ლაპარაკობენ ორიენტაციაზე, რამდენსაც ჩვენში, არსად იმდენი შეცდომები არ დაუშვიათ ამ მხრით, როგორც საქართველოში.

ჩვენ გადავაჭარბეთ ჩვენი რეალური ძალების შეფასებაში, ჩვენ გადავაჭარბეთ იმ ფაქტორების შეფასებაშიაც, რომელნიც ამოძრავებენ დღევანდელ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას, რომლისგანაც ასე მჭიდროდ დამოკიდებულია მთელი არა ევროპიული ერების ცხოვრება.

პოლიტიკა უძვირფასესი იარაღია ერის ხელში. ჩვენ პოლიტიკოსებს როგორც შორეულ, ისე უახლოეს წარსულში სინამდვილეში ორიენტაციის ნიჭი აკლდათ. გადაჭარბებული იდეალიზმი ახასიათებდა ქართველი მეფეების, დესპანების და მინისტრების პოლიტიკას.

მოიგონეთ ის ქართლის მეფე, რომელიც ოსმალების მიერ 1453 წ. კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ კონსტანტინეპოლში ვერცხლის ნალით დაჭედილი ცხენით ჩავიდა და შველა სთხოვა სულთანს: ურ-

ჯულო მაჰმადიანების, სპარსელების წინააღმდეგ ჯარი მომაშველეო. ჩვენ უახლოეს წარსულშიაც არა ერთხელ განდობიან მეგობრულად ქართველი დიპლომატები ჩვენ მტრებს.

ჩვენს უახლოეს წარსულშიაც არა ერთხელ დაუკარგავს ჩვენს პოლიტიკას ის პოზიციები, რომელნიც ბრძოლით მოუპოვებია ჩვენს მხედრობას.

დღეს შექმნილი მდგომარეობა გვავალებს უფრო მეტ ჩაფიქრებას ჩვენი შეცდომების გათვალისწინებასა და შესწავლას.

ასი წლის წინად რუსებს ქეიფით და ზურნით დაუხვდნენ ქართველები. თითქმის მთელი მე-19 საუკ. რუსეთის ლიტერატურაში, ქართველი კაცი სიმბოლო იყო უდარდელის, მრუშის და ლოთის - მოიგონეთ ტოლსტოის "გლუპი გრუზინსკი კნიაზ", არციბაშევის ქართველი გმირი და სხვა.

სერიოზული ქართველები პირველად სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე იხილეს რუსებმა. დღევანდელი ქართველობის სახე ცხადია გამოცვლილია, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს რომ მეტი სერიოზულობის გამოჩენა გვმართებს.

ისტორიის ასპარეზი სულითა და ხორცით ძლიერი ერის ხვედრია. სუსტები და უნიჭონი ვერავის შებრალებას ვერ დაიმსახურებენ.

ეროვნული თავისუფლების ერთხელ დაკარგვა შეიძლება, მაგრამ იგი ყოველ დღე ბრძოლით ხელმეორედ უნდა მოიპოვოს ერმა.

ვაჟკაცობაა, სინამდვილეს პირდაპირ შეხედოს კაცმა.

ჩვენ ვერ შევქმენით ისეთი ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც წინ დაგვეყენებია მეზობელ ერის სახელმწიფოს იერიშებისთვის. როცა ერთი ერი, მეორეს პოლიტიკურ გავლენის ზონაში მოექცევა, პოლიტიკურ დაპყრობას კულტურული მოჰყვება, მხედარს მწერალი შეენაცვლება, მახვილის მტვირთველს კულტურის აგენტი. ჩვენ უნდა მოვიგონოთ ჩვენი წინაპრები, რომელთა ხელში კულტურის ორგანონ უძლიერესი თავდაცვის იარაღი იყო. ჩვენმა თაობამ გაორკეცებული ძალით უნდა დააჩქაროს ქართველი ერის თვითცნობიერების პროცესი, არც ერთი სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელსაც პოლიტიკური მდგომარეობა თავს მოახვევს ამა თუ იმ ერს, თავისთავად საშიში არაა.

სახელმწიფო ფორმაში კი არ არის საქმე, არამედ თუ რა შინაარსს ჩავდებთ ჩვენ მასში. ჩვენთვის ფეტიში არ უნდა იქნეს არც პარლამენტარიზმი და არც საბჭოთა სისტემა. არც ერთი იდეა ერისათვის საფრთხეს არ შეიცავს, იდეები თავისთავად სრულიად უვნებელნი არიან. საქმე ის არის თუ ვის ხელშია ის იდეები, ვის წინააღმდეგაა მიმართული და როგორ მოიხმარს იდეებს ამ იდეების მატარებელი.

ხვალ 26 მაისს ქართველობამ ერთი დიდი ჭეშმარიტება უნდა დაიმახსოვროს:

ის არის ღირსი ცხოვრების და თავისუფლების,

ყოველ-დღე ბრძოლით ვინც შეიძლებს მის მოპოვებას.

ეგვიპტელი მოგვები მღვდელმსახურების დაწყებისას ხალხს ეტყოდნენ: "განვიწმინდოთ გულნი ღვთაებისათვის".

საქართველოს ახალი ისტორიის ამ უდიდესს დღეს, ქართველ ხალხს უნდა შევძახოთ: "განვიწმინდოთ გულნი თავისუფლებისათვის".

კონსტანტინე გამსახურდია

ტფილისი

"სოციალისტ-ფედერალისტი", მაისი 25, 1921 წელი, # 70, გვ.2-3

კონსტანტინე გამსახურდია. რეცენზია მწერალთა კავშირის საბჭოს გამოცემაზე „პოეზიის დღე“

...

გაზეთის მეორე გვერდზე ვახტანგ კოტეტიშვილის „ქართული ხელოვნების გამარჯვება“ იქცევს ჩვენს ყურადღებას თავისი უებარი პარადოქსალობით. მას საერთოდ ძლიერ უყვარს პარადოქსები, მაგრამ ეს ფრიად მოლიპული გზაა ახალგაზრდა მწერლისათვის, განსაკუთრებით საფრთხილოა პარადოქსალობა ასეთ მომენტში, როცა საკითხი საკმაოდ რთულ მცნებებსა და იდეებს ეხება.

ყველაზე უწინ ავტორს მეგობრულად უნდა შევნიშნო, რომ არ შეიძლება ისეთი რთული მცნებათა კატეგორიების ერთი მეორისადმი დაპირდაპირება, როგორიცაა აზია და ევროპა. „გაიმარჯვებს ეროვნული შემოქმედება, საქართველოს ხელოვნება აზიაში დაბრუნდება“.

რას ამბობს სიტყვა აზია თავის თავად? იმდენსავე, რამდენსაც სიტყვა აფრიკა. ორივე გეოგრაფიული ტერმინებია და სხვა არაფერი. სიტყვა აზია ისეთი ვრცელი მცნების შემცველია რომ მას არავითარი იდეური შინაარსი არა აქვს.

აზია, თუ თქვენ გინდათ კულტურულ სამყაროს გამომხატველ მცნებათ იხმაროთ, იგი უაზრობაა, რადგანაც აზიაში დასახლებულ ერების **კულტურანი არამც და არამც ჰომოლოგიური არ არიან.**

შემდეგ ავტორი მოსთქვამს: „ევროპით შეზახორშებაზე“.

მთელი ქართველი ინტელიგენცია გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან თერგდალეულებმა გაარუსეს. თვით ისეთი დიდი ქართველი როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, ნამდვილი რუსის მოაზროვნის ტიპი იყო. თერგდალეულებმა რუსული იდეების **„მონელებაც“** ვერ მოახერხეს.

საქმე ის კი არაა საიდან აიღებს ადამიანი თავის იდეებს, არამედ **საქმე ინტელექტუალურ მონელებაშია.**

რაც შეეხება ევროპით შეზარხოშებას, „ევროპით“ ჯერ არავინ დამთვრალა ჩვენში, წინააღმდეგ მე მეშინია რომ ქართველობა ჯერ კიდევ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების რუსების პსიხიკით დახასიათდება.

ყოველი ერის მოწინავე თაობა ითვისებს მეორე ან მესამე ერის ახალსა თუ ძველ იდეებს. ჩვენ დღეს მსოფლიო კაპიტალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ და ადვილად გასაგებია რომ ერები სესხულობენ იდეებს ერთი მეორისაგან.

ეს „სესხის აღება“ კი არაა საშიში, არა ამ სესხის მოხმარაშია საქმე.

ყოველი ერის ინტელექტუალურად დამწიფებული და დინჯი თაობა ნასესხებს იდეებს თავის ეროვნულ ტემპერამენტის მიხედვით გადაქმნის, გადახარშავს და თავის ადგილობრივ სინამდვილეს მოახმარს. ამ პრინციპზე ემყარება მთელი ადამიანობის მოდგმის კულტურული აღებ-მიცემობა და ყოველი დაწინაურებული ერის კულტურ-

პოლიტიკა. აი აქეთკენ უნდა მოუწოდოთ ჩვენ, ქართულ მწერლობას და ქართველ ახალგაზრდობას.

გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 11 მაისი, 1921 N 58, გვ.2-3

ალ. ასათიანი. რამ გვიხსნა და რა გვიხსნის?

III.

და როდესაც ჩვენი ერი თავგანწირულად იბრძვის ეროვნულ თავისუფლების დროშის ქვეშ, რომელიც აღმართა დიდმა ილიამ; როდესაც ეგზომ გაგვიმძიმდა ეს ბრძოლის საქმე და გვეშინიან, რომ სხეულ-ებრივმა და სულიერმა სიმტკიცემ არ გვიღალატოს, არ დავძაბუნდეთ, არ დავეცეთ და ძირს არ დავხაროთ უამრავ თავდადებულ მამულიშვილთა სისხლით შეღებილი ეს ბრძოლის დროშა, და როდესაც ცოცხლებს გვესაჭიროება ჩვენი ეროვნული საქმისათვის თავდადებულთა დიდი მაგალითით გამხნევება და სულიერად გამაგრება, ვინ მოგვაშველებს ჩვენ ამ ზნეობრივ ძალას, თუ არა ის, ვინც პირველად აღმართა ახალს საქართველოში ეს ეროვნული თავისუფლების დროშა და მას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე? და დიდი ილია სამარიდან გვაწვდის გამამხნევებელ სიტყვას: „რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები მოგვსვლიან, ვაივაგლახი, რა სისხლი, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გაუძელით, ყველას გაუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი... გაუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს, დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ!“.

ყველა ეს შევიძელით და საკითხავად საჭიროა, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ გვიშველა, ჰკითხულობს დიდი ილია და გვიპასუხებს: „მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით“. ჩვენი ერი კვლავ ამ ბრძოლის ასპარეზზეა და სადაც ეს ბრძოლის ხერხი იყო საჭირო,

მხნეობა და თავდადება, ეს მას არ დაჰკლებია. მაგრამ ახალი ცხოვრება, ახალს პირობებში ბრძოლა და მოქმედება, ახალს ცოდნას და ახალს ხერხს მოითხოვს, და დიდი ილია ამისკენ მოუწოდებს ჩვენს ერს. საუკუნეთა მანძილზედ შეძენილ თვისებებს ჩვენმა ერმა უნდა შეჰმატოს ახალი ცხოვრების პირობათა გაგება, ახალი ცხოვრებისათვის საჭირო გარჯა, ცოდნა და ხერხი და ეს გვიშველის, ეს გვიხსნის, ეს შეგვინახავს ეროვნულ სახეს, ეროვნულ არსებობას.

დიდი ილიას ასეთ დასკვნებს შევსება და განმარტება ესაჭიროება. გაუძელით რომს, საბერძნეთს, არაბებს, სპარსელებს, და მრავალ სხვებს, ვინაიდან ჩვენ გვქონდა იმ დროისთვის საჭირო ცოდნა და ხერხი, მაგრამ ეს ცოდნა და ხერხი ჩვენს მტრებსაც არა ნაკლებათ ჰქონიათ და ამასთან ერთად მათს მხარეზე იყო რიცხობრივი ძალა და მრავალი სხვა უპირატესობანი. უთუოდ ჩვენს ერს მოეპოებოდა კიდევ სხვა რამ ძალა, რომელიც მის მტრებს მაზედ ნაკლებათ ჰქონდათ განვითარებული. თუ ჩვენ არ მივიღებთ და არ ვიწამებთ ამ ფაქტორის არსებობას ჩვენს ცხოვრებაში, თუ ჩვენ ამ ძალასაც არ ჩავრიცხავთ ჩვენი ისტორიის ანგარიშში, ისე გაუგებარი დარჩება ჩვენთვის ჩვენი წარსულის მრავალი მოვლენანი და მთლიანად ჩვენი ერის მიერ განვლილი გზა. უამისოდ ძნელი ასახსნელია, და ძნელი გასაგებია, რომ ჩვენმა ერმა გაუძლო მრავალ შავბნელ საუკუნეთ, რომელიც ვერ აიტანეს მრავალმა სხვა, მაზედ უფრო დიდმა ერებმა? ასევე ძნელად გასაგები იქნება, რომ დავით-თამარის ეპოქიდან დაწყებული საქართველო უმთავრეს როლს თამაშობდა იმ მსოფლიო ბრძოლაში, რომელიც ვერ აიტანეს მრავალმა სხვა, მაზედ უფრო დიდმა ერებმა? ასევე ძნელად გასაგები იქნება, რომ დავით-თამარის ეპოქიდან დაწყებული საქართველო უმთავრეს როლს თამაშობდა იმ მსოფლიო ბრძოლაში, რომელიც ისლამურ აღმოსავლეთის ქრისტიანულ დასავლეთზე ცეცხლითა და მახვილით გალაშქრებაში გამოიხატებოდა, და უკეთუ საქართველოს ფაქტორი არ ყოფილიყო ამ ბრძოლაში შვიდი საუკუნის მანძილზე, სულ სხვა იქნებოდა ამ ჟამად ევროპის პოლიტიკური რუქა. რით აიხსნება, რომ როდესაც სისხლისაგან დაცლილი საქართველო რუსეთის ხელში ჩავარდა, ჩვენი ერის სულ მცირე ნაწილი ჩაება საერთო რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, და უმთავრესად სამხედრო საქმეში, და აქ ეს წრე გაცილებით

მეტს როლს თამაშობდა, ვიდრე ეს მის რიცხობრივ ძალას შეეფერებოდა ისევე, როგორც წინეთ ოსმალეთსა და სპარსეთში? ასევე ხდება მემარცხენე რევოლუციური პოლიტიკის სფეროშიც; რუსეთის პირველი რევოლუციის ხანაში რუსეთის პოლიტიკაში ჩაბმულ ქართველთა რიცხვი გამრავლდა და აქაც მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ეს მის რიცხობრივ ძალებს მოეთხოვებოდა. ასევე იყო მეორე რევოლუციის დროს და ასევეა დღესაც, როდესაც მთელს მსოფლიოზედ დაპირდაპირებულ საბჭოთა რუსეთს ფაქტიურად ქართველთა მცირე ჯგუფი მეთაურობს. მცირე რიცხოვან ქართველ სოციალისტთა წარმომადგენელნი ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, აკ. ჩხენკელი უთუოდ არა სოციალისტური თეორიის ცოდნით უსწრებდენ წინ დიდი რუსეთის სოციალისტებს პლეხანოვს, დანს თუ ჩერნოვს და ასევე სტალინი, ორჯონიკიძე და ენუქიძე არა კომუნისტური ცოდნით სჯობიან ტროცკის, ბუხარინსა და ბოგდანოვს. უნდა მივიღოთ, როგორც უდავო სინამდვილე, რომ ამ ქართველებს, ძველებს თუ ახლებს, არა სოციალისტებსა, სოციალისტებსა თუ კომუნისტებს გარდა იმ თვისებებისა, რომელიც სხვა ერთა შვილებს მოეპოებოდა, გარდა იმ ცოდნისა, რომელიც სხვებსაც არა ნაკლებად ჰქონდა, მოეპოებოდა კიდევ რაღაც სხვა ქართველური ძალა და თვისებები სხვებზე უფრო ძლიერი და განვითარებული. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ მრავალ დიდსა და პატარა ერთა შორის, რომელნიც კომუნისტურ რუსეთის მონობას განიცდიან, ქართველი ერი სხვებზე მეტს გამძლეობასა და სიმტკიცეს იჩენს ამ მონობის გადაგდებისათვის წარმოებულს ბრძოლაში და ასევე მისი ემიგრაცია მეტს ძალას იჩენს და მეტს მხნეობას სხვა ერთა უფრო მრავალ რიცხოვან ემიგრაციათა შორის.

უნდა ვიწამოთ, რომ სწორეთ ამ თვისების მეოხებით, სხვებთან თანაბარ პირობებში, ქართველმა ერმა მეტი შესძლო, მეტი აიტანა, მეტი როლი ითამაშა და უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ასევე იქნება მომავალში. იტყვიან, ეს ქართული მესიანიზმიაო. ასედაც რომ უწოდოთ, ეს მესიანიზმი არ არის გრძნობებსა და ოცნებებზე დამყარებული იმედი, არამედ აზრი, უდავო ისტორიულს ფაქტებისა და სინამდვილეზე დაფუძნებული. ვიტტე ამბობს თავის მოგონებებში, რომ ქართველებს, მრავალ ნაკლთან ერთად, მოეპოებათ რაღაც ისეთი რამ რაინდული

თვისებები, რომელთა შემწეობით ისინი დიდათ წინაურდებიან ცხოვრებაშიო. რა თვისებებია ეს თვისებები, რომელნიც ქართველს სხვებზე უფრო აქვს განვითარებული? ეს არის პიროვნული და საზოგადოებრივი ღირსება, მისი შეგნება, მისი სიყვარული, სულგრძელობა, თავმოყვარეობა და სიამაყე. ასეთი თვისებები განსაკუთრებულ ხასიათს და სულისკვეთებას ჰქმნის, განსაკუთრებულ ამბიციას. მართალია ეს ამბიცია ფრიად მავნეა და საზარალო პიროვნებისა, თუ ერისათვის, როდესაც ის ჭკუით და გონებით არ არის დაფარული და დამორჩილებული. ამ შემთხვევაში ის სიმსუბუქეა, მკვეხარობა, პრანჭიაობა. მაშინ ის წყაროა სულმოკლეობის, მოუთმენლობის, უანგარიშობისა და ყოველმხრივი სიმჩატის. მაგრამ როდესაც ეს დაწინაურებისა და მაღლა აწევის სწრაფვა, ეს თავმოყვარეობა და სიამაყე, გონიერებისა და ჭკუის ძალას არის დამორჩილებული და იდეით აღგზნებული, ასეთი ამბიცია უდიდეს მამოძრავებელ სტიმულად იქცევა. ის დაუშრეტელი ცეცხლია პიროვნებისა თუ ერის ყველა ძალთა გამზრდელი და გამდიდებელი. ის სხეულებრივ ძალას ჰმატებს მას და ენერგიას, ის მას მხედველობასა და გამჭრიახობას უნვითარებს, რომ მუდამ ფხიზლად იყვეს და მარაგად, რათა წინსვლისა და ამაღლებისათვის ყველა ხელსაყრელი პირობები გამოიყენოს და ხელიდან არ გაუშვას, ხოლო სანამ ეს პირობები არ დადგება, სულგრძელობა გამოიჩინოს და მოთმინება, რათა გაუძლოს და აიტანოს ცხოვრების ის მძიმე პირობები, რომელთა შეცვლა მის შესაძლებლობაზე არ არიას დამოკიდებული.

ჩვენი ეროვნული ნაკლი და სუსტი მხარეები მუდამ უნდა გვახსოვდეს და მუდამ უნდა ვზრუნავდეთ მათი გამოსწორებისათვის. მაგრამ ჩვენი ეროვნული ეს კარგი თვისებებიც მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს და მათი განვითარებისათვის უნდა ვიღწვოდეთ. ეს საჭიროა ყოველთვის და ყოველგან, კერძო თუ საქვეყნო საქმეში, მშვიდობიამი მოქმედებისა თუ ცხარე ბრძოლების დროს.

ალ. ასათიანი. რამ გვიხსნა და რა გვიხსნის? - სამშობლო, 1932, N 12, გვ.13-24.

დ. ვაჩნაძე. ქართული აზრი

ქართულ აზრს თან მოსდევს მრავალ-საუკუნოვანი საკუთარი ღრმა კვალი.

იგი გამომდინარეობს ქართველთა მოდგმის ზნე-ჩვეულებანის, ხასიათის, კულტურის და შემოქმედების განსაკუთრებულ თვისებებიდან, რომლითაც იგი განირჩევა სხვა ხალხთა მოდგმათაგან.

ქართული აზრის სულის ჩამდგმელი და მამოძრავებელი იყო და არის ქართველი ადამიანის ბუნების მთავარი თვისება - ჰუმანიურობა (კაცთ მოყვარეობა) და ეროვნულ-საზოგადოებრივი იდეალებისადმი მუდმივი ლტოლვა.

ამით უნდა აიხსნას, რომ ქართველ ადამიანთა ბუნებას, საერთოდ არ ეკარებოდა მხეცური სიძულვილის გრძნობები და ფანატიური სულის კვეთებანი, რომელთა წყალობით თავის შინა ცხოვრებაში გრძელ ისტორიულ მანძილზე მას არ განუცდია არც სარწმუნოებრივი, არც სოციალური ომები და რევოლუციები.

1600 წლის წინად ქრისტეს მცნების მაღალ იდეალებმა („გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“) ამიტომ ასე ადვილად დაიპყრეს ქართველი ხალხის გული და ქრისტიანული მოძღვრება საქართველოში შემოვიდა სრულ მშვიდობიანად და ქალის ქადაგებით; ასევე მშვიდობიანად მთელი ქართველობის სარწმუნოებად გადაიქცა. მას არ მოჰყოლია თან არც თავის დასაწყისში, არც შემდეგ საუკუნეებში ის საშინელი სარწმუნოებრივი დევნა-ომები, ადამიანთა ზღვა-სისხლით გავსებული, რომლითაც მდიდარია დასავლეთი ქვეყნების ქრისტიანული ისტორია.

ჩვენ დრომდე შემონახულნი ქართველი ხალხის თქმულებანი ნათლად ამოწმებენ მის კაცთმოყვარეობის გრძნობებს, რას მოსთხოვდნენ ქართველს ამ თქმულებანის დედა-აზრნი? თავში - ადამიანის ღირსეულ შეფასებას -

„ადამიანი ადამიანისათვის წამალიაო“-ო, (შეადარეთ ლათინურს - ადამიანი ადამიანისათვის მგელია-ო), „ათასად გვარი დაფასდა,

ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“ „ძმაო, რა სჯობდა ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა“, - შემოსძახის ქართველი კაცი თავის ძველ „სუფრულში“ და სხვა.

ამ მაღალი ღირებულების ადამიანურ აზროვნებაზე აშენდა ორი ათასი წლის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი კულტურა ქართველი ხალხისა.

ამ ნიადაგზე იშვა მე-12 საუკუნის „ოროს ხანა“ საქართველოს სახელმწიფოსი და ამ ხანის მეხოტბე ქართველი ჰენიოსი შოთა რუსთაველი, რომელმაც ბრწყინვალე პოეტური სამოსლით შემოსა ნაკადნი ქართული სულისა, მისი იდეალებისა და დაუტოვა ქართველ ერს და კაცობრიობას კეთილშობილ ადამიანთა რჯულის უკვდავი სამოქალაქო სახარება.

მასვე დაეყრდნო ქართველთა მოდგმის სოციალურ ფენათა მშვიდობიანი ურთიერთობა „პატრონყმობად“ წოდებული, ფრანგი მეცნიერი ჟ. კარსტის აზრით, იშვიათი ჰუმანიურობით გამოსახული (პროფ. ჟ. კარსტ - კოდ ჟეორჟიენ დუ რუა ვახტანგ 6, სტრასდბურგ, 1934).

უკვე ძველთა ძველი დროიდან საქართველოს არა ერთი მპყრობელი არა ერთხელ სცდილა ამ კეთილშობილი ქართული აზროვნების სულის აღმოფხვრას, შერყვნას, განიავებას, მაგრამ ვერას გამხდარა, მას ვერ მოერია ვერც ცეცხლი სპარსულ მაზდეანიზმისა, ვერც ურიცხვ მაჰმადიანთა მრისხანე მახვილი, ვერც რუსეთის თვითმპყრობელთა შოვინისტური ძალადობა, და თუ ქართველმა ერმა გაუძლო და უძლებს მათ და დღემდის არ ჩაქანდა სრულ არარაობის უფსკრულში, ეს არის შედეგი ქართველთა მოდგმაში დამკვიდრებულ ამ საკუთარ ძირ-მაგარ მაღალ ზნეობრივ ადამიანურ და საზოგადო აზროვნებისა.

საქართველოს და ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლამ დაარწმუნა ბოლშევიკთა პროფესორიც, კ. ბაზილევიჩი, რომ ამ მაღალ ღირსებამ შეაქმნევინა ქართველ ერს, მისი თქმით, „ერთი უძველესთაგანი კულტურა ევროპაში“ („პრავდა“, 2.7.47) და ევროპიელი მეცნიერის ართურ ბიჰანის დასკვნით „კავკასიურ ცივილიზაციად“ წოდებული (არტჰ. ბიჰან - ლა სივილიზასიონ კოკაზიენ. ჰამბურგ, 1936).

ერთი მთავარი მიზეზთაგანი ქართული აზრის მეობის გამძლეობისა გამოიხატებოდა იმაშიც, რომ მის შემოქმედებას არ სჩვევია ბრმა მიბაძვა უცხოელთა მოძღვრებათათვის, ან მის თავზე ძალით მოხვეულ უცხოთა ნააზრევ-ნამოქმედარში გათქვეფა. იგი მუდამ თავის მაგარ ფარს, - „მშობლიურ ისტორიას, ცხოვრებას და ქართველობას ეკიდებოდა“ (გ. წერეთელი) - მით იბრძოდა და ბოლოს ისევ საკუთარი გზა გაჰქონდა.

ჩვენს ჟამთა მსვლელობის ვითარებაში ომებით და რევოლუციებით აშლილ კაცობრიობის, ამ სისხლის წვიმების ხანაში, როდესაც წამებულ საქართველოს კვლავ დაემუქრა ყოფნა - არ ყოფნის მრისხანე ბედი, ყველა ქართველ მამულიშვილთ ევალებათ მაგრად ჩაეჭიდონ თავის ქართველობას; მტკიცედ დაიცვან ქართული აზრის ეს „მეობა“ და მით იბრძოლონ ყველგან და ყოველთვის ქართველთა მოდგმის მის ძვირფას მემკვიდრეობის, საკუთარ თავისუფალ ეროვნულ ცხოვრების აღდგენა-დამკვიდრებისათვის.

10, 1949. მუენჰენი.

„მამული“, 1951 N 4 ნოემბერი, გვ.109 -110.

მითითებული ლიტერატურის სია

აბაშიძე გიორგი 2007 - გიორგი აბაშიძე. კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმი“ - ქართული მწერლობა, ტ. 28, თბილისი, „ნაკადული“, გვ.688-716.

აბაშიძე კიტა 1897 - კიტა აბაშიძე. ჩვენი ახალგაზრდობა (ჩემს მეგობრებს) - წიგნში: კიტა აბაშიძე. ცხოვრება და ხელოვნება. თბილისი, თსუ, 1971, გვ.124-181.

აბაშიძე კიტა 1905 - კიტა აბაშიძე. პოლიტიკური რომანტიზმი - ჟურნ. „მოამბე“, 1905, N 1; ქართული მწერლობა, ტომი 28, თბილისი, 2007, გვ. 544-583.

აბაშიძე კიტა 1911 - კიტა აბაშიძე. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ტომი 1, ქუთაისი, 1911 წ.; ქართული მწერლობა, ტომი 28, თბილისი, 2007, გვ. 156-250.

აბაშიძე კიტა 1913 - კიტა აბაშიძე. ილიას ძეგლი - წიგნში: კიტა აბაშიძე. ცხოვრება და ხელოვნება. თბილისი, თსუ, 1971, გვ.433-434.

აბაშიძე კიტა 1914 - კიტა აბაშიძე. ილია ჭავჭავაძე - წიგნში: კიტა აბაშიძე. ცხოვრება და ხელოვნება. თბილისი, თსუ, 1971, გვ.394-420.

ასათიანი ალ. 1932 - ასათიანი ალ. რამ გვიხსნა და რა გვიხსნის? – „სამშობლო“, 1932 N 12, გვ. 13- 24.

ბაგრატიონ-მუხრანსკი კ. 1887 - ტფილისის გუბერნიის მარშლის ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის სიტყვა, წარმოთქმული 1887 წ. 23 ნოემბერს ექზარხოსის წინაშე - გაზ. „ივერია“, 1887 წ. , 26 ნოემბერი N 247, გვ.1

გამსახურდია კონსტანტინე 1921A - კონსტანტინე გამსახურდია. რეცენზია მწერალთა კავშირის საბჭოს გამოცემაზე „პოეზიის დღე“ - გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 11 მაისი, 1921 N 58, გვ.2-3

გამსახურდია კონსტანტინე 1921B - კონსტანტინე გამსახურდია. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს - გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 25 მაისი, 1921 N 70, გვ.2-3

გამსახურდია კონსტანტინე 1922 - კონსტანტინე გამსახურდია. ილია ჭავჭავაძე - კონსტანტინე გამსახურდია. რჩეული თხზულებანი. ტომი 7. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1965, გვ.234-243.

გიორგაძე გრ. 1928 - გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864-1905). თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1928

გოგებაშვილი იაკობ 1901 - იაკობ გოგებაშვილი. ქართული მიმართულება - რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტომი II. თბილისი, „განათლება“, 1990, გვ. 310-320

გოგიბერიძე სიმონ 1935 - სიმონ გოგიბერიძე. ბრძოლა სამშობლოსათვის. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გურამ კუტალაძემ. რედაქტორი მანანა ციცქიშვილი. თბილისი, 1991

ვარდანი ბ. 1932 - ბ. ვარდანი. ევროპის გავლენა საქართველოში (1832 წლის შეთქმულების გამო). – „კავკასიონი“. წიგნი VIII, პარიზი, 1932, გვ.132-145.

ვეშაპელი გ. 1925 - გ. ვეშაპელი. ცნობის შემდეგ -კრებ.: გ. ვეშაპელი. ახალი საქართველო. ტფ., 1928.

კახაბერი 1932 - კახაბერი. 1832 წლის შეთქმულების შესწავლისათვის. – „კავკასიონი“. წიგნი VIII, პარიზი, 1932, გვ.29-39.

ნანიტაშვილი ლ. 1976 - ნანიტაშვილი ლ. ივანე ჯავახიშვილისა და არჩილ ჯორჯაძის მიმოწერიდან - თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომები, ტომი 1970, ჟურნალისტიკის სერია 5, თბილისი, 1976, გვ.419 – 425

ნოზაძე ვ. 1932 - ქართული ეროვნული „მე“-ობის გაორება ანუ ქართული ეროვნული ფიქრი და მისწრაფება ცხოვრების სინამდვილის წინაშე - „კავკასიონი“. წიგნი VIII, პარიზი, 1932, გვ.184-222.

მანწკავა ი. 1932 - მანწკავა ი. 1801-32 წლების მანძილზე (მიმოხილვა) - „კავკასიონი“. წიგნი VIII, პარიზი, 1932, გვ.21-28.

მანწკავა ი. 1936 - მანწკავა ი. ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში. ნაწილი 1. პარიზი, 1936

ჟორდანია ნ. 1925 - ნ. ჟორდანია. რა მოხდა. პარიზი, 1925

ჟორდანია ნოე 1949 - ნოე ჟორდანია. ქართველი სოციალ-დემოკრატია - „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1949 N 3, გვ.23-27.

სტალინი ი. 1905 - ი. სტალინი. როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი - ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ.1, თბ., 1947

ცქიტიშვილი ზ.1982 - გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბ. 1982

წერეთელი მიხ. 1957 - ილია ჭავჭავაძის მოკვლა (1907-1957) – „ბედი ქართლისა“ (პარიზი), 1957 N 24-25, გვ.1-11; კრებ.: მიხეილ წერეთელი. საქართველო ილიას შემდეგ. თბილისი, 2016, გვ. 7-20.

ჭიჭინაძე ზ., 1920A - პეტრე დიდმა როგორ მოატყვილა ვახტანგ მეექვსე და 3000 ოჯახი ქართველთა. თბილისი, 1920

ჭიჭინაძე ზ., 1920B - აღა-მაჰმადხანის მეორეთ შემოსევა და მისი წამქეზებელნი 1797 წ. ტფილისი, 1920

ჯორჯაძე არჩილ 1901 - არჩილ ჯორჯაძე. პუბლიცისტი - ილია ჭავჭავაძე - არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი, წიგნი II, ტფილისი, 1911, გვ.79-133

ჯორჯაძე არჩილ 1909 - არჩილ ჯორჯაძე. თ.-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში - არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი, წიგნი II, ტფილისი, 1911, გვ.150-190.

ჯორჯაძე არჩილ 1910 - არჩილ ჯორჯაძე. დემოკრატიის გაერთიანება - არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი, წიგნი II, ტფილისი, 1911, გვ.246-268.

ჯორჯაძე არჩილ 1911A - არჩილ ჯორჯაძე. წინასიტყვაობა თხზულებათა მეორე ტომისთვის - არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი, წიგნი II, ტფილისი, 1911, გვ. V-VI.

ჯორჯაძე არჩილ 1911B - არჩილ ჯორჯაძე. „მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“ (მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორი-ისთვის) - არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი, წიგნი II, ტფილისი, 1911, გვ. 1-78.

ჯავახიშვილი ივ. 1904 - ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება - ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბილისი, 1998, გვ.64-87.

ჯავახიშვილი ივ. 1919A - დამოკიდებულება რუსეთსა და საქარ-თველოს შორის XVIII საუკუნეში. თბილისი, სახელმწიფო სტამბა, 1919.

ჯავახიშვილი ივ. 1919B - მოხსენება თანამედროვე მომენტზე. 1917 წლის 27-28 აპრილი, საგაზეთო ანგარიში. თბ., 2014; გაზ. „საქარ-თველო“, 4, 7 და 8 მაისი 1919 წელი.